რედაქტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ვილტრუდ ვეიდინგერი

# ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში

## სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

# ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისადა ადამიანის უფლებათა შესახებ - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

რედაქტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ვილტრუდ ვეიდინგერი

ავტორები: როლფ გოლობი და ვილტრუდ ვეიდინგერი

წიგნი II

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნები I –VI

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

სწავლების პროცესის თანმიმდევრობა, ცნებები, მეთოდები და მოდელები

ევროპის საბჭოს გამომცემლობა

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებელნი არიან ნაშრომის ავტორები და ავტორისეული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემაში შესული მასალის თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, ელექტრონული (CD-Rom, ინტერნეტი და ა. შ.), მექანიკური, მათ შორის, ფოტოგრაფიული, ჩანაწერით თუ ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა ნებისმიერი საშუალებით, კომუნიკაციის დირექტორატის საჯარო ინფორმაციისა და გამოცემების განყოფილების (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int) წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

მოცემული ნაშრომის მომზადებას, დიზაინსა და რედაქტირებას ხელმძღვანელობდა ციურიხის უნივერსიტეტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (Pädagogische Hochschule Zürich) განათლების საერთაშორისო პროექტი (www.phzh.ch/ipe).

გამოცემის თანადამფინანსებელია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC).

ილუსტრაციები: პეტი ვისკემანი
ყდის დიზაინი: პეტი ვისკემანი
დიზაინი: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო

მთარგმნელი: მაია გვიტიძე

რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი

დაკაბადონება: ბესიკ დანელია

ევროპის საბჭოს გამომცემლობა
http://book.coe.int

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ემირ აძოვიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა

სვეტლანა პოზნიაკი - უკრაინა

ბეატრის ბურგლერ-ჰოქული - შვეიცარია

სარა კეატინგ-ქეთვინდი – ევროპის საბჭო

რეგულა კლაინბერგერი - შვეიცარია

პიტერ კრაფტი - გერმანია

ლაურა ლოდენ-ბუხელი - შვეიცარია

საბრინა მარუნჩედუ კრაუსე – შვეიცარია

ოლაფ ოლაფსდოტირი - ევროპის საბჭო

არბერ სალიჰუ -კოსოვო[1]

ფელისა თიბითსი - ამერიკის შეერთებული შტატები

გორდონა ტრაჟკოვა კოსტოვსკა - „მაკედონია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა“

[1] წინამდებარე სახელმძღვანელოში მოყვანილი, კოსოვოსთან დაკავშირებული ფაქტები და მაგალითები, ეხება ეს კოსოვოს ტერიტორიას, ინსტიტუციებს თუ მის მოსახლეობას, უნდა გავიგოთ ერების უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციის შესაბამის კონტექსტში, კოსოვოს სტატუსის შელახვის გარეშე.

**სარჩევი**


შესავალი……

სახელმძღვანელოს კონცეპტუალური ჩარჩო……

1. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი პრინციპები……
2. კომპეტენციის სამი განზომილება……
3. ძირითადი ცნებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სახელმძღვანელოში შესულ ცხრა თავს……

თავი 1: ინდივიდუალობა - მე და საზოგადოება, რომელსაც ვეკუთვნი……

თავი 2: მრავალფეროვნება და პლურალიზმი - ევროპა ჩემი სახლია……

თავი 3: თანასწორობა - უმცირესობები და უმრავლესობა……

თავი 4: კონფლიქტი - წესები კონფლიქტების მოგვარებაში გვეხმარება……

თავი 5: წესები და კანონი - თანაცხოვრების საფუძველი……

თავი 6: ძალაუფლება და ხელისუფლება - მე ვწყვეტ ყველაფერს! არის კი ეს ასე?……

თავი 7: პასუხისმგებლობა - მე ბუნების დამცველი ვხდები … ჩემი სკოლა მონაწილეობს!……

თავი 8: უფლებები და თავისუფლება - ჩემი უფლებები - შენი უფლებები……

თავი 9: მედია - მედია პრაქტიკაში: გავაკეთებდი, რომ შემეძლოს……

მოსწავლეთა სახელმძღვანელო……

I. სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისათვის (ნაკრები)……
II. დამხმარე ინსტრუმენტები მოსწავლეებისათვის (ნაკრები)……

ილუსტრაცია: თავსატეხი - ცხრა ძირითადი ცნება……

## შესავალი

სკოლა წარმოადგენს სწავლისა და სწავლებისთვის განკუთვნილ გარემოს. ეს ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება. თუმცა გარკვეული ცვლილება განიცადა სასკოლო საგნებმა და სწავლის მეთოდებმა. საზოგადოება სწრაფად იცვლება, ეკონომიკისა და სოციალური გარემოს თვალსაზრისით, და სკოლები იძულებულნი არიან, შესაძლებლობების ფარგლებში, ფეხი აუწყონ ცვლილებათა ამ ტემპს და მოერგონ ახალ გარემოს.

ძალიან ბევრი ადამიანისათვის სკოლა აღარ წარმოადგენს ადგილს, სადაც მომავალი თაობა მხოლოდ ზრდასრული ცხოვრებისათვის ემზადება; იგი ასევე არის ადგილი, სადაც ადამიანებს დიდი დროის ერთად გატარება უწევთ. ეს, თავის მხრივ, სხვებთან ყოფნისა და ურთიერთობის საფუძველზე სწავლის შესაძლებლობას ქმნის და, ამავდროულად, იძულებულს ხდის მოსწავლეებს, შეიძინონ გარკვეული უნარები, რომლებიც მათ საზოგადოებასთან ურთიერთობაში სჭირდებათ.

იმ შემთხვევაში, თუ სკოლა გადაწყვეტს, საკუთარ სისტემაში ჩართოს სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ (ვითვალისწინებთ რა, რომ ძალიან ბევრი სკოლა ფართო ავტონომიით სარგებლობს), ამ გადაწყვეტილებით იგი ასევე იღებს გადაწყვეტილებას, სკოლის ცხოვრება აქტიური გახადოს და მოსწავლეებს დემოკრატიის შესახებ განათლებისათვის საჭირო და სათანადო გარემო შეუქმნას. მთლიანი სკოლა - და არა მარტო საკლასო ოთახი - მიკროსაზოგადოებას წარმოადგენს. ეს არ არის იდეალური გარემო, არამედ რეალობა. არავინ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ერთად ცხოვრება მარტივია და არ არსებობს კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობა და, ამ თვალსაზრისით, არც სკოლა წარმოადგენს გამონაკლისს. კონფლიქტისაგან თავისუფალი გარემოს შექმნა მიზნად არც უნდა დავისახოთ. თუმცა სკოლის გარემო არსებული განსხვავებული ინტერესების აღქმის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, ისევე როგორც ამ ინტერესთა გამოკვეთისა და მათ მაგალითზე სწავლის შესაძლებლობას, ვინაიდან ამ პროცესებში შეძენილი უნარები მოსწავლეების მოქალაქეობრივი ყოფა-ცხოვრების არსებით ფაქტორს წარმოადგენს.

წინამდებარე სახელმძღვანელო, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია მასწავლებლებისათვის. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იგი გამოადგებათ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მასწავლებელთა მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო პროგრამების ავტორებს, სახელმძღვანელოთა რედაქტორებს და მთარგმნელებს და, სავარაუდოდ, არა მარტო ამ სფეროში მოღვაწე პირებს.

სახელმძღვანელო შედგება ცხრა თავისაგან, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ეხება. თითოეული თავი შედგება ოთხი გაკვეთილისაგან და განკუთვნილია მოსწავლეებისათვის, რომლებიც დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელ კლასში იმყოფებიან - ძირითადად 10 – 11 წლის მოსწავლეებისათვის. თითოეულ თავში ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად ცნებებზე, რომლებიც უკავშირდება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას, ესენია: ინდივიდუალობა - პლურალიზმი - თანასწორობა - კონფლიქტი - წესები და კანონი - მთავრობა - პასუხისმგებლობა - თავისუფლება - კომუნიკაცია. სწავლების ეტაპების თანამიმდევრობა დეტალურად არის განხილული თითოეული გაკვეთილისათვის, შესაძლებლობების ფარგლებში.

შეუძლებელია წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული ცხრა თავის გაერთიანება და მათთვის ისეთი საგნის სტატუსის მინიჭება, როგორიცაა, მაგალითად „დემოკრატიის სწავლება“ ან „სამოქალაქო განათლება“ ან ნებისმიერი სხვა საგნის სახელის შერჩევა. თუმცა შესაძლებელია ცალკეული თავების ჩართვა ისეთი საგნების სწავლებაში, როგორიცაა მშობლიური თუ უცხო ენა, გეოგრაფია, ისტორია, სოციალური მეცნიერებები, ეთიკა, ხელოვნება და სხვ. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ექსპერტებთან კონსულტაციებისა და შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორებმა შეიმუშავეს სწავლების სისტემა, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების დამატებით ელემენტებზე, რომელთა ჩართვაც ძირითად საგანმანათლებლო პროგრამებში არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. განსაკუთრებით, დაწყებითი განათლების საფეხურზე, სადაც მასწავლებლებს უწევთ მრავალი საგნის სწავლება,

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სასწავლო პროგრამაში ახალი, დამატებითი საგნის შემოტანა უშედეგოა და მასწავლებლებისათვის ზედმეტ ტვირთს წარმოადგენს. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში განსახილველი თემები არ წარმოადგენს თემებს, რომელთა ცალკე საგნის სახით შესწავლის აუცილებლობაც შეიძლება დადგეს, არამედ მათში ყურადღება გამახვილებულია სკოლის დაწყებით საფეხურზე უკვე დამკვიდრებული საგნების სხვადასხვა პერსპექტივებზე. წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორებმა სახელმძღვანელოს შედგენისას გაითვალისწინეს ეს ყოველივე და, შედეგად, მასში მოცემული თავები ეფუძნება დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა კომპეტენციებს და სხვადასხვა საგნის სწავლების კომპლექსურობას. დასკვნის სახით, მომხმარებლის პოზიციიდან, მნიშვნელოვანია, პასუხი გავცეთ კითხვას იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენს თუ არა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ცალკე შესასწავლ საგანს.

ამ კითხვაზე პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნების უმეტესობაში არსებულ ბევრ სკოლაში დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება არ წარმოადგენს ცალკე საგანს დაწყებით საფეხურზე. იგი, არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ახალ მიდგომას გვთავაზობს სწავლებისა და სწავლისადმი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, იმუშაონ განსხვავებულ და უფრო პროდუქტიულ გარემოში.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეების აღჭურვას აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების შესაძლებლობებით, რომელთაც ექნებათ სურვილი და უნარი, მონაწილეობა მიიღონ იმ საზოგადოების მომავლის ფორმირებაში, რომელშიც მათ მოუწევთ ცხოვრება (სხვა სიტყვებით თუ გამოვთქვამთ, სწორედ ეს წარმოადგენს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზანს). ამავდროულად, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ემყარება ხარისხიანი სწავლების ძირითად პრინციპებს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის სწავლა შესაძლებელია და აუცილებელია, ექცეოდეს ყურადღება სკოლაში სწავლების ყველა საფეხურზე, მისი ჩართვით ყველა საგნის სწავლებაში. აქედან გამომდინარე, კომპეტენციების ამაღლებას უპირატესობა ენიჭება შინაარსზე დაფუძნებული სწავლების ტრადიციულ მიდგომასთან შედარებით.

უნდა დავაზუსტოთ, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებასაც გააჩნია შინაარსზე დაფუძნებული განზომილება - სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. ამგვარი ელემენტების გაერთიანება შესაძლებელია ისეთ საგანთან, როგორიცაა სამოქალაქო განათლება, ან შეიძლება მათი ჩართვა ისტორიისა და სოციალურ მეცნიერებათა პროგრამებში.

მაგრამ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად ელემენტს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სულისკვეთებითა და მათი საშუალებით სწავლება წარმოადგენს და ეს ახალი მიდგომა სკოლის ყველა ასპექტში უნდა დაინერგოს. წინამდებარე სახელმძღვანელო დასტურია იმისა, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიდგომას სწავლებისა და სწავლის ახალი მეთოდი შემოაქვს საკლასო გარემოში, რითაც ზრდის როგორც მასწავლებლის, ასევე, მოსწავლეების ფუნქციებს. მოსწავლეებს ეძლევათ უფრო მეტი დრო რეალური სწავლისათვის მაშინ, როცა მასწავლებლების ტრადიციულ, ინსტრუქციებისა და მითითებების გაცემის ფუნქციას ემატება მოსწავლეებისათვის დახმარების გაწევისა და მათი საქმიანობისათვის თვალყურის დევნების ფუნქცია. სწავლების მოდელები მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, ორიენტირდნენ შერჩეულ თემებზე და მოსწავლეებს მისცენ დრო, რათა მათ სათანადო დონეზე შეძლონ დასახული ამოცანისათვის თავის გართმევა - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „აკეთონ ცოტა, მაგრამ ხარისხიანად“.

## დამხმარე ინსტრუმენტები და სამუშაო ფურცლები - სახელმძღვანელო მოსწავლეებისათვის

წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული ყველა თავის ძირითად პრინციპს მოსწავლეთა აქტიურობა წარმოადგენს. მოცემული იდეა ემყარება იმ ფაქტს, რომ სწავლა არა მხოლოდ პასიური მოსმენის, არამედ ცოდნის შეძენის აქტიური პროცესია. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოში მოცემული თავების გავლისას, მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთში კომუნიკაცია, ინფორმაციის მოძიება, კითხვების დასმა და განმარტებების წარმოდგენა. მასწავლებელი ამ პროცესების ხელშემწყობად გვევლინება და, ამავდროულად, გაცნობიერებული აქვს, რომ დემოკრატიის შესახებ სწავლა მუდმივ პროცესს წარმოადგენს და ამ პროცესში შეცდომები ბუნებრივი მოვლენაა. მოსწავლეების მიერ დამოუკიდებელი სწავლის პროცესი ხორციელდება ეგრეთ წოდებული „დამხმარე ინსტრუმენტების“ საშუალებით. ცოდნის შეძენის დამოუკიდებელი პროცესი თორმეტი შერჩეული მეთოდის გამოყენებით მიმდინარეობს (ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში, ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში, ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა, გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება, გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა, პოსტერების შექმნა, გამოფენების მოწყობა, პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა, პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით, საგაზეთო სტატიების დაწერა, წარმოდგენები ან დებატები).

მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილი სამუშაო ფურცლები მათი სწავლის პროცესის კიდევ ერთ ხელშემწყობ საშუალებას წარმოადგენს. მასალა ცალკეულ ფურცელზე დატანილ თითო თავს ასახავს და ისინი მოსწავლეებს ურიგდება. მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები დართულია წინამდებარე სახელმძღვანელოს ბოლოში. სამუშაო ფურცლები განკუთვნილია გადასაღებად და გასამრავლებლად. თითოეული სამუშაო ფურცელი დანომრილია სახელმძღვანელოში მოცემული თავების შესაბამისად, რომელთა გავლის პროცესშიც მოსწავლეებს უნდა გადაეცეთ შესაბამისი სამუშაო ფურცელი (მაგალითად, თავი 2, გაკვეთილი 2). მოსწავლეებისათვის სამუშაო ფურცლების დარიგების ფორმასა და

მომენტის და, აგრეთვე, მათი მოკრების ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მასწავლებელი. შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას ფოლდერები, ან შესაძლოა მასწავლებლისათვის უფრო ხელსაყრელი იყოს მოცემული მასალის ერთ წიგნად აკინძვა და ამ დამხმარე საშუალების ისეთივე ფორმით გამოყენება, როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოშია მოცემული - ბუკლეტის სახით.

გაკვეთილზე მოსწავლეებისათვის დასარიგებელი მასალის გამოყენების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მასწავლებლების ძირითადი მოთხოვნა ამგვარ მასალასთან დაკავშირებით, ისაა, რომ მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილი მასალა უნდა იყოს პრაქტიკული და მოსწავლეებისათვის მარტივად აღსაქმელი. საჭიროა, სამუშაო ფურცლები შედგენილი იყოს ისე, რომ მოსწავლეებს იგი დამატებით ინფორმაციას აწვდიდეს, აღსაქმელად და გასაგებად მარტივი იყოს და მის ახსნას დიდი დრო არ სჭირდებოდეს. წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული, მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილი სამუშაო ფურცლების მომზადებისას, გათვალისწინებულ იქნა ყოველივე ზემოთ თქმული და, შესაბამისად, ისინი გამოსაყენებლად და აღსაქმელად მარტივ სამუშაო მასალას წარმოადგენს, მათი მოდიფიცირება და კლასის საჭიროებებსა თუ სწავლების სხვადასხვა მეთოდებზე მორგება სირთულეს არ უკავშირდება. გარდა ჩვეულებრივი, საკლასო გარემოში მიმდინარე აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივირებულობის შეფასებისა, სამუშაო ფურცლები მოსწავლეთა მიერ წერითი დავალების შესრულების საშუალებასაც წარმოადგენს.

## სახელმძღვანელოს კონცეპტუალური ჩარჩო

### 1. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი პრინციპები

აქტიური მოქალაქეობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენა შესაძლებელია პრაქტიკაში მათი აქტიურად გამოყენების საშუალებით, და არა თეორიული საუბრებით - საჭიროა, პიროვნებას მივცეთ შესაძლებლობა, თავად გამოიკვლიოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სფერო, ნაცვლად იმისა, რომ მივაწოდოთ მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იაზროვნოს და როგორ უნდა მოიქცეს. განათლება აქტიური მოქალაქეობისათვის გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შეძენას, არამედ პრაქტიკულ აღქმას, უნარებს, ღირებულებებსა და ხასიათს. მისი გზავნილი ასეთია - მოსწავლეებს, მასწავლებლების ქცევისა და სკოლის ორგანიზების მაგალითზე იგივე თეორიული ცოდნა შეუძლიათ მიიღონ დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ, რასაც ინსტრუქციების ფორმალური მეთოდის საშუალებით იღებენ.

ამგვარ მიდგომას მთელი რიგი მნიშვნელოვანი შედეგის მოტანა შეუძლია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში, კერძოდ:

#### ა) აქტიური სწავლა

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს აქტიურ სწავლაზე. აქტიური სწავლა გულისხმობს პრაქტიკული ქმედებების საშუალებით სწავლას. სწავლა შესაძლებელია პირადი გამოცდილების შეძენითა და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის საშუალებით, მოსწავლეებისათვის ინსტრუქციებისა და მზა პასუხების მიწოდების ნაცვლად. აქტიურ სწავლას, რიგ შემთხვევებში, „გამოცდილებით“ სწავლასაც უწოდებენ.

აქტიურ სწავლას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების

პროცესში, ვინაიდან მოქალაქეობა პრაქტიკულ საქმიანობას გულისხმობს. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნას ადამიანები საკუთარი გამოცდილებით იღებენ, და არა მხოლოდ თეორიულად ამოკითხული თუ გაგონილი ინფორმაციის საფუძველზე. ფორმალური განათლების გარემოში გამოცდილება სკოლის მერხიდან იწყება, მაგრამ გრძელდება სკოლასა თუ კოლეჯში არსებულ ეთოსსა და კულტურაში. ამას ხანდახან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საშუალებით სწავლასაც უწოდებენ.

აქტიური სწავლა, აგრეთვე, მეტ სტიმულსა და მოტივაციას აძლევს მოსწავლეებს, ვიდრე ფორმალური ინსტრუქციები და, შედეგად, უფრო ხანგრძლივ სწავლის პროცესს წარმოადგენს - როგორც მოზარდებისათვის, ისე მოზრდილებისათვის - მათი პროცესებში ჩართულობიდან გამომდინარე. აქტიური სწავლა ზოგადად სწავლის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან იგი კონკრეტულ მაგალითებზეა ორიენტირებული და არა აბსტრაქტულ პრინციპებზე. აქტიური სწავლის პროცესში მოსწავლეებს კონკრეტული მაგალითებიდან ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალება ეძლევათ, და არა პირიქით: მაგალითად, სხვადასხვა ტიპის უფლებების განხილვა სკოლებში მოქმედი კონკრეტული უფლებების საფუძველზე, რომლებიც სკოლის წესდებასა და ქცევის კოდექსიდან გამომდინარეობს, ნაცვლად უფლებათა ცნების აბსტრაქტული განხილვისა.

**ბ) ამოცანაზე დაფუძნებული აქტივობები**

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება უნდა ეფუძნებოდეს იმ ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც მასწავლებლებს სჭირდებათ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სახელმძღვანელო ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის პრინციპებს ემყარება.

ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის მნიშვნელობას მთელი რიგი მიზეზები განაპირობებს:

- იგი აქტიური სწავლის ბრწყინვალე ფორმაა - რაც გულისხმობს სწავლას აქტივობის საშუალებით,
- იგი სწავლის სხვადასხვა გარემოსათვის სტრუქტურულად უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს,
- მისი საშუალებით სწავლისათვის განკუთვნილი დროის მაქსიმალიზება ხდება, ვინაიდან მოსწავლეები მუშაობენ ამოცანაზე, რომელსაც მათ თავი აუცილებლად უნდა გაართვან,
- მოსწავლეებს უწევთ ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავება და ავთენტური მასალის ანალიზი,
- მისი საშუალებით, სწავლის პროცესი აზრსა და შინაარს იძენს და, შესაბამისად, მატულობს სტიმული,
- მსგავსი აქტივობები მოსწავლეებში საკუთრებისა და მიღწევების შეგრძნებას აღძრავს.

**გ) გუნდური მუშაობა**

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს თანამშრომლობითი სწავლის ფორმაზე, როგორიცაა მცირე ან დიდ ჯგუფებში მუშაობა და/ან წყვილებში მუშაობა. გუნდური მუშაობის მნიშვნელობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- მისი საშუალებით მოსწავლეებს ეძლევათ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ჯგუფური მუშაობის მოდელი, რომლის გამოყენებაც საკლასო გარემოში შეუძლიათ.
- გუნდური მუშაობა სტიმულს აძლევს მოსწავლეებს, რათა ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და მოსაზრებები, ხოლო პრობლემათა ურთიერთგაზიარება მათი გადაჭრის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზრდის.
- გუნდური მუშაობა საკლასო გარემოში მოსწავლის მარტო დარჩენისა და მარტოობის გრძნობის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

### დ) ინტერაქტიული მეთოდი

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს ინტერაქტიულ მეთოდებზე, როგორიცაა დისკუსიები და დებატები. ინტერაქტიული მეთოდების მნიშვნელობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

— ისინი ეხმარება მასწავლებლებს, უკეთ დაეუფლონ და საკუთარ პრაქტიკაში დანერგონ ინტერაქტიული მეთოდები.
— მათი საშუალებით, მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში.

### ე) კრიტიკული აზროვნება

სათანადო დონეზე წარმართვის შემთხვევაში, განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თავად გააცნობიერონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების საკითხები, ნაცვლად იმისა, რომ მზა პასუხები მიიღონ მასწავლებლებისაგან. კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

— მოსწავლეებს ეხმარება ფიქრისა და აზროვნების უნარის განვითარებაში, რაც დემოკრატიული მოქალაქეობის ესოდენ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.
— მოსწავლეებს უღრმავებს საკუთარ უნარებსა და ძალებში დარწმუნებულობის შეგრძნებას: მოსწავლეები გრძნობენ, რომ მათ შეუძლიათ, პასუხისმგებლობა აიღონ არა მარტო საკუთარ, არამედ სხვათა ცხოვრებაზეც.

### ვ) მონაწილეობა

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, თავიანთი წვლილი შეიტანონ საკუთარი განათლებისა და უნარების გამომუშავების საქმეში. რამდენადაც ამის

საშუალება არსებობს, საჭიროა მოსწავლეების წახალისება, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში და არ იყვნენ ცოდნის პასიური მიმღების როლში - მაგალითად, მათ უნდა მივცეთ საშუალება, თავად შეარჩიონ ამოცანა, რომელზე მუშაობაც სურთ; შეაფასონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები და დაისახონ მიზნები სისუსტეების გამოსასწორებლად.

მონაწილეობისა და პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ეხმარება მოსწავლეებს ისწავლონ, თუ როგორ ჩაერთონ პროცესებში, სკოლის გარემოს მიღმა.
- მოსწავლეებში საკუთარ თავსა და ძალებში დარწმუნებულობის შეგრძნებას ამაღლებს.

| |
|---|
| მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება გულისხმობს:<br>— **აქტიურობას** - აქცენტი გადატანილია აქტივობების მეშვეობით სწავლაზე;<br>— **ამოცანაზე ორიენტირებას** - აგებულია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ამოცანებზე;<br>— **თანამშრომლობას** - მოიცავს ჯგუფურ მუშაობასა და თანამშრომლობის საშუალებით განხორციელებულ სწავლას;<br>— **ინტერაქტიულ მიდგომას** - იყენებენ დისკუსიებსა და დებატებს;<br>— **კრიტიკულ აზროვნებას** - ხელს უწყობს მოსწავლეების აზროვნების უნარის განვითარებას; და<br>— **მონაწილეობას** - საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, წვლილი შეიტანონ თავიანთი განათლებისა და უნარების გამომუშავების საქმეში. |

## 2. კომპეტენციის სამი განზომილება

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის კომპეტენციების

განვითარება სამ სფეროში, ესენია: პოლიტიკური ანალიზი და განსჯა, მეთოდების გამოყენება და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და, მაშასადამე, არ განიხილება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

სწავლის ნებისმიერ გარემოში - გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად - ამ სამივე კომპეტენციის ელემენტებია ჩართული, თუმცა ყოველი მათგანის სიღრმისეული წვდომა ერთდროულად არ ხდება. ეს არც არის საჭირო. შესაძლებელია, ხანდახან მეტი ყურადღება დაეთმოს მეთოდებს, ხანდახან - აქტივობებს და ხანდახან - ანალიზს. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ყოველ თავში ჩვენ გაწვდით ზედაპირულ შეფასებას იმისას, თუ ამ სამი კომპეტენციიდან რა დონეზე გამოიყენება და ვითარდება თითოეული, გაკვეთილებზე გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას, რისთვისაც ვიყენებთ ცხრილებს, რომლებიც ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მსგავსია. სამი ვარსკვლავი მაჩვენებელია კომპეტენციის მაღალ დონეზე განვითარებისა, ორი - საშუალო დონეზე, ხოლო ერთი დაბალ დონეზე მიანიშნებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, კომპეტენციათა მნიშვნელობას განაპირობებს სწავლების მეთოდები და შერჩეული სწავლის გარემო; აქედან გამომდინარე, სწავლების მეთოდისა და სწავლის გარემოს გათვალისწინებით, რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია კომპეტენცია უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე ეს წინასწარ იყო დაგეგმილი.

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| ** | * | *** |

ქვევით მოცემულია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში აღნიშნული სამი კომპეტენციის მოკლე მიმოხილვა. მოცემული სამი კომპეტენციის ცნება ფართო განხილვის საგანს

წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში, თუმცა კონკრეტული შედეგი მათ გარშემო გამართულ დისკუსიებს ჯერ არ მოყოლია.[2]

| ა. **პოლიტიკური ანალიზისა და განსჯის კომპეტენცია** | ბ. **მეთოდების გამოყენების კომპეტენცია** | გ. **დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენცია** |
|---|---|---|
| პოლიტიკურ მოვლენათა, პრობლემებისა და სადავო საკითხების, ასევე, ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენათა ანალიზისა და განხილვის უნარი, საგნის ასპექტებისა და ღირებულებების გათვალისწინებით. | ინფორმაციის მოძიებისა და ათვისების, საკომუნიკაციო საშუალებებისა და მედიის გამოყენების და საჯარო დებატებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის უნარი. | საკუთარი მოსაზრებების, ღირებულებებისა და ინტერესების საზოგადოებაში სათანადოდ გამოთქმის უნარი. მოლაპარაკების წარმოებისა და კომპრომისზე წასვლის უნარი.<br><br>პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას, საკუთარი შესაძლებლობების (და შესაძლებლობების ფარგლების) შეფასების უნარი და მოქმედებათა კურსის შესახებ სათანადო არჩევანის გაკეთების უნარი. |

## ა. პოლიტიკური ანალიზისა და განსჯის კომპეტენცია

მიზანს წარმოადგენს პოლიტიკურ მოვლენათა, პრობლემებისა და სადავო საკითხთა ანალიზის კომპეტენციის განვითარება, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, განმარტონ საკუთარი მსჯელობის საფუძვლები. სკოლას ამ კომპეტენციის

[2] დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს გამოცემა: რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად: მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო (სტრასბურგი, 2009 წელი). სახელმძღვანელოს გადმოტვირთვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.coe.int/edc.

განვითარებაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია მოსწავლეების ხელშეწყობით, რათა მათ ძირითად ცნებებზე დაფუძნებული სტრუქტურული მიდგომა გამოიყენონ, კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით.

მოსწავლეების განსჯისა და მსჯელობის უნარის განვითარების მიზნით, რაც გულდასმით შესწავლას საჭიროებს, საჭიროა შემდეგი კომპეტენციები:

- პიროვნების პირად ცხოვრებაზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენის მნიშვნელობის აღქმის უნარი;
- როგორც მონაწილე პირების, ასევე არამონაწილე პირების ცხოვრებაზე, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა, როგორც გათვალისწინებული, ასევე, გაუთვალისწინებელი შედეგების აღქმისა და განსჯის უნარი;
- საკუთარი შეხედულებების გადმოცემისა და, ასევე, სხვათა შეხედულებების გაგების უნარი.
- პოლიტიკის სამგანზომილებიანი მოდელის: ა) ინსტიტუციური ბ) შინაარსთან დაკავშირებული და გ) პროცესზე ორიენტირებული განზომილების აღქმისა და გამოყენების უნარი.
- მიკრო დონეზე (სასკოლო რეალობაში), საშუალო დონეზე (საზოგადოებაში და მაკრო დონეზე (ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკაში) მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სხვადასხვა ეტაპების ანალიზისა და შეფასების უნარი, როგორც დემოკრატიული მმართველობის, ასევე, ადამიანის უფლებათა პრინციპების საფუძველზე.
- ანალიტიკურ კატეგორიათა დახმარებით, ფაქტების, პრობლემებისა და გადაწყვეტილებების წარმოჩენის უნარი, ძირითადი ასპექტების იდენტიფიცირებისა და ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის სისტემების ძირითად ღირებულებებთან მათი დაკავშირების საშუალებით.
- სოციალური, სამართლებრივი, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და საერთაშორისო ვითარებათა და, ასევე, მიმდინარე აქტუალური საკითხების განხილვისას, ინტერესებისა და მოვლენათა განვითარების იდენტიფიცირების უნარი.

— მედიასაშუალებების მიერ პოლიტიკურ საკითხთა დაყენებისას გამოყენებული ხერხისა და მანერის აღქმისა და შეფასების უნარი.

**ბ. მეთოდების გამოყენების უნარი**

სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობისათვის აუცილებელ პირობას მხოლოდ პოლიტიკური საკითხების, კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ ძირითადი ინფორმაციისა და ცოდნის ფლობა არ წარმოადგენს, ამისათვის საჭიროა ზოგადი კომპეტენციები, რომელთა შეძენაც სხვა საგნების შესწავლა-ათვისების პარალელურად მიმდინარეობს (როგორიცაა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ინფორმაციის, მონაცემთა და სტატისტიკის მართვა). კონკრეტული უნარები, როგორიცაა საკითხის მომხრედ ან წინააღმდეგ გამოსვლა, რომლებიც მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისათვის, საჭიროებს სპეციალურ წვრთნასა და ხელშეწყობას, რაც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებშია შესაძლებელი. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში ფართოდ გამოიყენება შესაბამისი მეთოდები, რომლებიც საჯარო განხილვების (ე.ი. დისკუსიებისა და დებატების) იმიტირებას გულისხმობს. ამგვარ პროცესებში მონაწილეობისათვის, საჭიროა, პიროვნება ფლობდეს შემდეგ უნარებს:

— მასმედიისა და/ან სხვა მედიასაშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, შერჩევის, გამოყენებისა და წარმოდგენის უნარი, კრიტიკული მიდგომისა და ინფორმაციის მოწოდების ხერხებზე ორიენტირებით (სტატისტიკური მონაცემების, რუკების, დიაგრამების, სქემების, ნახაზებისა და ა. შ. გამოყენება).
— მედიასაშუალებების კრიტიკული მიდგომით გამოყენების უნარი და საკუთარი მედია პროდუქციის შექმნის უნარი.
— კვლევის წარმოების, ე.ი. გამოკითხვებისა და ინტერვიუების საშუალებით პირველწყაროდან ინფორმაციის მოპოვების უნარი.

გ. დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების უნარი

მიზანს წარმოადგენს პოლიტიკურ გარემოში და საზოგადოებაში თავდაჯერებით და ადეკვატურად მოქმედებისა და ურთიერთობის უნარის გამომუშავება. ამის მისაღწევად, საჭიროა, პიროვნება ფლობდეს შემდეგ უნარებსა და მიდგომებს:

- პოლიტიკურ გარემოში და საჯაროდ, საკუთარი მოსაზრების ადეკვატურად და თავდაჯერებულად გამოთქმის უნარი და დიალოგის, დებატებისა და დისკუსიების სხვადასხვა ფორმით წარმართვის უნარი.
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და პოლიტიკური აქტივობების განხორციელების უნარი (კამათი, დისკუსია, დებატები, დისკუსიის თავმჯდომარეობა; ან პრეზენტაციის მომზადება წერილობითი ფორმით, პოსტერების, კედლის გაზეთების დამზადება ვიზუალიზაციის ტექნიკის გამოყენებით, კრების ოქმის შედგენა, რედაქტორისადმი წერილის მიწერა, წერილობითი თხოვნით მიმართვა და ა.შ.).
- საკუთარი შესაძლებლობების შეცნობის უნარი, პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად და სხვებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების უნარი.
- საკუთარი პოზიციისა და თვალსაზრისის დაცვისა და, ამავდროულად, კომპრომისზე წასვლის უნარი.
- დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული იდეებისა და ანტიდემოკრატიული პრინციპებით მოქმედი ფიგურების ამოცნობის უნარი და მათ მიმართ ადეკვატური რეაგირებისათვის მზადყოფნა.
- მრავალკულტურულ კონტექსტში ღიად და ურთიერთგაგების პრინციპით მოქმედებისათვის მზადყოფნა და ამგვარი ქცევის უნარი.

## 3. ძირითადი ცნებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სახელმძღვანელოში შესულ ცხრა თავს

აზროვნებისა და სწავლის პროცესს ბევრი აქვს საერთო კონკრეტულის აბსტრაქტულთან დაკავშირებასთან. აქედან გამომდინარე, ძირითადი ცნებები, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოშია შესული, ისევე, როგორც ის ცნებები,

რომლებიც მოცემულია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სხვა წიგნებში, (წიგნი III: ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში და წიგნი IV: მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში), ეფუძნება კონკრეტულ მაგალითებს და ინტერაქტიული სწავლის სიტუაციებს.

მხატვრებმა, რომლებიც წინამდებარე სახელმძღვანელოს ყდის დიზაინზე მუშაობდნენ, შექმნეს ცხრა ნაწილისაგან შემდგარი ასაწყობი თავსატეხი, რომელთაგანაც თითოეული ნაწილი წიგნის თითოეულ თავს წარმოადგენს. ამ ნაწილების ერთმანეთთან შეერთებით სრულ სურათს ვიღებთ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოცემული ცხრა ცნება ერთმანეთთან მრავალი კუთხით არის დაკავშირებული და ერთად კი მნიშვნელობის მატარებელ მთლიანობას ქმნის. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული თავები ცალ-ცალკეც შეიძლება იქნეს გამოყენებული და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში, თავსატეხის თითოეულ ნაწილს საკუთარი დანიშნულება და ღირებულება გააჩნია. სახელმძღვანელოში შესული ცხრა თავი განკუთვნილია, ერთი აკადემიური წლის მანძილზე, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის.

ნათქვამია, სურათი ათას ნათქვამ სიტყვას აღემატება. ამ სურათს მკითხველისათვის ბევრი რამის თქმა შეუძლია სახელმძღვანელოში მოცემული ცხრა ცნების შესახებ, დიდაქტიკასთან დაკავშირებული არჩევანისა და კონსტრუქტივისტული სწავლის შესახებ.

# თავი 1

# ინდივიდუალობა

## დაწყებითი საფეხური

### მე და საზოგადოება, რომელსაც ვეკუთვნი

1.1 ეს არის ის, რაც მე მომწონს

მე ვარ ბიჭი/მე ვარ გოგო და ის, რაც მე მომწონს, კარგია

1.2 ჩემი საკუთარი სიმბოლოები (გერბი I)

ეს მე ვარ

1.3 ეს ჩვენი გერბია (გერბი II)

ჩვენ ერთ გუნდად ძლიერი ვართ, რადგან პიროვნებები ვართ

1.4 პიროვნებები და ადამიანთა ჯგუფები

ძლიერი პიროვნებები ძლიერი საზოგადოების საწინდარია

**თავი 1: ძირითადი ცნება - „ინდივიდუალობა“ (დაწყებითი საფეხურისათვის) ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: რა გავლენას ახდენს მოსწავლეების თვითშეფასება მათ პიროვნებაზე, ჯგუფში მათ მონაწილეობასა და მათ მიერ საზოგადოების აღქმაზე?**

„ინდივიდუალობა“ ფსიქოლოგიაში უკავშირდება წარმოდგენას საკუთარი პიროვნების შესახებ (პიროვნების გონებაში ჩამოყალიბებული წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ), თვითშეფასებასა და ინდივიდუალურობას. გენდერული იდენტობა ინდივიდუალობის ცნების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს პიროვნების მიერ საკუთარი თავის - როგორც პიროვნების აღქმას, ასევე, საკუთარი თავის აღქმას სხვებთან დამოკიდებულებაში და, აქედან გამომდინარე, განსაზღვრავს ამ პიროვნების ქმედებასა და წვლილს ჯგუფში.

„ინდივიდუალობა“ სოციოლოგიაში ფოკუსირებულია ქცევის მოდელის ცნებაზე. ამ თვალსაზრისით, პიროვნება საკუთარი ინდივიდუალობის შესახებ აღმოჩენას აკეთებს სოციალურ გარემოში როლებისა და ფუნქციების შესწავლისა და ამ როლებში პირადი გამოცდილების საშუალებით.

თუმცა ტერმინი „ინდივიდუალობა“, ჩვეულებრივ, პიროვნების ინდივიდუალობას აღნიშნავს - ყველა იმ მახასიათებელს, რაც მას სხვებისაგან გამორჩეულსა და უნიკალურს ხდის. ამასთან, სოციოლოგიაში მოცემული ტერმინი ხშირად სოციალური ინდივიდუალობის აღსანიშნავად გამოიყენება, ან აღნიშნავს კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებას, რაც პიროვნების ინდივიდუალობას განსაზღვრავს.

ნათელია, რომ ინდივიდუალობა ძალიან მნიშვნელოვან ცნებას წარმოადგენს სხვადასხვა სფეროსათვის. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კონტექსტში ინდივიდუალობას სპეციფიკური დატვირთვა აქვს: როდესაც ადამიანები აცნობიერებენ საკუთარ პოზიციას, მათ შეუძლიათ, დახმარება გაუწიონ ერთმანეთს ინდივიდუალურად და

ჯგუფურად. ეს არის პროცესი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება და მუდმივად განიცდის ცვლილებას. პიროვნების მიერ საკუთარი ინდივიდუალობის გაცნობიერების ან აღმოჩენის ხელშეწყობა, აქედან გამომდინარე, ადრეული ასაკიდან არის საჭირო. ამისათვის დიდაქტიკური საშუალებები კი არ გვჭირდება, არამედ პიროვნებისათვის გარკვეული შესაძლებლობების მინიჭება, რათა მან საკუთარი თავი აღმოაჩინოს, ყველა იმ დადებითი და უარყოფითი მხარეებით, რაც ამ პროცესს სდევს თან. ღია და დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირება მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ინდივიდუალურ პირებს აქვთ შესაძლებლობა, დაიცვან სხვები ისე, რომ ამ პროცესში არ დაკარგონ საკუთარი ინდივიდუალობა.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შემდეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| ** | *** | * |

| | |
|---|---|
| ***დამხმარე ინსტრუმენტები*** <br> *წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **0** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **x** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **0** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **0** | პოსტერების შექმნა |
| **x** | გამოფენების მოწყობა |
| **x** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **0** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **0** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **0** | წარმოდგენების გამართვა |
| **0** | დებატების წარმოება |

## თავი 1: ინდივიდუალობა

## მე და საზოგადოება, რომელსაც ვეკუთვნი

## რა გავლენას ახდენს მოსწავლეების თვითშეფასება მათ პიროვნებაზე, ჯგუფში მათ მონაწილეობასა და მათ მიერ საზოგადოების აღქმაზე?

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1:<br><br>ეს არის ის, რაც მე მომწონს | მოსწავლეები აღმოაჩენენ, თუ რა უნარებსა და ცოდნას ფლობენ ისინი და მათი თანაკლასელები. მოსწავლეები ეცნობიან გენდერული სტერეოტიპების გავლენას. | მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ იმის შესახებ, თურას ანიჭებენ უპირატესობას და როგორია მათი ქცევა, ოთხ კატეგორიაში. ისინი თავიანთ პასუხებს უზიარებენ სხვა მოსწავლეებს და მსჯელობენ მათზე. | ქაღალდის ფურცლები და კალმები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების („მე მომწონს და მე არ მომწონს“ ცხრილი) ასლები. | დამოუკიდებელი სამუშაო და ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |
| გაკვეთილი 2:<br>ჩემი საკუთარი სიმბოლოები (გერბი I) | მოსწავლეები იმაღლებენ თვითშეფასებას, საკუთარი დადებითი მხარეების გაცნობიერებისა და დაფასების საშუალებით. | მოსწავლეები ქმნიან საკუთარ სიმბოლოებს, რომლებიც ჯგუფის გერბის ელემენტების სახით იქნება გამოყენებული. ისინი საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს იმის შესახებ, თუროგორია მათ მიერ საკუთარი პიროვნების აღქმა და იყენებენ იმ დადებით მხარეებს, რომლებიც მათ პირველი გაკვეთილის მსვლელობისას აღმოაჩინეს. მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს, რაც შემდგომი გაკვეთილისათვის მზადების ელემენტს წარმოადგენს. | წინა გაკვეთილზე მოსწავლეების მიერ შევსებული ცხრილები, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების ასლები, მათზე დატანილი გერბით (თითო მოსწავლეზე ორი ასლი), ფერადი ფანქრები, მაკრატელი. | დამოუკიდებელი სამუშაო, ჯგუფების შექმნა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 3: ეს ჩვენი გერბია (გერბი II) | მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლიათ მათ ჯგუფისათვის, მათი პიროვნებების დადებითი მხარეების გათვალისწინებით. მოსწავლეები არჩევენ და თანხმდებიან ჯგუფის სახელწოდებაზე და მის დევიზზე. | მოსწავლეები მუშაობენ ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში. თითოეული მათგანი ჯგუფის დანარჩენ წევრებს აცნობს საკუთარ სიმბოლოებს და უხსნის მათ მნიშვნელობას. ჯგუფის წევრები ერთად ქმნიან გერბს და ურჩევენ მას სახელს, დევიზს და საერთო სიმბოლოს. მოსწავლეთა ჯგუფი მთლიან კლასს აცნობს საკუთარ გერბს. | წინა გაკვეთილზე, მოსწავლეების მიერ შედგენილი გერბები, ფერადი ფანქრები, წებო. | ჯგუფური სამუშაო (ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში) და ჯგუფური პრეზენტაცია. |
| გაკვეთილი 4: პიროვნებები და ადამიანთა ჯგუფები | მსჯელობის საშუალებით, მოსწავლეები აცნობიერებენ, რა სარგებლის მოტანა შეუძლიათ მათ, საკუთარი დადებითი მხარეების გათვალისწინებით, ჯგუფისათვის. ისინი ეცნობიან გუნდური მუშაობისა და სამუშაოს გადანაწილების პრინციპებს. მათ შეუძლიათ საზოგადოებაში ჯგუფების იდენტიფიცირება, სადაც ჯგუფის წარმატებას განაპირობებს სხვადასხვა ინდივიდუალური დადებითი მხარის შერწყმა. | მოსწავლეები საუბრობენ საკუთარ დადებით მხარეებზე და უკავშირებენ მათ სკოლის გარეთ მიღებულ გამოცდილებას. ბრეინშტორმინგის მეთოდის გამოყენებით, ისინი ასახელებენ სიტუაციებს, სადაც ჯგუფის წარმატების მისაღწევად სხვადასხვა უნარია საჭირო. | დაფა ან ფლიპჩარტი. | საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილი 1**

**ეს არის ის, რაც მე მომწონს**

**მე ვარ ბიჭი/მე ვარ გოგო და ის, რაც მე მომწონს, კარგია**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აღმოაჩენენ, თუ რა უნარებსა და ცოდნას ფლობენ ისინი და მათი თანაკლასელები. მოსწავლეები ეცნობიან გენდერული სტერეოტიპების გავლენას. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ იმის შესახებ, თუ რას ანიჭებენ უპირატესობას და როგორია მათი ქცევა ოთხ კატეგორიაში. ისინი საკუთარ პასუხებს უზიარებენ სხვა მოსწავლეებს და მსჯელობენ მათზე. |
| **რესურსები** | ქაღალდის ფურცლები და კალმები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების („მე მომწონს და მე არ მომწონს“ ცხრილი) ასლები. |
| **მეთოდები** | დამოუკიდებელი სამუშაო და ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მასწავლებელს შემოაქვს თემა, მოსწავლეებისათვის ისეთი კითხვების დასმით, როგორიცაა: „რისი კეთება გიყვართ?“ „რისი კეთება არ გიყვართ?“ „რას აკეთებენ გოგონები?“ და „რას აკეთებენ ვაჟები?“ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დროს სავარაუდო პასუხების მოსაფიქრებლად და შემდეგ ისმენს მათ პასუხებს.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს, ქაღალდის ფურცლებსა და კალმებს. მოსწავლეებმა შუაზე უნდა გადაკეცონ სამუშაო ფურცლები და პირველ ეტაპზე მხოლოდ მათი ზედა ნაწილი გამოიყენონ. მასწავლებელი მოსწავლეებს შემდეგ დავალებას აძლევს:

— დაწერეთ, გოგონა ხართ თუ ვაჟი.
— დაწერეთ ხუთი რამ, რისი კეთებაც მოგწონთ და აკეთებთ.

— დაწერეთ ხუთი რამ, რისი კეთებაც გიწევთ, მაგრამ არ მოგწონთ.
— დაწერეთ ხუთი რამ, რისი კეთებაც არ მოგწონთ და არც აკეთებთ.
— დაწერეთ ხუთი რამ, რასაც არ აკეთებთ, მაგრამ ისურვებდით, რომ გეკეთებინათ.

ჩამოწერილი ყოველი პუნქტის გასწვრივ მიუთითეთ, თქვენი აზრით, თქვენი სქესისათვის ამის კეთება მისაღებია თუ არა (თუ თქვენ ვაჟი ხართ, შეჰფერით თუ არა ვაჟებს ამის კეთება და თუ თქვენ გოგონა ხართ, შეჰფერით თუ არა გოგონებს ამის კეთება).

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები სამუშაოს დაასრულებენ, მასწავლებელი მათ სთხოვს, ადგილებიდან ადგნენ, თავისუფლად იმოძრაონ საკლასო ოთახში და თავიანთი პასუხები გაუზიარონ ხუთ სხვა მოსწავლეს. ამ შემთხვევაში მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ მათი სამუშაო ფურცლების ქვედა ნაწილი, სადაც ისინი დააფიქსირებენ მათ მიერ არჩეული ხუთი მოსწავლის პასუხებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ერთად მოგროვდნენ  და დასხდნენ  წრეზე. იწყება საერთო საკლასო განხილვა, რომლის დასაწყისშიც მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს:

— რას ფიქრობთ თქვენი თანაკლასელების მიერ გაცემულ პასუხებზე? იყო მათ შორის ისეთი პასუხი, რომელმაც თქვენი გაკვირვება გამოიწვია?
— რა არის ისეთი, რისი კეთებაც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ?
— რომელი  იყო  თქვენი  თანაკლასელების  მიერ  განხორციელებული ქმედებებიდან ყველაზე  შთამბეჭდავი?
— თქვენი და თქვენი თანაკლასელების პასუხები დაემთხვა თუ არა, იმასთან დაკავშირებით, რისი კეთებაც გსურთ, მაგრამ არ აკეთებთ?
— რა ხდება მაშინ, თუ გოგონა ვაჟის გასაკეთებელ საქმიანობას ეწევა? ან ვაჟი გოგონას გასაკეთებელ საქმიანობას?
— როგორ უპასუხებდნენ ამ კითხვებს თქვენი ოჯახის წევრები?

— რატომ გავეცით ასეთი პასუხები? რატომ მივიჩნევთ, რომ ზოგიერთი საქმიანობა მხოლოდ გოგონებისათვის არის შესაფერისი, ხოლო ზოგიერთი საქმიანობა მხოლოდ ვაჟებისათვის?

დასასრულს, კითხვები უნდა დავუკავშიროთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას:

— რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ არ იცის იმის შესახებ, რომ თქვენ მოგწონთ იმის კეთება, რასაც აკეთებთ?
— რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ არ იცის იმის შესახებ, რომ თქვენ არ მოგწონთ იმის კეთება, რასაც აკეთებთ?
— ვინ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა უნდა აკეთოს გოგონამ და რა - ვაჟმა?
— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მკაცრად იქნება განსაზღვრული, თუ რა უნდა აკეთონ ვაჟებმა და რა - გოგონებმა?
— ფიქრობთ, რომ წესები უცვლელი დარჩება? ფიქრობთ, რომ ეს ყოველთვის ასე იყო?

დამატებითი სამუშაო: დამატებითი სამუშაოს სახით შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს იმ კითხვებზე, რომლებიც შეეხება იმ საქმიანობებს, რასაც მოსწავლეები არ აკეთებენ, მაგრამ სურვილი აქვთ, რომ აკეთონ. მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, ეძებს გზებს, რათა მოსწავლეებს მათი პასუხების შესაბამისი ქმედებების განხორციელების საშუალება მისცეს საკლასო გარემოში.

**გაკვეთილი 2**

**ჩემი საკუთარი სიმბოლოები (გერბი I)**

**ეს მე ვარ**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები იმაღლებენ თვითშეფასებას, საკუთარი დადებითი მხარეების გაცნობიერებისა და დაფასების საშუალებით. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ქმნიან სიმბოლოებს, რომლებიც ჯგუფის გერბის ელემენტების სახით იქნება გამოყენებული. ისინი საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორია მათ მიერ საკუთარი პიროვნების აღქმა და იყენებენ იმ დადებით მხარეებს, რომლებიც მათ პირველი გაკვეთილის მსვლელობისას აღმოაჩინეს. მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს, რაც შემდგომი გაკვეთილისათვის მზადების ელემენტს წარმოადგენს. |
| **რესურსები** | წინა გაკვეთილზე მოსწავლეების მიერ შევსებული ცხრილები, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების ასლები მასზე დატანილი გერბით (თითო მოსწავლეზე ორი ასლი), ფერადი ფანქრები, მაკრატელი. |
| **მეთოდები** | დამოუკიდებელი სამუშაო, ჯგუფების შექმნა. |

**ინფორმაცია**

ევროპული ტრადიციის თანახმად, გერბი წარმოადგენს ემბლემას, რომელიც ერთ კონკრეტულ პიროვნებას (ან ადამიანთა ჯგუფს) ეკუთვნის და მისი გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებისამებრ არის შესაძლებელი. ისტორიულად, გერბს იყენებდნენ რაინდები, ამით მათ გამოარჩევდნენ მტრის ჯარისკაცებისაგან. კონტინენტურ ევროპაში, პირს, რომელსაც არ ჰქონდა წოდება, შეეძლო მიეღო უბრალო მოქალაქის გერბი. ბეჭდებისა და ემბლემებისაგან განსხვავებით, გერბი

ჰერალდიკური ნიშნებით მორთულ სიმბოლოს წარმოადგენს. დღესაც, 21-ე საუკუნეში, გერბი გამოიყენება ზოგიერთი დაწესებულებისა და პირის მიერ (მაგალითად, ზოგიერთ უნივერსიტეტს სპეციალური წესები გააჩნია გერბის გამოყენებასთან და მის დაცვასთან დაკავშირებით).

გერბების შექმნის, გამოყენების, აღწერისა და აღრიცხვის ხელოვნებას ჰერალდიკა ეწოდება. ქვეყნების, შტატების, პროვინციების, ქალაქებისა და სოფლების მიერ გერბის გამოყენებას სამოქალაქო ჰერალდიკა ეწოდება.

**გაკვეთილის აღწერა**

1. მეორე გაკვეთილი იწყება მოსწავლეების მცირერიცხოვანი ჯგუფების შექმნით, რომელთაგანაც თითოეულში ოთხი მოსწავლეა გაერთიანებული. მოსწავლეთა ჯგუფების შექმნა რეკომენდებულია სპეციალური თამაშის გამოყენებით, როგორიცაა მაგალითად, ვისაც შეხვდება ერთმანეთთან დაკავშირებული ბარათები ან სურათები, რომელთაგანაც თითო კომპლექტი ოთხი ნაწილისაგან შედგება და ა.შ. მოსწავლეთა ამოცანას ამ თამაშში ერთნაირი ბარათების მფლობელების მოძიება და მათთან ერთად ჯგუფის შექმნა წარმოადგენს.

2. ამის შემდეგ, მოსწავლეები უნდა დასხდნენ ჯგუფებად. თითოეულ მოსწავლეს ურიგდება სამუშაო ფურცელი, რომელზეც გამოსახულია გერბის კონტურები. გარდა ამისა, ყოველ ჯგუფს აქვს ერთი სამუშაო ფურცელი, მასზე ასევე გამოსახული გერბით, რომელიც მათი სამუშაო მაგიდის შუაშია მოთავსებული. გერბი გაყოფილია ოთხ ნაწილად, რომელიც ჯგუფის წევრებმა უნდა გადაინაწილონ. მაგიდაზე მოთავსებული საერთო გერბის შესაბამის ნაწილში მოსწავლეები ფანქრით თავიანთ სახელებს წერენ. ხოლო მათთვის ინდივიდუალურად დარიგებული გერბებიდან უნდა ამოჭრან ის ნაწილი, რომელიც მათ ერგოთ.

3. ამის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა სიმბოლოს აირჩევდნენ ისინი, რომელიც მათ პიროვნებას ესადაგება. „ეს არის ის, რასაც მე წარმოვადგენ“ - ეს უნდა იყოს ამ დავალების ამოსავალი დევიზი. შესაძლებელია, ამ დევიზს დაემატოს ისეთი გზავნილი, როგორიცაა, „ეს არის ის, რაც

მე შემიძლია გუნდს შევმატო“. ამ მიზნით, მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, ისარგებლონ იმ ცხრილებით, რომლებიც მათ წინა, პირველ გაკვეთილზე შეავსეს. მათ შეუძლიათ, იდეები მოიძიონ იმ სვეტებში, სადაც მათი პასუხებია დაფიქსირებული კითხვებზე: „რისი კეთებაც მოგწონთ და აკეთებთ“ და „რას არ აკეთებთ, მაგრამ ისურვებდით, რომ აკეთებდეთ“. მოსწავლეების ამოცანა ამ ეტაპზე მდგომარეობს იმაში, რომ მათ უნდა შეარჩიონ სიმბოლო, რომელიც მათ ძლიერ მხარეს გამოხატავს და დაიტანონ ეს სიმბოლო გერბის მათ კუთვნილ ნაწილზე. ქვემოთ მოყვანილი კითხვები მოსწავლეებს დაეხმარება ამ ამოცანის შესრულებაში:

— როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს?
— რა გჭირდებათ?
— რისი კეთება შეგიძლიათ?
— რას ნანობთ, როდესაც განვლილ ცხოვრებას გადაავლებთ თვალს?

**გაკვეთილი 3**

**ეს ჩვენი გერბია (გერბი II)**

**ჩვენ ერთ გუნდად ძლიერი ვართ, რადგან პიროვნებები ვართ**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლიათ მათ ჯგუფისათვის, მათი პიროვნებების დადებითი მხარეების გათვალისწინებით. მოსწავლეები არჩევენ და თანხმდებიან ჯგუფის სახელწოდებაზე და მის დევიზზე. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები მუშაობენ ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში. თითოეული მათგანი ჯგუფის დანარჩენ წევრებს აცნობს საკუთარ სიმბოლოებს და უხსნის მათ მნიშვნელობას. ჯგუფის წევრები ერთად ქმნიან გერბს და ურჩევენ მას სახელს, დევიზს და საერთო სიმბოლოს. მოსწავლეთა ჯგუფი მთლიან კლასს აცნობს საკუთარ გერბს. |
| **რესურსები** | წინა გაკვეთილზე მოსწავლეების მიერ შედგენილი გერბები, ფერადი ფანქრები, წებო. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო (ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში) და ჯგუფური პრეზენტაცია. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოცემული გაკვეთილი წარმოადგენს წინა, მე-2 გაკვეთილის გაგრძელებას, სადაც მოსწავლეები განიხილავენ სიმბოლოებს, რომლებიც მათ შექმნეს და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შემდეგი დავალებების შესრულებას:

- აუხსენით თქვენს თანაგუნდელებს თქვენი სიმბოლოების მნიშვნელობა;
- თქვენ თქვენი სიმბოლოები მათთვის განკუთვნილ ადგილზე დააწებეთ;

— მოიძიეთ საერთო სიმბოლო თქვენი ჯგუფისათვის (გერბის ცენტრში), მოიფიქრეთ დევიზი თქვენი ჯგუფისათვის (ზედა დროშა) და თქვენი ჯგუფის სახელწოდება (ქვედა დროშა).

მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მოსწავლეებს, რომ გუნდის წევრებმა გადაწყვეტილება ერთად უნდა მიიღონ, რათა ყველას ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ გუნდის ნაწილს წარმოადგენს.

დასრულებული გერბები ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა უნდა წარადგინონ საერთო საკლასო სხდომაზე, რის შემდეგაც იგი სხვა ჯგუფების გერბებთან ერთად გამოიფინება კედელზე.

**გაკვეთილი 4**

**პიროვნებები და ადამიანთა ჯგუფები**

**ძლიერი პიროვნებები ძლიერი საზოგადოების საწინდარია**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მსჯელობის საშუალებით, მოსწავლეები აცნობიერებენ, რა სარგებლის მოტანა შეუძლიათ მათ, თავიანთი დადებითი მხარეების გათვალისწინებით, ჯგუფისათვის. ისინი ეცნობიან გუნდური მუშაობისა და სამუშაოს გადანაწილების პრინციპებს. მათ შეუძლიათ საზოგადოებაში ჯგუფების იდენტიფიცირება, სადაც ჯგუფის წარმატებას განაპირობებს სხვადასხვა ინდივიდუალური დადებითი მხარეების შერწყმა. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები საუბრობენ საკუთარ დადებით მხარეებზე და უკავშირებენ მათ სკოლის გარეთ მიღებულ გამოცდილებას. ბრეინშტორმინგის მეთოდის გამოყენებით, ისინი ასახელებენ სიტუაციებს, სადაც ჯგუფის წარმატების მისაღწევად სხვადასხვა უნარია საჭირო. |
| **რესურსები** | დაფა ან ფლიპჩარტი. |
| **მეთოდები** | საერთო საკლასო განხილვა. |

**ინფორმაცია**

დისკუსია (აზრებისა და შეხედულებების გაცვლა-გამოცვლა, ლათინური სიტყვიდან *discussion,* ე. ი. კამათი) ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ორ ან მეტ ადამიანს შორის ხორციელდება. ამ დროს ერთ ან რამდენიმე საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა - ე.ი. დისკუსია - და სადაც ყველა მხარე საკუთარი არგუმენტებით გამოდის. დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს ურთიერთპატივისცემის ფონზე. დისკუსიის დახვეწილი ფორმა გულისხმობს მასში მონაწილე მხარეების მზადყოფნას იმისათვის, რათა საშუალება მისცეს და, რიგ შემთხვევაში, გაამხნეოს სხვა მონაწილეები, რათა  მათ მისი მოსაზრებისაგან

განსხვავებული მოსაზრება თუ შეხედულება გამოთქვან და, ნაცვლად იმისა, რომ ხელაღებით უარყოს ეს მოსაზრებები, ყურადღებით მოისმინოს და გაითვალისწინოს ისინი. პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა სიმშვიდე, აუღელვებლობა და თავაზიანობა, ყველა მხარის სასარგებლოდ იმოქმედებს. საუკეთესო შემთხვევაში, დისკუსიის შედეგი პრობლემის მოგვარებაა ან კომპრომისი, რომელიც ყველასათვის მისაღებია.

თანამედროვე საზოგადოებებში, დისკუსიები წარმოადგენს უთანხმოებათა, ინტერესთა კონფლიქტისა და განსხვავებული მიზნების გამო შექმნილი დაპირისპირების ცივილიზებული, არაძალადობრივი გზით გადაჭრის საშუალებას. აქედან გამომდინარე, ამ გზით შესაძლებელი ხდება კონფლიქტების არა ჩახშობა, არამედ გადაჭრა. დისკუსიებში მონაწილეობისათვის საჭირო უნარების სწავლითა და დახვეწით, მოსწავლეები სწავლობენ, როგორ მიაღწიონ მშვიდობას და შეინარჩუნონ იგი საზოგადოებაში.

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები სხედან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს წინ უდევს ფლიპჩარტი.

მათ ეძლევათ დავალება, აწარმოონ სამსაფეხურიანი დისკუსია (იხილეთ, აგრეთვე, მოსწავლეებისათვის დასარიგებელი სამუშაო ფურცელი):

- დაფიქრდით იმ დადებით და ძლიერ თვისებებზე, რომლებიც თქვენს სიმბოლოს დაუდეთ საფუძვლად გერბის შედგენისას და ჩამოწერეთ ისინი ფლიპჩარტზე.
- განიხილეთ, რა სიტუაციაში შეიძლება თქვენს გუნდს გამოადგეს ეს თვისებები. მიუსადაგეთ მათ მაგალითები და დაწერეთ ფლიპჩარტზე.
- და ბოლოს, მოიფიქრეთ სიტუაცია სკოლის გარეთ, სადაც ეს დადებითი თვისებები და უნარები დაგეხმარებათ თქვენ და იმ ჯგუფს, რომელსაც თქვენ ეკუთვნით.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა ჯგუფები დაასრულებენ დისკუსიას, ისინი სხდებიან წრეზე და ერთად განიხილავენ შედეგებს საერთო საკლასო სხდომის ფორმატში.

მასწავლებლის მოვალეობაში შედის დისკუსიის იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეები ჩაწვდნენ იმ კონცეფციას, რომელიც გულისხმობს, რომ პიროვნების ძლიერი მახასიათებლები ჯგუფის ძლიერებას განაპირობებს.

# თავი 2

## მრავალფეროვნება და პლურალიზმი

### დაწყებითი საფეხური

ევროპა ჩემი სახლია

2.1 რას წარმოადგენს ევროპა?

რა ვიცი ევროპისა და იმ ადგილის შესახებ, სადაც მე ვცხოვრობ

2.2 ევროპა ჩემი სახლია (ფიზიკური რუკა I)

ევროპის ქვეყნები

2.3 ევროპა ჩემი სახლია (ფიზიკური რუკა II)

ევროპის მდინარეები, მთები და რელიეფი

2.4 ევროპელები ერთმანეთისაგან განსხვავებულნი და თანასწორნი არიან

რა გვაქვს საერთო და რით განვსხვავდებით

**თავი 2: ძირითადი ცნება - „მრავალფეროვნება და პლურალიზმი“ (დაწყებითი საფეხურისათვის)**

**ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: რა ევროპული ელემენტები ფიგურირებს მოსწავლეების ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს დროსა და სივრცის კავშირზე მოზრდილებისაგან განსხვავებული წარმოდგენა აქვთ. აქედან გამომდინარე, დაწყებით საფეხურზე, ევროპის თემაზე საუბრისას, საჭიროა ასაკობრივი ჯგუფისათვის საინტერესო და გასაგები საკითხების შერჩევა, რომელზეც შესაძლებელი იქნება ევროპული სწავლების კონცეფციის აგება. სივრცისა და ურთიერთობების ცნებები ამ ასაკობრივ ჯგუფში სხვაგვარად აღიქმება. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლეები ფლობენ ევროპის შესახებ, მათი დამოკიდებულებები ევროპის მიმართ და მათი ინტერესი, აგრეთვე, ის გზები და არხები, რომელთა საშუალებითაც ამ ასაკის მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას. როგორ უნდა ისწავლოს დაწყებითი კლასის მოსწავლემ ევროპის შესახებ? აქვე უნდა გავითვალისწინოთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ერთ-ერთი საკვანძო კითხვა, რომელიც ევროპას უკავშირდება: რას ნიშნავს იყო ევროპელი? დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება არ შეიცავს ეროვნულ კონცეფციას. იგი სხვადასხვა გარემოში - როგორიცაა ოჯახი, სამეზობლო, კლასი, სკოლა, რეგიონი, ქვეყანა და ევროპა - ადამიანთა თანაცხოვრების კონცეფციაა.

მოსწავლეთა რეალურ ყოფას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ თანამედროვე მოზარდები საერთაშორისო და, მაშასადამე, ევროპულ გარემოში იზრდებიან. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ყოველდღიურად უწევთ ურთიერთობა განსხვავებული ეროვნების ადამიანებთან, განსხვავებულ კულტურებთან და ესმით განსხვავებულ ენაზე საუბარი სხვადასხვა გარემოში:

— ისინი ცხოვრობენ და იზრდებიან სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის მატარებელი ბავშვების გვერდით (საბავშვო ბაღებში, სკოლებში, საცხოვრებელ ტერიტორიებზე);

— ისინი მოიხმარენ საერთაშორისო პროდუქციას;

— მოსწავლეების მიერ გამოყენებული მედია თუ სხვა საშუალებები აწვდის მათ ინფორმაციას ევროპისა და მსოფლიოს შესახებ (წიგნები, ჟურნალები, ტელევიზია, CD დისკები, ინტერნეტი, და სხვ.); და

— ისინი სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობენ.

მოზარდთა უმეტესობისათვის ამ კონტექსტთა უმრავლესობა ჩვეული და თავისთავადი მოვლენაა ადრეული ასაკიდან და მათი აღქმა გაუცნობიერებლად ხდება. მაგალითად, მოზარდები საკვებ პროდუქტებს, როგორიცაა მაკარონი, პიცა ან კრუასანი, არ ასხვავებენ მათი წარმოშობის მიხედვით, ვინაიდან ისინი თავად არ შესწრებიან ევროპაში სამომხმარებლო საქონლის დამკვიდრების ხანგრძლივსა და ნელ პროცესს. ამავდროულად, მედიის საშუალებით მუდმივად ვრცელდება სტერეოტიპები და გამარტივებული წარმოდგენები ჩვენი კონტინენტის სხვადასხვა ნაწილის შესახებ. მოზარდებისათვის სწორედ ეს სტერეოტიპები შეიძლება იქცეს ევროპის შესახებ „ცოდნის“ პირველწყაროდ, რომელიც, ერთგვარად „დამკვიდრებულ“ იქნა კიდეც. რეალურად კი ეს მხოლოდ პიროვნულ შეხედულებებსა და სუბიექტურ მოსაზრებებს წარმოადგენს, და არა ცოდნას.

ამგვარად, დაწყებითი კლასების მოსწავლეები არ უნდა განვიხილოთ, როგორც *tabula rasa,* ე.ი. როგორც სუფთა ფურცელი, როდესაც მათთან ევროპის შესახებ საუბარს ვიწყებთ. ევროპის შესახებ სწავლება, ამ ეტაპზე, გულისხმობს იმ ცოდნის დახარისხებას, სისტემაში მოყვანას, გაფართოებასა და ხორცშესხმას, რომელსაც მოსწავლეები ფლობენ. სწავლება და სწავლა, აქედან გამომდინარე, უნდა ითვალისწინებდეს არსებულ სტერეოტიპებს, ცრუ შეხედულებებსა და მოსაზრებებს და მიმართული უნდა იყოს მოსწავლეებისათვის მრავალკულტურული,

მრავალენოვანი და თავისთავად მრავალფეროვანი, მაგრამ თანასწორი ევროპული საზოგადოების შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდებაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისაგან განსხვავებით, ევროპის შესახებ სწავლება და სწავლა, დაწყებით საფეხურზე, საჭიროებს აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობას. სწავლება უნდა მოიცავდეს ძალიან ღია მიდგომას, რომელიც ორ დისციპლინურ განზომილებას მოიცავს - ობიექტურ-ნეიტრალურსა და იდეალურს - და რომელიც იყენებს კონკრეტულ მაგალითებს მოსწავლეების ყოველდღიური ცხოვრებიდან. ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის, რეალური კომუნიკაცია და მეგობრობა სწავლებასა და სწავლის ძირითად დიდაქტიკურ განზომილებებს წარმოადგენს. როდესაც მოსწავლეთა ჯგუფში წარმოდგენილია ემიგრანტთა ოჯახებიდან გამოსული ბავშვები, ეს შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ევროპისა და მისი ხალხების შესახებ სწავლების ამოსავალ თემად.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| ** | ** | *** |

| | |
|---|---|
| ***დამხმარე ინსტრუმენტები***<br>*წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
| **x** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **x** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **0** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **0** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **0** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **0** | პოსტერების შექმნა |
| **0** | გამოფენების მოწყობა |
| **x** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **0** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **0** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **x** | წარმოდგენების გამართვა |
| **0** | დებატების წარმოება |

## თავი 2: მრავალფეროვნება და პლურალიზმი

## ევროპა ჩემი სახლია

## რა ევროპული ელემენტები ფიგურირებს მოსწავლეების ყოველდღიურ ცხოვრებაში?

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1: რას წარმოადგენს ევროპა? | მოსწავლეები ავლენენ საკუთარ ცოდნას ევროპის შესახებ და აღმოაჩენენ, თუ რა წარმოდგენა აქვთ მათ ევროპის შესახებ. | მოსწავლეები მუშაობენ ევროპის რუკაზე. ისინი მიუთითებენ, საიდან არიან წარმოშობით, რუკაზე დააქვთ ქალაქები და ქვეყნები, რომლებიც იციან, სად მდებარეობს და, აგრეთვე, დროშები და ის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლის შესახებაც ისინი ფლობენ ინფორმაციას. | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების ასლები მასზე დატანილი ევროპის რუკითა და ქვეყნების საზღვრების კონტურებით, ფანქრები, წებო, მაკრატლები, ატლასი, წიგნები, ინტერნეტი (თუ ამის საშუალება არსებობს). | დამოუკიდებელი სამუშაო და ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |
| გაკვეთილი 2: ევროპა ჩემი სახლია (ფიზიკური რუკა I) | მოსწავლეები აწყობენ გათამაშებას და სიმბოლურად გამოსახავენ ევროპას სკოლის სათამაშო მოედანზე. მოსწავლეები ახდენენ მანძილისა და სიახლოვის შეცნობას. | მოსწავლეები აწყობენ გათამაშებას და სკოლის სათამაშო მოედანზე ევროპის წარმოსახვით რუკას გამოსახავენ. ისინი ადგენენ ქვეყნებისა და საზღვრების განლაგებას. მოსწავლეები მიუთითებენ ადგილს, საიდანაც ისინი არიან წარმოშობით. | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების ასლები, მათზე დატანილი შესავსები მოდელის სახით წარმოდგენილი ევროპის რუკით, ფერადი ქაღალდის ფურცლები, ატლასი, | წყვილებში მუშაობა და ჯგუფებში მუშაობა. |
| გაკვეთილი 3: ევროპა ჩემი სახლია (ფიზიკური რუკა II) | მოსწავლეები აცნობიერებენ ევროპის კონტინენტის განსხვავებულ მახასიათებლებს. ისინი ეცნობიან სივრცითი დამოკიდებულების აღქმას, ადგენენ რა, თუ საიდან არიან | რუკაზე საზღვრებისა და ქვეყნების დატანის შემდეგ, მოსწავლეებს ფიზიკურ რუკაზე დააქვთ რელიეფის მახასიათებლები, მდინარეები, მთები და სხვა მნიშვნელოვანი რელიეფური მახასიათებლები. | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების ასლები მათზე დატანილი შესავსები მოდელის სახით წარმოდგენილი ევროპის რუკით, ლურჯი ფერის მასალა (ქაღალდის ფურცლები, ქსოვილის | წყვილებში მუშაობა და ჯგუფებში მუშაობა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | წარმოშობით. | სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეების მიერ შედგენილ რუკას მოსწავლეები უღებენ სურათს. | ნაჭრები და ა.შ.), რუკაზე მდინარეების დასატანად, ფერადი მასალა (ქაღალდის ფურცლები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.), რუკაზე მთებისა და რელიეფის დასატანად, ატლასი, ფოტოაპარატი. | |
| გაკვეთილი 4: ევროპელები ერთმანეთისაგან განსხვავებული და თანასწორნი არიან | საერთო საკლასო განხილვისას, მოსწავლეები აცნობიერებენ ევროპის განსხვავებულ მახასიათებლებს. მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ევროპის ხალხებს ბევრი საერთო აქვთ, მაგრამ ამავდროულად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. | მოსწავლეები ათვალიერებენ ფიზიკური რუკის ფოტოს. მასწავლებელი იწვევს მათ სასაუბროდ და მოსწავლეები განიხილავენ მსგავსებებსა და განსხვავებებს ა) გეოგრაფიის თვალსაზრისით, ბ) სოციალური თვალსაზრისით. მოსწავლეები განიხილავენ ევროპის ფარგლებს შიგნით არსებულ სოციალურ განსხვავებებს და ცდილობენ, გამონახონ საერთო ენა, დიალოგის საწარმოებლად და გზები, ურთიერთგაგების მისაღწევად. | ფიზიკური რუკის ფოტო, ქვეყნების სურათები, დაფა ან ფლიჩარტი, ქაღალდის ფურცლები. | საერთო საკლასო განხილვა, ჯგუფური სამუშაო. |

**გაკვეთილი 1**

**რას წარმოადგენს ევროპა?**

**რა ვიცი ევროპის შესახებ**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები ავლენენ საკუთარ ცოდნას ევროპის შესახებ და აღმოაჩენენ, თუ რა წარმოდგენა აქვთ მათ ევროპის შესახებ. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები მუშაობენ ევროპის რუკაზე. ისინი მიუთითებენ, საიდან არიან წარმოშობით, რუკაზე დააქვთ ქალაქები და ქვეყნები, რომლებიც იციან, სად მდებარეობს და, აგრეთვე, დროშები და ის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლის შესახებაც ისინი ფლობენ ინფორმაციას. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების ასლები, მასზე დატანილი ევროპის რუკითა და ქვეყნების საზღვრების კონტურებით, ფანქრები, წებო, მაკრატლები, ატლასი, წიგნები, ინტერნეტი (თუ ამის საშუალება არსებობს). |
| **მეთოდები** | დამოუკიდებელი სამუშაო და ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეებს ურიგდებათ ევროპის შესავსები რუკის ნაბეჭდი ასლები (რეკომენდებულია A3 ფორმატის ფურცლებზე დაბეჭდილი). მათი ამოცანა მდგომარეობს იმ ცოდნის გააქტიურებაში, რომლებსაც ისინი უკვე ფლობენ ევროპის შესახებ. მოსწავლეები მუშაობას იწყებენ რუკის ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხების გაცემით.

ამის შემდეგ მასწავლებელი მათ ურიგებს სამუშაო ფურცლებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ევროპის ქვეყნებისა და დედაქალაქების, სახელმწიფო დროშების, მდინარეების, მთებისა და რელიეფის შესახებ). მოსწავლეები მუშაობენ მასალაზე და, ამავდროულად, მათ ეძლევათ საშუალება, ინფორმაცია მოიძიონ სხვა რესურსების

გამოყენებითაც, რომლებიც ხელმისაწვდომია მათთვის საკლასო გარემოში (ინტერნეტი, ატლასი, წიგნები და სხვ.).

მოსწავლეების მიერ შედგენილი, დასრულებული ევროპის რუკები გამოიფინება საკლასო ოთახის კედელზე.

საშინაო დავალების სახით, მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ევროპის ერთი ქვეყანა და მოიპოვონ ინფორმაცია მასზე. მათ მიერ შერჩეულ ევროპის ქვეყანაზე მასალა უნდა მოამზადონ მე-2 გაკვეთილისათვის. მათ, ასევე, შეუძლიათ, შეარჩიონ პარტნიორი, ვისთან ერთადაც იმუშავებენ შემდეგ გაკვეთილზე. იდეალურ შემთხვევაში, პარტნიორებად უმჯობესია შევარჩიოთ მოსწავლეები, რომელებიც ერთმანეთის მეზობლად მდებარე ქვეყნებს ირჩევენ.

**გაკვეთილი 2**

**ევროპა ჩემი სახლია (ფიზიკური რუკა I)**

**ევროპის ქვეყნები**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აწყობენ გათამაშებას და სიმბოლურად გამოსახავენ ევროპას სკოლის სათამაშო მოედანზე. მოსწავლეები შეეცდებიან მანძილისა და სიახლოვის შეცნობას. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები  აწყობენ გათამაშებას და სკოლის სათამაშო მოედანზე ევროპის წარმოსახვით რუკას გამოსახავენ. ისინი ადგენენ ქვეყნებისა და საზღვრების განლაგებას. მოსწავლეები მიუთითებენ ადგილს, საიდანაც ისინი არიან წარმოშობით. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების ასლები მათზე დატანილი, შესავსები მოდელის სახით წარმოდგენილი ევროპის რუკით, ფერადი ქაღალდის ფურცლები, ატლასი, |
| **მეთოდები** | წყვილებში მუშაობა და ჯგუფებში მუშაობა. |

**ინფორმაცია**

ტერმინი „ფიზიკური რუკა“ გამოიყენება ორი მნიშვნელობით. პირველი მნიშვნელობით, იგი ასახავს რუკას, გეოგრაფიულ კონტექსტში, რომელზეც გამოსახულია მახასიათებლები, როგორიცაა მთები, მდინარეები, ტბები, ზღვები, ოკეანეები და სხვა პერმანენტული გეოგრაფიული მახასიათებლები. მეორე მნიშვნელობით, ტერმინი „ფიზიკური რუკა“, გენეტიკურ კონტექსტში, ასახავს დნმ-ის განსხვავებას ორ გენს შორის და გენების წყვილს შორის შედარებას ეყრდნობა, რითაც იგი განსხვავდება გენეტიკური რუკისაგან.

წინამდებარე თავში, რომელიც ევროპას ეძღვნება, ტერმინი „ფიზიკური რუკა“ გამოყენებულია კარტოგრაფიული მნიშვნელობით და აგრეთვე მას ძალიან აქტიური

დატვირთვა ექნება, ვინაიდან მოსწავლეების ერთ-ერთ დავალებას ფიზიკური რუკის გათამაშება შეადგენს. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ამგვარი აქტივობა გაამარტივებს მათი მხრიდან სივრცითი დამოკიდებულების, საზღვრების ცნების, მდინარეების სიგრძისა და მთების სიმაღლის აღქმას. აგრეთვე, ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გაერკვნენ ევროპის კონტინენტზე თანაცხოვრების სოციალურ ასპექტებში. ქვეყნების „შენებისა“ და შემდეგ, მათ მიერ შექმნილ ამ ტერიტორიებზე დგომით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, ფიზიკურად შეიგრძნონ საკუთარი მეზობლები, ტერიტორიის საზღვრები და ბარიერები, როგორიცაა უცხო ენა, კულტურა და ქვეყნებს შორის არსებული სხვა განსხვავებები. „ცოცხალი“ ფიზიკური რუკის შექმნის კონცეფცია მჭიდროდ უკავშირდება კეთებისა და კონკრეტული გამოცდილების საშუალებით სწავლის ასპექტებს.

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში იმ ქვეყნებზე, რომელთა შესახებაც მათ მოძიებული აქვთ ინფორმაცია (საშინაო დავალების სახით, რომელიც მათ წინა, 1-ლი გაკვეთილის დასასრულს მიიღეს). გაკვეთილზე უნდა წარმოადგინონ მათ მიერ შესწავლილი ქვეყნის შესახებ მოპოვებული როგორც ვიზუალური, ასევე, ვერბალური ინფორმაცია. მოსწავლეებს გაკვეთილზე მოაქვთ მათ მიერ შედგენილი რუკებიც.

მთელი კლასის მოსწავლეები თავს იყრიან სკოლის სათამაშო მოედანზე. მასწავლებელი აძლევს დავალებას, „ააშენონ“ ევროპის ფიზიკური რუკა, ყველა ხელმისაწვდომი მასალის გამოყენებით. თითო ქვეყნის „შენების“ საქმეში ჩართულია ორ-ორი მოსწავლე. მასწავლებელი განსაზღვრავს რუკის ფარგლებს, იმ ტერიტორიის მონიშვნით, რომელზეც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ.

ამის შემდეგ, მოსწავლეები იწყებენ ქვეყნების საზღვრების „შენებას“, აუცილებელია, დაცული იყოს ქვეყნების ადგილმდებარეობა, რომ მეზობელი ქვეყნები ერთმანეთის გვერდით „აშენდეს“. საზღვრების დადების შემდგომ მოსწავლეებმა უნდა

განსაზღვრონ ქვეყნების საზღვრებს შიგნით დედაქალაქების ადგილმდებარეობა და დროშების ჩამაგრებით აღნიშნონ ისინი, მათ მიერ შექმნილ რუკაზე.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ აღნიშნულ საქმიანობას, ისინი უნდა ჩადგნენ მათ მიერ „აშენებული“ ქვეყნების საზღვრების შიგნით და აწარმოონ დიალოგი მეზობელი ქვეყნის „მობინადრე“ მოსწავლესთან. მათ ერთმანეთს უნდა გაუზიარონ ქვეყნის შესახებ მოძიებული ინფორმაცია. შესაძლებელია, წარმოიქმნას შეუმჩნეველი ბარიერები, მაგალითად, როგორიცაა უცხო ენაზე საუბარი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას მათ მიერ შესწავლილი ქვეყნის შესახებ, ყოველმა მოსწავლემ უნდა შეძლოს, ორიოდე სიტყვა წარმოთქვას „მისი“ ქვეყნის ენაზე. დიალოგის დანარჩენი ნაწილი მოსწავლეების მშობლიურ ენაზე უნდა წარიმართოს. მოსწავლეებმა რაც შეიძლება მეტი უნდა ისაუბრონ თავიანთ პარტნიორებთან „მეზობელი ქვეყნიდან“.

**გაკვეთილი 3**

**ევროპა ჩემი სახლია (ფიზიკური რუკა II)**

**ევროპის მდინარეები, მთები და რელიეფი**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აცნობიერებენ ევროპის კონტინენტის განსხვავებულ მახასიათებლებს. ისინი ეცნობიან სივრცითი დამოკიდებულების აღქმას, ადგენენ რა, თუ საიდან არიან წარმოშობით. |
| **მოსწავლის ამოცანა** | რუკაზე საზღვრებისა და ქვეყნების დატანის შემდეგ, მოსწავლეებს ფიზიკურ რუკაზე დააქვთ რელიეფის მახასიათებლები, მდინარეები, მთები და სხვა მნიშვნელოვანი რელიეფური მახასიათებლები. სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეების მიერ შედგენილ რუკას მოსწავლეები უღებენ სურათს. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლების ასლები მათზე დატანილი, შესავსები მოდელის სახით წარმოდგენილი ევროპის რუკით, ლურჯი ფერის მასალა (ქაღალდის ფურცლები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.), რუკაზე მდინარეების დასატანად, ფერადი მასალა (ქაღალდის ფურცლები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.), რუკაზე მთებისა და რელიეფის დასატანად, ატლასი, ფოტოაპარატი. |
| **მეთოდები** | წყვილებში მუშაობა და ჯგუფებში მუშაობა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები განსაზღვრავენ ევროპის ქვეყნებსა და მათ დედაქალაქებსა და დროშებს, მათ ამოცანას, შექმნილ რუკაზე მდინარეების, მთებისა და სხვა რელიეფური მახასიათებლების დატანა წარმოადგენს. ამ პროცესში ყველა „ქვეყნის წარმომადგენელი“ მოსწავლე ვერ მიიღებს მონაწილეობას, ვინაიდან ძირითადი მდინარეები, მთების ქედები და სხვ. ყველა ქვეყანაზე არ გადის.

იმისათვის, რომ პროცესში ყველა მოსწავლე იყოს ჩართული, მასწავლებელმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ახალი ჯგუფების შექმნის თაობაზე ან უზრუნველყოს იმ მოსწავლეების ჩართვა სხვა სამუშაოებში, რომლებმაც უკვე დაასრულეს სამუშაო.

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა მასალის გამოყენების საშუალება, როგორიცაა ქსოვილები, ქაღალდის ფურცლები და სხვ. რათა რუკაზე დაიტანონ მდინარეები და სხვა გეოგრაფიული მახასიათებლები.

მოსწავლეებს ფიზიკურ რუკაზე სხვა მახასიათებლების დატანაც შეუძლიათ, მაგრამ ეს ნებაყოფლობითი უნდა იყოს. მოსწავლეებმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ამის თაობაზე; ეს ასევე განპირობებულია იმ ინფორმაციით, რომლის მოპოვებაც მოსწავლეებმა შეძლეს ქვეყნების შესახებ, საშინაო დავალების სახით შესრულებული ქვეყნების კვლევის დროს (მაგალითად, საკვებ პროდუქტზე, ცნობილ ადამიანებზე და ა.შ.).

ფიზიკური რუკის შექმნის შემდეგ, მოსწავლეებმა ფოტოსურათზე უნდა აღბეჭდონ საკუთარი ნამუშევარი, საუკეთესო შემთხვევაში, სასურველია ფიზიკური რუკის ფოტოგრაფირება ორჯერ, ერთხელ მოსწავლეების თანდასწრებით, რომლებიც „საკუთარი“ ქვეყნის ტერიტორიაზე დგანან და მეორედ - მოსწავლეების გარეშე, სადაც რუკაზე დატანილი მდინარეები, მთები და სხვა გეოგრაფიული მახასიათებლები კარგად გამოჩნდება.

**გაკვეთილი 4**

**ევროპელები ერთმანეთისაგან განსხვავებულნი და თანასწორნი არიან**

**რა გვაქვს საერთო და რით განვსხვავდებით**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | საერთო საკლასო განხილვისას, მოსწავლეები აცნობიერებენ ევროპის განსხვავებულ მახასიათებლებს. მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ევროპის ხალხებს ბევრი საერთო აქვთ, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ათვალიერებენ ფიზიკური რუკის ფოტოს. მასწავლებელი იწვევს მათ სასაუბროდ და მოსწავლეები განიხილავენ მსგავსებებსა და განსხვავებებს ა) გეოგრაფიის თვალსაზრისით, ბ) სოციალური თვალსაზრისით. მოსწავლეები განიხილავენ ევროპის ფარგლებს შიგნით არსებულ სოციალურ განსხვავებებს და ცდილობენ, გამონახონ საერთო ენა, დიალოგის საწარმოებლად და გზები, ურთიერთგაგების მისაღწევად. |
| **რესურსები** | ფიზიკური რუკის ფოტო, ქვეყნების სურათები, დაფა ან ფლიპჩარტი, ქაღალდის ფურცლები. |
| **მეთოდები** | საერთო საკლასო განხილვა, ჯგუფური სამუშაო. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები სხდებიან წრეზე. მასწავლებელი მათ საშუალებას აძლევს, დაათვალიერონ ფოტოები, რომლებიც მათ საკუთარი ძალებით შექმნილ ფიზიკურ რუკას გადაუღეს. მოსწავლეთა ამოცანას წარმოადგენს ფოტოებზე დაკვირვებით იპოვონ ქვეყნებს შორის მსგავსებები და განსხვავებები. მათ უნდა სცადონ, პასუხი გასცენ შემდეგი ტიპის კითხვებს:

— ევროპის რომელ ნაწილშია მაღალი მთები?

— რომელია ევროპის ყველაზე გრძელი მდინარეები?
— რომელ ქვეყნებს აქვთ მსგავსი რელიეფი?
— რომელ ქვეყნებში მეტყველებენ ერთსა და იმავე ენაზე?
— რომელი ქვეყნებია განლაგებული ერთი და იმავე ზღვის ნაპირებზე?

მოსწავლეები იყენებენ ქვეყნების დახასიათებას ინფორმაციის მოსაპოვებლად. მათ მიერ შერჩეულ ქვეყანაზე მართავენ პრეზენტაციას ან წარმოდგენას.

მეორე ეტაპზე, მასწავლებელს შემოაქვს კითხვები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მოსწავლეების მიერ წარმოებულ ახალ დისკუსიას. ბუნებრივი და გეოგრაფიული მსგავსებებისა და განსხვავებების გარდა, ევროპას სხვა მახასიათებლებიც გააჩნია, რომელთა შედარებაც შესაძლებელია, მაგალითად, სოციალური ასპექტები ან მოვლენები, როგორიცაა მცდარი წარმოდგენები. მასწავლებელი სტიმულს აძლევს მოსწავლეებს, რათა მათ თავისუფლად გამოთქვან, თუ რას ფიქრობენ ევროპის მასშტაბით სოციალურ ასპექტებში არსებული განსხვავებების შესახებ, საშუალებას აძლევს რა მათ, უპასუხონ შემდეგი ტიპის კითხვებს:

— არის ევროპაში მდიდარი და ღარიბი ქვეყნები? რომელი ქვეყნებია მდიდარი? რომელი ქვეყნებია ღარიბი?
— არის ევროპაში ისეთი ქვეყნები, სადაც ცხოვრება, სხვა ქვეყნებთან შედარებით, რთულია? რა განაპირობებს ამ ქვეყნებში ცხოვრების სირთულეს?
— რატომ ტოვებენ საკუთარ ქვეყანას ადამიანები და გადადიან საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში? ამის რა მიზეზები შეიძლება არსებობდეს?

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს ევროპის ქვეყნებს შორის არა გეოგრაფიული მსგავსებებისა და განსხვავებების შესახებ, ისინი უნდა გადანაწილდნენ ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში; ჯგუფის წევრები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ევროპის ქვეყნებს შორის არსებული სოციალური განსხვავებების აღმოფხვრა ისე, რომ არ დაირღვეს ეროვნული თვითშეგრძნება და საფუძველი ჩაეყაროს კულტურათშორის დიალოგს. მოსწავლეთა ჯგუფებმა ამ პრობლემის გადაჭრის გზები უნდა გამონახონ, საკუთარი

მოსაზრებების შესახებ ქაღალდის ფურცლებზე გააკეთონ ჩანაწერები და გააცნონ კლასს. შემდეგ მოსწავლეებმა ფურცლები, რომლებზეც მათი მოსაზრებებია დატანილი, ფიზიკური რუკის ფოტოების გვერდით უნდა გააკრან (რაც ხელს უწყობს ვიზუალიზაციის პროცესს).

# თავი 3

## თანასწორობა

### დაწყებითი საფეხური

### უმცირესობები და უმრავლესობა

3.1 ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი

ჩვენ ჯგუფში ერთად ვართ და ჯგუფში ყველა მიღებულია

3.2 სამართლიანია?

უმცირესობები და უმრავლესობა  სკოლის სათამაშო მოედანზე (კვლევა)

3.3 სამართლიანია?

უმცირესობები და უმრავლესობა  სკოლის სათამაშო მოედანზე (კვლევის შედეგების განხილვა)

3.4 ძალაუფლების მატრიცა

უმცირესობები და უმრავლესობა  ჩვენს ქვეყანაში

## თავი 3: ძირითადი ცნება - „თანასწორობა“ (დაწყებითი საფეხურისათვის) ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: როგორ ავამაღლოთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ინფორმირებულობის დონე უმცირესობებისა და უმრავლესობის შესახებ

„ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი“ - ევროპაში ძალიან გავრცელებულ გამოთქმას წარმოადგენს. იგი გამოხატავს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „ზოგიერთ ადამიანთან ბევრი საერთო მაქვს, მაშინ როცა ზოგიერთთან თითქმის არაფერი მაკავშირებს. თუმცა ჩვენ გაგვაჩნია საერთო მახასიათებლებიც, უმეტესობა მახასიათებლებისა, განსხვავებული გვაქვს. ჩემი პიროვნების ზოგიერთი მახასიათებლის მიხედვით, მე უმრავლესობას ვეკუთვნი, ზოგიერთი მახასიათებლის მიხედით - უმცირესობას“. როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს ვაცნობთ უმრავლესობისა და უმცირესობის ცნებებს, საჭიროა, საკუთრივ ამ ტერმინების ახსნაც მივაწოდოთ მათ. ზოგადად, უმცირესობა წარმოადგენს ქვეყნის შიგნით არსებულ ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც ქვეყანაში მაცხოვრებელი მოსახლეობის უმრავლესობისაგან განსხვავებული პიროვნული და კულტურული მახასიათებლები გააჩნიათ. უმეტესობა შემთხვევაში, უმცირესობა გარკვეული ტერიტორიული ერთეულის (მაგალითად, რეგიონის) ფარგლებს შიგნით, დემოგრაფიული დაჯგუფების სახით არსებობს, მაგრამ, შესაძლებელია მისი წარმომადგენლები მთელი ქვეყნის მასშტაბით იყვნენ გაფანტული ან ქვეყნის საზღვრების გასწვრივ ცხოვრობდნენ. უმცირესობათა ის მახასიათებლები, რომლებიც მათ უმრავლესობისაგან განასხვავებს, ძალიან ხშირად არის ენა, ეთნიკური წარმომავლობა ან რელიგია, მაგრამ შესაძლებელია მათ ჰქონდეთ განსხვავებული მორალური შეხედულებები, გენდერული იდენტობა ან სოციალური სტატუსი.

ტერმინი უმცირესობა ზოგადად აღნიშნავს რაიმე საერთო ნიშნის მატარებელ ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც რაოდენობრივად სჭარბობს იმ ადამიანთა ჯგუფი,

რომლებიც ამ ნიშნით მათგან განსხვავებულები არიან. აქედან გამომდინარე, ზოგადად, უმცირესობები, ძირითადად, წარმოადგენენ ეთნიკურ ან ეროვნულ უმცირესობებს.

ევროპის საბჭოს, გაერთიანებული ერებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა კანონები უმცირესობათა უფლებების შესახებ. ეს უფლებები დაცულია სხვადასხვა დონეზე. ევროპის საბჭოს გააჩნია ორი მძლავრი ინსტრუმენტი უმცირესობათა უფლებების დასაცავად, ესენია: ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო-კონვენცია (ETS No. 157, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული) და რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია (ETS No. 148, რომელიც 1992 წელს იქნა მიღებული).

1992 წელს, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე, ასევე, მიღებულ იქნა დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც ეკუთვნიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს. 1988 წელს, ტოკიოში, საფუძველი ჩაეყარა დისკრიმინაციისა და რასიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო მოძრაობას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციისა და რასიზმის გამოვლინებების არსებულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. დისკრიმინაციისა და რასიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო მოძრაობა იცავს არაპრივილეგირებული ჯგუფების უფლებებს.

უმეტესობა შემთხვევაში, ტერმინი „უმცირესობა“ გულისხმობს ადამიანების ჯგუფს, რომლებიც შემდეგი მახასიათებლების მატარებელი არიან:

— სახელმწიფოს მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით მცირერიცხოვანი;

— ქვეყანაში არ სარგებლობენ დომინანტური სტატუსით;

— გააჩნიათ საერთო მახასიათებელი, როგორიცაა ეთნიკურობა, რელიგია და ენა;

— გააჩნიათ სოლიდარობის გრძნობა ან აიგივებენ საკუთარ თავს უმცირესობასთან.

უმცირესობათა კატეგორიებად დაყოფა მარტივი არ არის. უმცირესობათა ყველაზე მეტად გავრცელებულ კატეგორიებს წარმოადგენს:

— ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობები: ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც სახლობენ ადამიანთა სხვა ჯგუფებით დომინირებულ ტერიტორიაზე, ქვეყნის შიგნით.

— ენობრივი უმცირესობები: ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც მეტყველებენ ქვეყნის უმრავლესობის ენისაგან განსხვავებულ ენაზე.

— რელიგიური უმცირესობები: ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ქვეყნის უმრავლესობისაგან განსხვავებული აღმსარებლობის არიან, მაგალითად, როგორიცაა პროტესტანტები ირლანდიაში, ქრისტიანები საუდის არაბეთში, ან მუსულმანები დანიაში ან გერმანიაში.

— სექსუალური უმცირესობები.

— ასაკოვან ადამიანთა ჯგუფები (უმცირესობები).

— ახალგაზრდა ადამიანთა ჯგუფები (უმცირესობები).

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, მოსწავლეებთან უმცირესობებსა და უმრავლესობების შესახებ საუბრისას, აუცილებელია მათ გააცნოთ ეს ძირითადი მახასიათებლები. მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი უმცირესობათა და უმრავლესობათა ფუნქციისა და სტატუსის ანალიზი. უმცირესობათა ცნება ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის სიახლეს არ წარმოადგენს. სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოზარდებს ხშირად უწევთ იმის გარკვევა, „ეკუთვნიან“ თუ „არ ეკუთვნიან“ უმცირესობას.

ამ კონტექსტში, უმცირესობის დეფინიცია დამოკიდებულია სკოლაში მოსწავლეების რაგვარობაზე. სწორედ აქედან გამომდინარე, წინამდებარე გაკვეთილების სერია

იწყება მოსწავლეების ყოველდღიური გამოცდილებით, რომელიც უმცირესობისა და უმრავლესობის საკითხს უკავშირდება (გაკვეთილები 1, 2 და 3). შემდეგ ეტაპზე ხდება უფრო ფართო საზოგადოებაში არსებული უმრავლესობისა და უმცირესობების საკითხზე გადასვლა და სხვადასხვა ჯგუფის იდენტიფიცირება (გაკვეთილი 4). ის, თუ რა დონეზეა შესაძლებელი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის სტატუსის ანალიზი, დამოკიდებულია მოსწავლეების მიერ საკითხის განხილვის სიღრმეზე, მოსწავლეების მოტივაციასა და კლასის ზოგად აკადემიურ მოსწრებაზე. ყველა უმცირესობა არაპრივილეგირებული როდია. ჩვენს საზოგადოებებში არის მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც მეტად დომინანტური სტატუსით სარგებლობენ. მასწავლებლის ამოცანა მდგომარეობს ამ საკითხის შესახებ დებატების ინიცირებაში.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| *** | ** | ** |

| | |
|---|---|
| ***დამხმარე ინსტრუმენტები***<br>*წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **x** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **0** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **x** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **0** | პოსტერების შექმნა |
| **0** | გამოფენების მოწყობა |
| **0** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **0** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **0** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **0** | წარმოდგენების გამართვა |
| **0** | დებატების წარმოება |

## თავი 3: თანასწორობა

## უმცირესობები და უმრავლესობა

## როგორ ავამაღლოთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ინფორმირებულობის დონე უმცირესობებისა და უმრავლესობის შესახებ

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1: ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი | მოსწავლეები სწავლობენ, როგორ შეიცნონ და მიიღონ ერთმანეთი, როგორც ჯგუფის წევრები. მოსწავლეები აღმოაჩენენ, თუ რა აქვთ მათ საერთო, რაზეც ადრე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. მათ უყალიბდებათ განსხვავებებისადმი სწორი დამოკიდებულება და სწავლობენ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მსგავს სიტუაციებში. | მოსწავლეები ეცნობიან მთელ რიგ მახასიათებლებს, სათითაოდ. ისინი ფიქრობენ და ასკვნიან, გააჩნიათ თუ არა მათ თითოეული მოცემული მახასიათებელი. მას შემდეგ, რაც ისინი ამოიცნობენ მათთვის დამახასიათებელ მახასიათებლებს და მახასიათებლებს, რომლებსაც მათი თანაკლასელები ფლობენ, ისინი მსჯელობენ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. | ცარცი ან გრძელი ლენტი, იატაკზე ხაზის გასავლებად. | ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |
| გაკვეთილი 2: სამართლიანია? | მოსწავლეები აცნობიერებენ საკუთარ სკოლაში არსებულ სიტუაციას, შესვენებების პერიოდში სხვა მოსწავლეებზე დაკვირვების საშუალებით. | მოსწავლეები ახორციელებენ კვლევას სკოლის სათამაშო მოედანზე, ითვლიან რა იმ მოსწავლეების რაოდენობას, რომლებიც სხვადასხვა სახის აქტივობებში არიან ჩართული. ისინი ინიშნავენ შედეგებს და ინტერვიუებს იღებენ იმ მოსწავლეებისაგან, | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცელის ასლები, მათზე დატანილი შენიშვნების გასაკეთებელი ცხრილით, სკოლის სათამაშო მოედანზე ჩანაწერების გასაკეთებლად, კალმები. | ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში მუშაობა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | რომლებიც არ არიან ჩართულნი არც ერთ აქტივობაში. | | |
| გაკვეთილი 3: სამართლიანია? | მოსწავლეები აჯამებენ მათ მიერ შეგროვილ მონაცემებს და აანალიზებენ გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგებს და სათანადო დასკვნები გამოაქვთ მათზე დაყრდნობით. მოსწავლეები აკეთებენ დასკვნებს, მათ სკოლაში არსებული უმცირესობათა და უმრავლესობათა ჯგუფების შესახებ. | მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეკრებენ ყველა მონაცემს და დააჯგუფებენ მათ, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ნიშნით, ისინი მუშაობენ შედეგებზე, აწარმოებენ შედეგების ანალიზსა და ინტერპრეტირებას. მოსწავლეები ადგენენ სტატისტიკას და შედეგებით წარსდგებიან კლასის წინაშე. | წინა გაკვეთილზე გაკეთებული ჩანაწერები, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცელის ასლები, მათზე დატანილი სტატისტიკური ცხრილით, ფერადი ფანქრები, პოსტერები, წებო. | ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში მუშაობა, პრეზენტაცია. |
| გაკვეთილი 4: ძალაუფლების მატრიცა | იმართება საერთო საკლასო განხილვა, რომლის დროსაც, მოსწავლეები აკეთებენ დასკვნებს იმის შესახებ, რომ მათ ქვეყანაში წარმოდგენილია როგორც უმცირესობათა, ასევე უმრავლესობათა ჯგუფები. ისინი აცნობიერებენ, რომ გარიყულობის შეგრძნება შესაძლებელია შედეგი იყოს არა მხოლოდ იმისა, თუ როგორ აღიქვამენ საზოგადოების წევრები პიროვნებას, არამედ აგრეთვე იმისა, თუ როგორ აღიქვამენ პიროვნებას მისი | მოსწავლეებს საშუალება აქვთ, გაეცნონ ბარათებს, რომლებზეც ასახულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი, ამათგან ზოგი ჯგუფი უმცირესობას განეკუთვნება, ზოგი - უმრავლესობას. მოსწავლეებმა უნდა დაახარისხონ ბარათები იმის მიხედვით, მასზე ასახული ჯგუფები, მათი თვალსაზრისით, უმცირესობას განეკუთვნებიან თუ უმრავლესობას. ჯგუფებს მათ უნდა დაურთონ ბარათები, შეფასების სიმბოლოებით. იმართება საერთო | ბარათები სიტყვებით, ბარათები შეფასების სიმბოლოებით. | საერთო საკლასო განხილვა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საკუთარი ჯგუფის წევრები. | საკლასო განხილვა, რომლის დროსაც მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, თურა გავლენა აქვს ჯგუფის წევრებზე იმას, უმცირესობას მიეკუთვნება იგი, თუ უმრავლესობას. | | |

**გაკვეთილი 1**

**ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი**

**ჩვენ ჯგუფში ერთად ვართ და ჯგუფში ყველა მიღებულია**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები სწავლობენ, როგორ შეიცნონ და მიიღონ ერთმანეთი, როგორც ჯგუფის წევრები. მოსწავლეები აღმოაჩენენ, თუ რა აქვთ მათ საერთო, რაზეც ადრე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. მათ უყალიბდებათ განსხვავებებისადმი სწორი დამოკიდებულება და სწავლობენ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მსგავს სიტუაციებში. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ეცნობიან მთელ რიგ მახასიათებლებს, სათითაოდ. ისინი ფიქრობენ და ასკვნიან, გააჩნიათ თუ არა მათ თითოეული მოცემული მახასიათებელი. მას შემდეგ, რაც ისინი ამოიცნობენ მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს და მახასიათებლებს, რომლებსაც მათი თანაკლასელები ფლობენ, ისინი მსჯელობენ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. |
| **რესურსები** | ცარცი ან გრძელი ლენტი, იატაკზე ხაზის გასავლებად. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მასწავლებელი საკლასო ოთახის შუაში, იატაკზე ავლებს ხაზს ან იატაკზე ათავსებს ზონარს. იატაკზე გავლებული ხაზის ორივე მხარეს საკმარისი ადგილი უნდა იყოს დატოვებული, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ დადგომა.

მასწავლებელი სთხოვს ყველა მოსწავლეს, დადგნენ საკლასო ოთახის იატაკზე გავლებული ხაზის ერთ მხარეს.

მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე საკლასო ოთახის იატაკზე გავლებული ხაზის ერთ მხარეს დადგება, მასწავლებელი სათითაოდ ამოიკითხავს მახასიათებლებს.

თითოეული მახასიათებლის ამოკითხვის შემდეგ, ყველა მოსწავლე უნდა დაფიქრდეს იმაზე, ახასიათებს მას თუ არა იგი და იმ მოსწავლეებმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამ მახასიათებლის მატარებელნი არიან, უნდა გადააბიჯონ იატაკზე გავლებულ ხაზს და გადაამოწმონ, მათ გარდა ვინ გადაკვეთა ხაზი.

ქვევით მოცემულია იმ ზოგიერთ მახასიათებელთა ჩამონათვალი, რომელიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ამ პროცესში:

— აცვია ჯინსი;
— აქვს ლურჯი თვალები;
— უმოგზაურია ევროპის სხვა ქვეყნებში;
— ჰყავს და ან ძმა;
— უყვარს ტელევიზორის ყურება;
— უყვარს ფეხბურთის თამაში.

მოსწავლეებს შეუძლიათ, თავად შესთავაზონ მასწავლებელს მახასიათებლები, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მასწავლებლის მხრიდან საჭიროა ყურადღების გამოჩენა, რათა მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი მახასიათებელი მტკივნეული არ აღმოჩნდეს რომელიმე მოსწავლისათვის; მოსწავლეების მიერ ამგვარი მახასიათებლის დასახელების შემთხვევაში, საჭიროა მასწავლებლის სათანადო რეაგირება.

მას შემდეგ, რაც თამაში დასრულდება, მოსწავლეები უნდა დასხდნენ წრეზე და განიხილონ შემდეგი საკითხები:

— რომელიმე მოსწავლე აღმოჩნდა იმ მოსწავლესთან ერთად ჯგუფში, რომელთანაც, მისი აზრით, არაფერი საერთო არ ჰქონდა?
— როგორი შეგრძნებაა, ეკუთვნოდე მრავალრიცხოვან ჯგუფს?
— როგორი შეგრძნებაა, იყო ყველასაგან გამორჩეული?

ალტერნატიული ვარიანტი:

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ერთ რომელიმე მახასიათებელს ამოიკითხავს, მოსწავლეები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამ მახასიათებლის მატარებლები არიან, ერთად გროვდებიან და მცირე დროის მანძილზე განიხილავენ, თუ რა აქვთ მათ საერთო. მათი მსჯელობის საგანი შესაძლებელია იყოს, მაგალითად, ის, თუ რას ანიჭებენ უპირატესობას, ან მათი ქცევის მანერა.

**გაკვეთილი 2**

**სამართლიანია?**

**უმცირესობები და უმრავლესობა  სკოლის სათამაშო მოედანზე (კვლევა)**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აცნობიერებენ საკუთარ სკოლაში არსებულ სიტუაციას, შესვენებების პერიოდში სხვა მოსწავლეებზე დაკვირვების საშუალებით. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ატარებენ კვლევას სკოლის სათამაშო მოედანზე, ითვლიან რა იმ მოსწავლეების რაოდენობას, რომლებიც სხვადასხვა სახის აქტივობაში არიან ჩართულნი. ისინი ინიშნავენ შედეგებს და ინტერვიუებს იღებენ იმ მოსწავლეებისაგან, რომლებიც არ არიან ჩართულნი არც ერთ აქტივობაში. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცელის ასლები, მათზე დატანილი, შენიშვნების გასაკეთებელი ცხრილით, სკოლის სათამაშო მოედანზე ჩანაწერების გასაკეთებლად, კალმები. |
| **მეთოდები** | ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში მუშაობა. |

**ინფორმაცია**

**რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე**

მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი მეთოდი - სტატისტიკა - სკოლებში რამდენიმე მიზეზის გამო ისწავლება: სტატისტიკა გამოსადეგია ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი ინსტრუმენტულ ფუნქციას ასრულებს სხვა დისციპლინებში და ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, როდესაც გამოიყენება რეალური მონაცემები.

სტატისტიკის სწავლება, დაწყებით საფეხურზე, როგორც წესი, ხორციელდება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან კომბინირების საშუალებით, ან მათემატიკის შემადგენელი ნაწილის სახით. ბევრ შემთხვევაში, მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი მეთოდის სწავლება, დაწყებით საფეხურზე, მხოლოდ ინსტრუმენტულ დონეზე რჩება და ძალიან იშვიათად მოიცავს შეგროვებულ მონაცემთა ანალიზსა და ინტერპრეტირებას. კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რაოდენობრივი მეთოდის სწავლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შედეგების, ცხრილებისა და დიაგრამების პრეზენტაციით. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მონაცემთა შეგროვების მეთოდებსა და გაკეთებულ აღმოჩენებს შორის კავშირზე და, საჭიროა, ასევე, შედეგების ინტერპრეტირება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ხარისხობრივი კვლევის დამატება მოსწავლეებს ეხმარება, უკეთესად აღიქვან ის, თუ რა განაპირობებს მონაცემთა შესახებ ჩანაწერების წარმოებას და რა უდევს მას საფუძვლად. ამ კონტექსტში რეკომენდებულია, მოსწავლეებს მივცეთ საშუალება, რათა მათ თავად შეადგინონ გამოკითხვისა და ინტერვიუებისათვის საჭირო კითხვები. ამგვარად, მოსწავლეებს ექმნებათ რეალური წარმოდგენა იმ საკითხზე, რომლის კვლევაც მიმდინარეობს. მომდევნო ორი გაკვეთილი აგებულია მოსწავლეთა პირადი ცხოვრებიდან აღებულ, რეალურ მონაცემთა გამოყენების ელემენტებზე და შედეგთა ინტერპრეტირებაზე.

**გაკვეთილის აღწერა**

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი ატარებს კვლევას სკოლის სათამაშო მოედანზე, შესვენებების დროს მიმდინარე მოვლენების ერთ-ერთ ასპექტზე.

ასპექტები, რომლის კვლევაც მოსწავლეებმა უნდა აწარმოონ, შესაძლებელია იყოს:

- ვაჟებისა და გოგონების რაოდენობა, რომლებიც აქტივობებში არიან ჩართულნი;
- სპორტული აქტივობების რაოდენობა;

— სპორტული თამაშებისაგან განსხვავებული აქტივობების რაოდენობა;
— განხილული საკითხები;
— დაბალ და მაღალ კლასელთა განსხვავებული აქტივობები.

თითოეულ ჯგუფს უნდა დაევალოს ერთი ასპექტის კვლევა, რომლის საფუძველზეც გამოავლენენ სკოლაში არსებულ უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს. მოსწავლეთა ჯგუფებმა უნდა ჩამოაყალიბონ ერთი კითხვა კვლევის თემაზე, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება მათი კვლევის ძირითად ობიექტზე. მათ თავიანთი ძირითადი კითხვა უნდა ჩაწერონ კვლევისათვის განკუთვნილი ცხრილის ნაბეჭდ ასლში.

ქვევით მოყვანილია კითხვების მაგალითები:

— „რამდენი ვაჟი და რამდენი გოგონაა ჩართული აქტივობებში შესვენების დროს?“
— „რა ტიპის სპორტული აქტივობებით არიან დაკავებულნი მოსწავლეები შესვენების დროს და ვინ არის ჩართული ამ აქტივობებში?“

დამატებით, მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ მაქსიმუმ ხუთი კითხვისაგან შემდგარი კითხვარი, საკვლევ ასპექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელთა გამოყენებითაც ისინი გამოჰკითხავენ სხვა მოსწავლეებს სკოლის სათამაშო მოედანზე.

კითხვარში შესული კითხვების მაგალითებია:

— „თქვენი აზრით, რატომ არის ამ აქტივობაში ჩართული მეტი ვაჟი/გოგონა ვიდრე გოგონა/ვაჟი?“
— „თქვენი აზრით, რატომ არის ამ აქტივობაში ჩართული ნაკლები ვაჟი/გოგონა ვიდრე გოგონა/ვაჟი?“
— „რის შეცვლას ისურვებდი?“

დიდი შესვენების დროს, მოსწავლეები გადიან სკოლის სათამაშო მოედანზე და აწარმოებენ თავიანთ კვლევას ჯგუფურად. კლასის ორგანიზების დონიდან

გამომდინარე, კვლევისათვის საჭირო სამუშაოები შესაძლებელია გადანაწილდეს ჯგუფებს შიგნითაც (ორი მოსწავლე აწარმოებს ჩანაწერებს რაოდენობრივი შედეგების შესახებ, ხოლო დანარჩენი ორი მოსწავლე გამოკითხვას ატარებს ასპექტის ხარისხთან დაკავშირებით და აწარმოებს შესაბამის ჩანაწერებს).

კვლევის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები ბრუნდებიან თავიანთ საკლასო ოთახში და განიხილავენ შედეგებს, საკუთარი ჯგუფის წევრებთან ერთად, მცირე დროის განმავლობაში. როგორია მათი ზოგადი შთაბეჭდილება? არის შედეგებს შორის კავშირი?

**გაკვეთილი 3**

**სამართლიანია?**

**უმცირესობები და უმრავლესობა  სკოლის სათამაშო მოედანზე (კვლევის შედეგების განხილვა)**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აჯამებენ მონაცემებს, აანალიზებენ გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგებს და სათანადო დასკვნები გამოაქვთ მათზე დაყრდნობით. მოსწავლეები აკეთებენ დასკვნებს მათ სკოლაში არსებულ უმცირესობათა და უმრავლესობათა ჯგუფების შესახებ. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეკრებენ ყველა მონაცემს და დააჯგუფებენ მათ, როგორც რაოდენობრივი, ასევე, ხარისხობრივი ნიშნით, ისინი მუშაობენ შედეგებზე, აწარმოებენ შედეგების ანალიზსა და ინტერპრეტირებას. მოსწავლეები ადგენენ სტატისტიკას და შედეგებით წარსდგებიან კლასის წინაშე. |
| **რესურსები** | წინა გაკვეთილზე გაკეთებული ჩანაწერები, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცელის ასლები, მათზე დატანილი სტატისტიკური ცხრილით, ფერადი ფანქრები, პოსტერები, წებო. |
| **მეთოდები** | ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში მუშაობა, პრეზენტაცია. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები ნაწილდებიან იმავე ჯგუფებად, რომლებშიც წინა გაკვეთილზე იმუშავეს და თან აქვთ, ასევე, წინა გაკვეთილზე გაკეთებული ჩანაწერები.

განიხილავენ, თუ როგორ სურთ მათ, გააცნონ კლასს კვლევის შედეგები. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს  დიდი ფორმატის თითო ფურცელს (მოსწავლეები ამ ფურცელს პოსტერის დასამზადებლად იყენებენ).

ამის შემდეგ, ჯგუფები იწყებენ შედეგების პრეზენტაციაზე მუშაობას. პოსტერზე შედეგები დატანილ უნდა იქნას სამ ნაწილად, ესენია:

- — რაოდენობრივი შედეგები (სტატისტიკური მიმოხილვა);
- — ხარისხობრივი შედეგები (ინტერვიუებისა და გამოკითხვის შედეგები);
- — შედეგების ინტერპრეტაცია და შესაძლო გასატარებელი ღონისძიებები.

პოსტერზე შედეგების დატანის ნიმუში:

| |
|---|
| კვლევის საგანი (კითხვა): |
| 1. სტატისტიკა |
| 2. მოსწავლეთა შეხედულებები<br>— *არ არის სამართლიანი, რომ...*<br>— *მე მივიჩნევ, რომ ჩვენ უნდა...*<br>—<br>— |
| 3. რას ნიშნავს ეს<br>— *საჭიროა მეტი სივრცის გამოყოფა სპორტული აქტივობებისათვის?*<br>— *ფეხბურთის თამაშში ჩართვის საშუალება გოგონებსაც უნდა ჰქონდეთ?*<br>—<br>— |

მოსწავლეთა ჯგუფების პოსტერების დამზადებაზე მუშაობის პერიოდში, მასწავლებელი უნდა გადაადგილდებოდეს საკლასო ოთახში და მოსწავლეებს,

კითხვების ჩამოყალიბებასა და/ან შედეგების დატანაში დახმარების მიზნით, აძლევდეს მითითებებსა და მინიშნებებს.

მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი დაასრულებს სამუშაოს, თითოეულ ჯგუფს ეძლევა 5 წუთი, კლასისათვის საკუთარი პოსტერის გასაცნობად. ამის შემდეგ ყველა პოსტერი უნდა გამოიფინოს სკოლაში, უმჯობესია ისეთ ადგილას, სადაც სხვა კლასის მოსწავლეებსაც ექნებათ საშუალება, გაეცნონ მათ.

ალტერნატიული ვარიანტი:

მოსწავლეთა ინტერპრეტაციებისა და მათ მიერ რეკომენდებული ღონისძიებების შესახებ იმართება შემდგომი დისკუსია, სადაც ასევე განიხილება ჩატარებული კვლევის შედეგები და ის შესაძლო შედეგები, რაც ამ კვლევას შეიძლება მოჰყვეს, როგორც კონკრეტული კლასის მოსწავლეებისათვის, ასევე, მთლიანი სკოლისათვის. ამ თემაზე პრეზენტაციის გაკეთებას, მოსწავლეთა საბჭოს წინაშე ან მასწავლებელთა კონფერენციაზე, შესაძლოა მოჰყვეს სკოლაში, უმრავლესობისა და უმცირესობის თვალსაზრისით არსებული სიტუაციის გარკვეული ცვლილებები.

**გაკვეთილი 4**

**ძალაუფლების მატრიცა**

**უმცირესობები და უმრავლესობა ჩვენს ქვეყანაში**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | იმართება საერთო საკლასო განხილვა, რომლის დროსაც მოსწავლეები აკეთებენ დასკვნებს იმის შესახებ, რომ მათ ქვეყანაში წარმოდგენილია როგორ უმცირესობათა, ასევე, უმრავლესობათა ჯგუფები. ისინი აცნობიერებენ, რომ გარიყულობის შეგრძნება შესაძლებელია შედეგი იყოს არა მხოლოდ იმისა, თუ როგორ აღიქვამენ საზოგადოების წევრები პიროვნებას, არამედ აგრეთვე იმისა, თუ როგორ აღიქვამენ პიროვნებას მისი საკუთარი ჯგუფის წევრები. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ბარათებს, რომლებზეც ასახულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები, ამათგან ზოგი ჯგუფი უმცირესობას განეკუთვნება, ზოგი - უმრავლესობას. მოსწავლეებმა უნდა დაახარისხონ ბარათები იმის მიხედვით, მათზე ასახული ჯგუფები, მათი თვალსაზრისით, უმცირესობას განეკუთვნება თუ უმრავლესობას. ჯგუფებს მათ უნდა დაურთონ ბარათები, შეფასების სიმბოლოებით. იმართება საერთო საკლასო განხილვა, რომლის დროსაც მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ჯგუფის წევრებზე იმას, უმცირესობას მიეკუთვნება იგი, თუ უმრავლესობას. |
| **რესურსები** | ბარათები სიტყვებით, ბარათები შეფასების სიმბოლოებით. |
| **მეთოდები** | საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები სხდებიან წრეზე. წრის შუაში საკმაო ადგილი უნდა იყოს დატოვებული, რათა არც ერთი მოსწავლის თვალთახედვის არეალი არ იყოს შეზღუდული.

მასწავლებელი წრის შუაში, იატაკზე ათავსებს ბარათებს, რომლებზეც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის სახელწოდება წერია. ამათგან ზოგიერთი ჯგუფი განეკუთვნება უმრავლესობას, ხოლო ზოგიერთი - უმცირესობას. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ უმცირესობათა ყველა ჯგუფი შეზღუდული ძალაუფლებით არ სარგებლობს საზოგადოებაში!

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის სახელწოდებათა მაგალითები:

— ბავშვები;

— უნარშეზღუდულები;

— პოლიტიკოსები;

— განსხვავებული კანის ფერის მქონე ადამიანები;

— პანკები;

— მოციგურავეები;

— ღრმად მორწმუნე ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ტანისამოსს ატარებენ;

— მღვდლები და მონაზვნები;

— მოხუცებულები;

— წარმომავლობითი უმცირესობები, როგორიცაა ბოშები და სხვ.

— მენეჯერები;

— მუშები;

— დიასახლისები;

— ექიმები;

— კაცები;

— ქალები.

მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ ბარათებს. ამის შემდეგ ყოველმა მათგანმა უნდა აიღოს ერთი ბარათი. მოსწავლეებმა ბარათები უნდა აიღონ სათითაოდ და ყოველგვარი კომენტარის გარეშე დაახარისხონ ისინი იმის მიხედვით, მათი აზრით, ბარათზე დასახელებული ჯგუფი უმრავლესობას მიეკუთვნება თუ უმცირესობას. ეს „ძალაუფლების მატრიცის“ შექმნის პირველი ეტაპი იქნება.

მეორე ეტაპზე, მატრიცის შესავსებად საჭიროა თითოეულ ბარათს, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობის კატეგორიაში, რომელზეც ადამიანთა ჯგუფის სახელწოდებაა დაფიქსირებული, მიუსადაგონ ბარათი, რომელზეც შეფასების სიმბოლოა გამოსახული. მოსწავლეებისათვის საინტერესო აღმოჩენა იქნება ის, რომ უმცირესობებიც შეიძლება ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდნენ საზოგადოებაში.

მატრიცის ნიმუში:

| **ძალაუფლება (გავლენა)** | **უმცირესობები** | **უმრავლესობები** |
|---|---|---|
| ძალიან მაღალი ძალაუფლება | | |
| მაღალი ძალაუფლება | | |
| საშუალო ძალაუფლება | | |
| მცირე ძალაუფლება | | |
| ძალაუფლების გარეშე | | |

მას შემდეგ, რაც მატრიცა სრულყოფილ სახეს მიიღებს, მოსწავლეები განიხილავენ იმ ეფექტს, რაც ძალაუფლების სხვადასხვა დონეს შეუძლია იქონიოს. მასწავლებელს ამ ეტაპზე ევალება დისკუსიის მართვა და მოსწავლეების მსჯელობაში დაფიქსირებული წინასწარი განწყობისა და კატეგორიული მოსაზრებებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით მოკიდება.

# თავი 4

# კონფლიქტი

## დაწყებითი საფეხური

### წესები კონფლიქტების მოგვარებაში გვეხმარება

4.1 ყველაფერი კარგად არის! ეს მართლაც ასეა?

რა პრობლემებსა და კონფლიქტებს ვაწყდებით ჩვენს კლასში?

4.2 აი, ჩვენ ასე ვაგვარებთ პრობლემას

პრობლემის გადაჭრის რა საშუალებებს ვფლობთ?

4.3 იდეათა ნუსხა

რომელ გადაწყვეტილებას ემხრობა უმრავლესობა?

4.4 ჩვენი შეთანხმება წესების შესახებ

როგორ ვქმნით საერთო კანონებს?

## თავი 4: ძირითადი ცნება - „კონფლიქტი“ (დაწყებითი საფეხურისათვის) ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: კონფლიქტების მოგვარება სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შორის

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავლად არის კონფლიქტური სიტუაციების მაგალითები. კონფლიქტების უმეტესობის საფუძველს წარმოადგენს მოსწავლეების ზოგადი დამოკიდებულებები ან  მათში უნარის ნაკლებობა, გაუძლონ ზეწოლას. კონფლიქტური სიტუაციების მაგალითებია:

- სხვისი კუთვნილი ნივთების აღება;
- შემთხვევით ვინმეს შეხება ან ხელისკვრა;
- ერთმანეთის გაღიზიანება;
- თანაკლასელების შეწუხება;
- ერთმანეთის დაშინება;
- მძიმე ფორმები, როგორიცაა დაჯგუფებები მავნე განზრახვით ან ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ძალადობა.

მოზარდების მიერ გამოყენებული კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები განსხვავდება ზრდასრული ადამიანების მიერ კონფლიქტურ სიტუაციებში გამოყენებული სტრატეგიებისაგან. ერთმანეთისაგან განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი მოსწავლეებიც. უფრო მცირე ასაკის ჯგუფის წარმომადგენლების მიერ გამოყენებული კონფლიქტის მოგვარების სტრატეგია ფიზიკურ რეაგირებაში (დარტყმა და ა.შ.), აგრესიულ რეაქციებში, ჩხუბში გამოიხატება; აგრეთვე, ხშირია დახმარებისათვის უფროსებისადმი მიმართვა, კონფლიქტის ადგილის დატოვება, დათმობა და უკან დახევა, მიჩნევა, რომ არაფერი მომხდარა ან სიმბოლური ჟესტები (როგორებიცაა ხელის ჩამორთმევა, საჩუქარი და ა.შ.).

უფრო მოზრდილი (10 წლის ან მეტი) ასაკის დაწყებითი სკოლის მოსწავლეები კონფლიქტის მოსაგვარებლად განსხვავებულ სტრატეგიებს მიმართავენ, როგორებიცაა კონფლიქტის უგულებელყოფა, ერთმანეთთან დალაპარაკება, საერთო გადაწყვეტილების მიღება კონფლიქტში მონაწილე მხარეების პერსპექტივის გათვალისწინებით, იმის გარკვევა, თუ ვინ არის მართალი და, შესაბამისად, ვინ გამოვიდა „გამარჯვებული“, ისევე, როგორც მოლაპარაკებების წარმოება მანამდე, სანამ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარე არ იქნება დაკმაყოფილებული მიღებული გადაწყვეტილებით.

ექსპერტები განასხვავებენ კონფლიქტის მოგვარების სამ ძირითად სახეს, ესენია:

— კონფლიქტის მოგვარება ფიზიკური საშუალებებით;

— კონფლიქტის მოგვარება ცალმხრივად (რეფლექტური აზროვნება ან ორი პერსპექტივის დანახვის უნარი).

წინამდებარე თავში შესული გაკვეთილები კონფლიქტის მოგვარების ამ სტრატეგიებს ითვალისწინებს და ეფუძნება ასაკობრივი ფსიქოლოგიის ამ ასპექტებს. სწორედ ეს შეადგენს ძირითად ელემენტებს, რომელთა საშუალებითაც ვცდილობთ, დავეხმაროთ მოსწავლეებს, გააცნობიერონ როგორც ინდივიდუალური, ასევე, საერთო პრობლემები და კონფლიქტები და დავეხმაროთ, ისწავლონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის გარჩევა პირადი კეთილდღეობისაგან. პრობლემის გადაჭრა ადამიანთა ფართო ჯგუფზე იქონიებს გავლენას იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა ან კონფლიქტი საერთო ხასიათის კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო პიროვნული პრობლემის ან კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ ამ პიროვნებაზე უნდა ახდენდეს გავლენას და სხვა პირებისათვის არანაირი ცვლილების მომტანი არ უნდა იყოს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, ზემოთ აღწერილის მსგავსი კონფლიქტები ხშირად, შეიძლება უკავშირდებოდეს ინფრასტრუქტურას (მაგალითად, სივრცის ნაკლებობა), სქესს (ურთიერთობა ვაჟებსა და გოგონებს შორის), ერთობლივ სამუშაოს (მუშაობის განსხვავებული ტემპები, განსხვავებული

ცოდნის დონე და ა.შ.), ან შეიძლება სოციალური ქცევის შედეგი იყოს (ლაპარაკის შეწყვეტინება და ა.შ.). წინამდებარე თავში მოცემული ოთხივე გაკვეთილის მსვლელობისას, რომელიც კონფლიქტის თემას ეძღვნება, მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ საკლასო გარემოში არსებული პრობლემების მოგვარება არც ისე მარტივია ერთი გაკვეთილის მსვლელობისას. მიუხედავად საკლასო წესების ან კომუნიკაციის მარეგულირებელი წესების შემოღებისა, პრობლემები და კონფლიქტები დროგამოშვებით თავს მაინც იჩენს. აქედან გამომდინარე, კონფლიქტებისა და მათი მოგვარების თემის განხილვა, ისევე როგორც იმ პრობლემათა გაცნობიერება, რომლებიც შესაძლებელია წამოიჭრას სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მუდმივად უნდა იდგეს დღის წესრიგში. მოსწავლეები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ წესების გათავისებას, თუ ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ იმ დისკუსიებში, რომლებიც ამ წესების შემოღებას ეძღვნება.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| *** | *** | *** |

| | |
|---|---|
| **დამხმარე ინსტრუმენტები**<br>*წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **0** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **0** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **x** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **0** | პოსტერების შექმნა |
| **0** | გამოფენების მოწყობა |
| **x** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **0** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **0** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **0** | წარმოდგენების გამართვა |
| **x** | დებატების წარმოება |

## თავი 4: კონფლიქტი

## წესები კონფლიქტების მოგვარებაში გვეხმარება

## კონფლიქტების მოგვარება სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შორის

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1: ყველაფერი კარგად არის! ეს მართლაც ასეა? | მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და პირადი კეთილდღეობის ცნებებს, კლასში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათ შორის განსხვავებების დადგენის საშუალებით. | მოსწავლეებს, წარმოსახვის უნარის გამოყენებით, მოჰყავთ პრობლემების მაგალითები და ახარისხებენ მათ იმის მიხედვით, საერთო პრობლემას წარმოადგენს იგი თუ პირად პრობლემას. | ქაღალდის მცირე ზომის ფურცლები, კალმები, ინფორმაცია პრობლემათა ორი კატეგორიის კლასიფიკაციის შესახებ. | დამოუკიდებელი სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |
| გაკვეთილი 2: აი, ჩვენ ასე ვაგვარებთ პრობლემას | მოსწავლეები მსჯელობენ კონფლიქტის მოგვარების მექანიზმებზე, რომლებიც მათ გააჩნიათ და ეცნობიან სხვადასხვა პიროვნების განსხვავებულ მოსაზრებებსა და ქცევებს. | მოსწავლეები საკუთარ აზრს გამოთქვამენ პრობლემასთან დაკავშირებით და ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, პრობლემის მოგვარების საშუალებების შესახებ. | ფლიჩარტი, კალმები. | ჯგუფური სამუშაო. |
| გაკვეთილი 3: იდეათა ნუსხა | მოსწავლეები სწავლობენ არგუმენტის ჩამოყალიბებას დებატების დროს. ისინი, საკითხის განხილვისას, გამოდიან როგორც მომხრედ, ასევე წინააღმდეგ და ეცნობიან უმრავლესობის | მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, პრობლემის მოგვარების გზებისა და საშუალებების შესახებ და თანხმდებიან საერთო წესებზე, რომლებიც კლასის წევრების მიერ უნდა იქნას დაცული. | ფლიჩარტი, კალმები. | საერთო საკლასო განხილვა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ფუნქციას. | | | |
| გაკვეთილი 4: ჩვენი შეთანხმება წესების შესახებ | მოსწავლეები აღწევენ შეთანხმებას და სწავლობენ, როგორ მოერგონ ერთობლივად ფორმულირებულ შეთანხმებას. | მოსწავლეები ადგენენ საერთო წესებს და საკუთარი ხელმოწერები დაქვთ შედგენილ დოკუმენტზე. ისინი განიხილავენ კონტროლის მექანიზმსა და სავარაუდო შედეგებს. | ფლიჩარტი, კალმები. | საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილი 1**

**ყველაფერი კარგად არის! ეს მართლაც ასეა?**

**რა პრობლემებსა და კონფლიქტებს ვაწყდებით ჩვენს კლასში?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და პირადი კეთილდღეობის ცნებებს, კლასში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათ შორის განსხვავებების დადგენის საშუალებით. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეებს, წარმოსახვის უნარის გამოყენებით, მოჰყავთ პრობლემების მაგალითები და ახარისხებენ მათ იმის მიხედვით, საერთო პრობლემას წარმოადგენს იგი თუ პირად პრობლემას. |
| **რესურსები** | ქაღალდის მცირე ზომის ფურცლები, კალმები, ინფორმაცია პრობლემათა ორი კატეგორიის კლასიფიკაციის შესახებ. |
| **მეთოდები** | დამოუკიდებელი სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის სათაურს „ყველაფერი კარგად არის! ეს მართლაც ასეა?“. ამის შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ, კარგად დაფიქრდნენ და გააანალიზონ, რა არ არის წესრიგში მათ კლასში. მოსწავლეებისათვის ამ დავალების მიცემისას, მასწავლებელმა მათ უნდა მიუთითოს იმ სხვადასხვა სფეროზე, სადაც შესაძლებელია თავი იჩინოს პრობლემამ ან კონფლიქტმა, ეს სფეროებია:

- სხვა მოსწავლეებთან ერთად მუშაობა;
- ვაჟებსა და გოგონებს შორის ურთიერთობა;
- საზიარო ნივთებით სარგებლობა, როგორიცაა ერთ მერხთან ან ერთ საკლასო ოთახში მუშაობა;
- ვინმესთან მეგობრობა.

მოსწავლეები, ქაღალდის მცირე ზომის ფურცლებზე, ჩანაწერებს აკეთებენ ყველა იმ პრობლემისა თუ კონფლიქტის შესახებ, რომლებმაც, მათი აზრით, შესაძლოა თავი იჩინოს  საკლასო გარემოში; შემდეგ დგებიან ადგილებიდან, სათითაოდ, და ფურცელზე ჩამოწერილ პრობლემებს დაფაზე ამაგრებენ.

მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლის ფურცელი დაფაზე იქნება მიმაგრებული, მოსწავლეები სხდებიან ნახევარწრეზე, დაფის პირისპირ.

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ არსებობს ორი განსხვავებული ტიპის პრობლემები - პიროვნული პრობლემები და საერთო პრობლემები. ამასთან, მასწავლებელმა თითოეული ტიპის პრობლემის მაგალითიც უნდა მოიყვანოს: მაგალითად, საკლასო ოთახში გადაჭარბებული ხმაური საერთო პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ მერხზე არასაკმარისი ფართობი - ინდივიდუალურ პრობლემას. მასწავლებელი დაფაზე მოსწავლეების მიერ გაკრულ პრობლემების ჩამონათვალს სათითაოდ კითხულობს და სთხოვს მოსწავლეებს, დაახარისხონ ისინი იმის მიხედვით, განეკუთვნება ისინი პიროვნულ პრობლემებს თუ საერთო პრობლემებს. ამისათვის მასწავლებელს მომზადებული უნდა ჰქონდეს ორი ფურცელი, რომელზედაც შესაბამისად დატანილი იქნება წარწერები: „ინდივიდუალური პრობლემა ან კონფლიქტი“ და „საერთო პრობლემა ან კონფლიქტი“. მასწავლებელი ამ ორ ფურცელს გამოფენს დაფის ზედა ნაწილში და მათზე ხდება შესაბამისად დახარისხებული პრობლემებისა და კონფლიქტების ჩამოწერა.

ამის შემდეგ მასწავლებელი იწყებს დისკუსიას იმის შესახებ, თუ რომელი მათგანის მოგვარება შეიძლება უფრო მარტივად და რომლის - არა. რის შესახებაც დისკუსია მოსწავლეებმა უნდა წარმართონ.

**გაკვეთილი 2**

**აი, ჩვენ ასე ვაგვარებთ პრობლემას**

**პრობლემის გადაჭრის რა საშუალებებს ვფლობთ?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები მსჯელობენ კონფლიქტის მოგვარების მექანიზმებზე, რომლებიც გააჩნიათ და ეცნობიან სხვადასხვა პიროვნების განსხვავებულ მოსაზრებებსა და ქცევებს. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები საკუთარ აზრს გამოთქვამენ პრობლემასთან დაკავშირებით, ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს პრობლემის მოგვარების საშუალებების შესახებ. |
| **რესურსები** | ფლიპჩარტი, კალმები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო. |

**გაკვეთილის აღწერა**

მასწავლებელს გაკვეთილზე შემოაქვს პრობლემებისა და კონფლიქტების ჩამონათვალი, რომელიც მოსწავლეების მიერ იქნა შედგენილი, წინა გაკვეთილის მსვლელობისას. მოსწავლეები ნაწილდებიან ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში. ისინი ირჩევენ ორ პრობლემას ან კონფლიქტს, რომელზეც საკუთარ ჯგუფთან ერთად უნდა იმუშაონ.

თითოეული ჯგუფი მუშაობს ორ სხვადასხვა პრობლემასა თუ კონფლიქტზე.

მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ პრობლემის ან კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს ისე, რომ გადაწყვეტილებამ ზემოქმედება იქონიოს ან კონკრეტული ადამიანების ჯგუფზე ან ერთ პიროვნებაზე (იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება მოცემული პრობლემა თუ კონფლიქტი, ინდივიდუალურსა თუ საერთოს).

მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ თავიანთი მოსაზრებების შესახებ და თითო ჯგუფმა უნდა დაამზადოს თითო პოსტერი, რომელზეც ილუსტრირებული იქნება

ორი პრობლემა ან კონფლიქტი და მათი მოგვარების შესაძლო გზები. მათ ხაზი უნდა გაუსვან და გამოყონ ის გადაწყვეტილებები, რომლებზეც შეჯერდნენ და შეთანხმდნენ ჯგუფის წევრები.

**გაკვეთილი 3**

**იდეათა ნუსხა**

**რომელ გადაწყვეტილებას ემხრობა უმრავლესობა?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები სწავლობენ არგუმენტის ჩამოყალიბებას დებატების დროს. ისინი, საკითხის განხილვისას, გამოდიან როგორც მომხრედ, ასევე, წინააღმდეგ და ეცნობიან უმრავლესობის ფუნქციას. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, პრობლემის მოგვარების გზებისა და საშუალებების შესახებ და თანხმდებიან საერთო წესებზე, რომლებიც კლასის წევრების მიერ უნდა იქნას დაცული. |
| **რესურსები** | ფლიპჩარტი, კალმები. |
| **მეთოდები** | საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეებს გაკვეთილზე შემოაქვთ პოსტერები, რომლებიც მათ წინა გაკვეთილის მსვლელობისას დაამზადეს და რომელიც მათ ამჯერად კლასს უნდა წარუდგინონ. ასევე, უნდა გააცნონ კლასს, ჩამოთვლილთაგან რომელი გადაწყვეტილებები იქნა ჯგუფის მიერ შეფასებული როგორც საუკეთესო და დაასახელონ ამის მიზეზები.

ყოველი პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეები მათ მიერვე დამზადებულ პოსტერებს კედელზე გამოფენენ.

25 მოსწავლისაგან შემდგარ კლასში დაახლოებით ექვსმა ჯგუფმა უნდა წარადგინოს ორ-ორი პრობლემისა თუ კონფლიქტის მოგვარების გზები, ამგვარად, ჯამში 12 პრობლემა იქნება მოგვარებული. მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა ყველა ჯგუფი წარადგენს პოსტერს და ჯგუფის წევრები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, საჭიროა, მოსწავლეებმა კენჭი უყარონ სხვადასხვა გადაწყვეტილებას.

თითოეულ გადაწყვეტილებას უნდა მიენიჭოს ქულები - ერთიდან ხუთამდე (თუ მივიჩნევთ, რომ თითოეული პრობლემის ან კონფლიქტის მოგვარების მაქსიმუმ ხუთ-ხუთი საშუალება იქნა გამოძებნილი მოსწავლეთა ჯგუფების მიერ). კენჭისყრა შემდეგი პრინციპით წარმოებს: მოსწავლეებს ურიგდებათ ერთიდან ხუთამდე დანომრილი ბარათები. თითოეული პრობლემის ან კონფლიქტის დასახელებისას მათ უნდა აწიონ ბარათი, პრობლემის მოგვარების ხერხისათვის მინიჭებული შესაბამისი ქულით. მასწავლებელი ითვლის ქულებს და ჩაინიშნავს იმ გადაწყვეტილებას, რომელმაც ყველაზე მაღალი ქულა დააგროვა.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეაფასებენ პრობლემების ან კონფლიქტების ყველა გადაწყვეტილებას, მათ ერთობლივად უნდა იმსჯელონ შედეგებზე და იმ ფაქტზე, რომ პრობლემისა თუ კონფლიქტის მოგვარების გზის შესახებ გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობის პრინციპით შეირჩა.

**გაკვეთილი 4**

**ჩვენი შეთანხმება წესების შესახებ**

**როგორ ვქმნით საერთო კანონებს?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აღწევენ შეთანხმებას და სწავლობენ, როგორ მოერგონ ერთობლივად ფორმულირებულ შეთანხმებას. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ადგენენ საერთო წესებს და საკუთარი ხელმოწერები დააქვთ შედგენილ დოკუმენტზე. ისინი განიხილავენ კონტროლის მექანიზმსა და სავარაუდო შედეგებს. |
| **რესურსები** | ფლიპჩარტი, კალმები. |
| **მეთოდები** | საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას პრობლემებისა თუ კონფლიქტების გადაჭრის გზების შერჩევის გამო გამართულ კენჭისყრაში, მათ ევალებათ ამ გადაწყვეტილებების დაწერა, წესების შესახებ „კონტრაქტის“ ფორმატში, რომელზეც ყველა მოსწავლემ უნდა დაიტანოს საკუთარი ხელმოწერა.

მოსწავლეები მართავენ საერთო საკლასო დისკუსიას, რომლის ფარგლებშიც ისინი მსჯელობენ კონტრაქტის ფორმაზე. სურთ მათ იგი წარმოდგენილი იყოს პოსტერის სახით, A4 ფორმატის ფურცელზე დაწერილი თუ დახვეული და ბეჭდით დალუქული? მოსწავლეები უნდა შეთანხმდნენ დოკუმენტის ფორმაზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია კენჭისყრის გამართვაც.

მოსწავლეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ დოკუმენტის მათთვის სასურველ ფორმაზე, იმ პირობით, თუ დაცული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

— ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც შეთანხმების შედეგად იქნა მიღებული, ექნება ჩამოყალიბებული განაცხადის ანუ მუხლის ფორმა.

— კონტრაქტი ხელმოწერილ იქნება უკლებლივ ყველა მოსწავლის მიერ, შედგენილი დოკუმენტის ქვევით.
— კონტრაქტზე დატანილი იქნება ხელმოწერის ადგილი და თარიღი.

მას შემდეგ, რაც კონტრაქტი შედგება და მოსწავლეების ხელმოწერით იქნება დადასტურებული, მოსწავლეებმა უნდა განიხილონ, რა შედეგი უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ამ კონტრაქტის რომელიმე მუხლს დაარღვევს. უნდა მოჰყვეს თუ არა ამას რეაგირება? თუ უნდა მოჰყვეს, რა სახის? როგორ უნდა გაკონტროლდეს შემუშავებული წესების დაცვა? ეს შედის თუ არა ყველას მოვალეობაში? თუ საჭიროა გარკვეული პირების არჩევა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან შემუშავებული წესების დაცვაზე? სასარგებლო იქნება ეს თუ უკუშედეგის მომტანი?

მოსწავლეების მხრიდან სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, შემუშავებული წესების დარღვევისას განსახორციელებელი ღონისძიებები შესაძლებელია შეტანილ იქნას კონტრაქტში (დანართის სახით).

# თავი 5

# წესები და კანონი

## დაწყებითი საფეხური

თანაცხოვრების საფუძველი

5.1 რაში გვჭირდება წესები და კანონები?

რა ტიპის წესები უნდა მოქმედებდეს სკოლაში, რომ ჩვენ ერთად ვისწავლოთ, ვიცხოვროთ და ვითამაშოთ?

5.2 რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ... ?

წესების დარღვევას გარკვეული შედეგები მოჰყვება

5.3 ჩვენი სკოლის ახალი წესები

ერთობლივი შეთანხმება

5.4 ვაწარმოებთ კამპანიას ჩვენი სკოლის ახალი წესების

დასამკვიდრებლად

ახალი წესების შეფასება და მათი წარმოდგენა

## თავი 5: ძირითადი ცნება - „წესები და კანონი“ (დაწყებითი საფეხურისათვის) ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: შეთანხმება დემოკრატიული პრინციპების საფუძვლებზე - ჩვენი სკოლის ახალი წესები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსიები დემოკრატიის პრინციპების შესახებ. რას წარმოადგენს დემოკრატია თანამედროვე გაგებით? არსებობს დემოკრატიის კარგი და ცუდი ფორმები? სახელმწიფოსათვის საკმარისია ჰქონდეს დემოკრატიული კონსტიტუცია? ძალიან ბევრი ჯგუფი და პარტია საკუთარ თავს დემოკრატიულს უწოდებს ან საკუთარ სახელწოდებაში ჩართული აქვს სიტყვა „დემოკრატია“. რისი მანიშნებელია ეს? რას ნიშნავს ეს ამგვარი ჯგუფისა თუ პარტიის წევრებისათვის?

ძირითადად, აბსოლუტურად ნათელია, რომ დემოკრატიის ძალად თავს მოხვევა შეუძლებელია. დემოკრატიას, იმისათვის რომ იმუშაოს, სჭირდება სამართლებრივი ჩარჩოები, კონსტიტუცია და სხვადასხვა შეთანხმება. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური, თუ ადამიანები გრძნობენ იმის საჭიროებას, რომ მონაწილეობა მიიღონ იმ საზოგადოების ფარგლებში მიმდინარე პროცესებში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. მონაწილეობამ შესაძლებელია სრულიად განსხვავებული ფორმები მიიღოს და სრულიად განსხვავებულ სფეროები მოიცვას; დემოკრატია სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირად ხორციელდება. ძირითადად, დემოკრატია ნიშნავს იმას, რომ ხალხი თავად ქმნის კანონებს, რომლებიც მათ სურთ რომ იყოს დაცული იმ საზოგადოებაში, რომელშიც უწევთ ცხოვრება. საუკეთესო შემთხვევაში, ამ პროცესებში მონაწილეობას იღებს რაც შეიძლება მეტი ადამიანი. რისი მართვა გვსურს ამ წესებით? ვინ უნდა დაექვემდებაროს მათ? რას ემსახურება ესა თუ ის წესი? როგორ ვმოქმედებთ ამა თუ იმ წესისა თუ კანონის დარღვევის შემთხვევაში?

წინამდებარე თავში შესული გაკვეთილების ფარგლებში, მოსწავლეები არა მარტო ეცნობიან იმ მნიშვნელოვან პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს დემოკრატიას, არამედ მათ, აგრეთვე, ეძლევათ შესაძლებლობა, რეალურ სიტუაციებში მათთან ურთიერთობის გამოცდილება მიიღონ. გამოცდილება

გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები მეტ ცოდნას იძენენ და მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩართულნი არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ერთად უწევს ცხოვრება და გარკვეული დროის ერთად გატარება, ქმნიან წესებს, რომლებიც მათი ერთად ცხოვრების გარკვეულ ასპექტებს არეგულირებს. ბავშვები და მოზარდები სკოლაში გაცილებით მეტ დროს ატარებენ, ვიდრე სხვა გარემოში. წინამდებარე თავში შესული გაკვეთილებიდან ნათელი ხდება, რომ სკოლა წარმოადგენს გარემოს, სადაც სწავლის პროცესი მიმდინარეობს, სადაც სრულიად განსხვავებული საჭიროებების მქონე ადამიანებს უწევთ ერთად „ცხოვრება“ და სწავლა და სადაც ამ თანაცხოვრების ბევრი ასპექტი საჭიროებს მართვასა და დარეგულირებას. კონფლიქტები, რომლებიც ადამიანთა თანაცხოვრების თანმდევი, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, მოგვარებული უნდა იყოს, ხოლო სხვადასხვა უმცირესობათა ინტერესები კი - დაცული.

დემოკრატიას ხშირად არასწორი ინტერპრეტაცია ახლავს თან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყველას შეუძლია აკეთოს ის, რაც მოესურვება. პიროვნებები გამოდიან თავიანთი საჭიროებების მოთხოვნით, ვინაიდან ამას გულისხმობს თავისუფლების მათეული აღქმა. მაგრამ ამგვარი დამოკიდებულება დემოკრატიის პრინციპებს არ ესადაგება. დემოკრატია ემყარება პრინციპს, რომელიც გულისხმობს ყველასათვის გამჭვირვალე წესებისა და კანონების შექმნასა და ჩამოყალიბებას მონაწილეობის საფუძველზე. ეს წესები და კანონები შეცვლას ექვემდებარება. სწორედ ეს პრინციპები წარმოადგენს წინამდებარე თავის შესწავლის საგანს.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| ** | * | *** |

| *დამხმარე ინსტრუმენტები*<br>*წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
|---|---|
| **0** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **0** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **0** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **x** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **0** | პოსტერების შექმნა |
| **0** | გამოფენების მოწყობა |
| **x** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **0** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **0** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **x** | წარმოდგენების გამართვა |
| **x** | დებატების წარმოება |

## თავი 5: წესები და კანონი

## თანაცხოვრების საფუძველი

## შეთანხმება დემოკრატიული პრინციპების საფუძვლებზე - ჩვენი სკოლის ახალი წესები

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1: რაში გვჭირდება წესები და კანონები? | მოსწავლეები მსჯელობენ არსებული წესებისადმი მათ პირად დამოკიდებულებებსა და შეხედულებებზე. ისინი მსჯელობენ თანაცხოვრებისა და ერთად მუშაობისათვის წესების არსებობის აუცილებლობაზე. მოსწავლეები აცნობიერებენ წესების არსებობის აუცილებლობას. | მოსწავლეები მონაწილეობენ ინსცენირებულ სიტუაციაში, სადაც მათ უწევთ წესების ფუნქციის გააზრება. ისინი ნიშნავენ და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ იდეებს, წესების აუცილებლობასთან დაკავშირებით. მოსწავლეები სკოლაში არსებულ წესებს უკავშირებენ სკოლაში მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. | მსუბუქი ბურთები, ფლიჩარტი, კალმები, მოსწავლეებისათვის დასარიგებელი მასალა -სკოლის წესები. | ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა, წყვილებში მუშაობა. |
| გაკვეთილი 2: რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ...? | მოსწავლეები განიხილავენ წესების დარღვევის შესაძლო შედეგებს. ისინი მსჯელობენ სკოლაში არსებულ წესებზე, სამართლიანობის, თანასწორობის, მონაწილეობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებიდან გამომდინარე. | მოსწავლეები როლებს ინაწილებენ ინსცენირებულ სიტუაციაში, სადაც ადგილი აქვს წესების დარღვევას. ისინი განიხილავენ სკოლაში მოქმედ წესებს და განიხილავენ და ჩანაწერებს აკეთებენ ამ წესების დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და შესაძლო შედეგების შესახებ. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს იმასთან | სტიკერები, კალმები, ფლიჩარტი, სკოლის წესების ჩამონათვალი მოსწავლეთა თითოეული ჯგუფისათვის, მსხვილი შრიფტით დაწერილი სკოლაში მოქმედი წესები, ფლიჩარტზე ან დაფაზე გასაკრავად. | მონაწილეობა ინსცენირებულ სიტუაციებში (ჯგუფებად), საერთო საკლასო განხილვა, ჯგუფური სამუშაო. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დაკავშირებით, თუ რის შეცვლას ისურვებდნენ ისინი სკოლაში მოქმედ წესებში, რატომ ისურვებდნენ ამ წესების შეცვლას და, მათი აზრით, როგორ უნდა შეიცვალოს ისინი. | | |
| გაკვეთილი 3: ჩვენი სკოლის ახალი წესები | მოსწავლეები ეცნობიან საერთო წესების შემუშავებაზე მუშაობის პრინციპებს, წესებს, რომლებსაც ყველა უნდა დაექვემდებაროს სკოლის ფარგლებში. მოსწავლეები განიხილავენ ამ წესების სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრირების რეალურ გზებს. | მოსწავლეები თანხმდებიან წესებზე, რომლებიც მიღებულ იქნა უმრავლესობის მიერ და განიხილავენ ამ წესებში უმცირესობათა მოსაზრებების ჩართვის შესაძლებლობებს. | ფლიჩარტი, კალმები, ბარათები ხმის მისაცემად, ფლიჩარტზე ან დაფაზე გაკრული სკოლის წესების ჩამონათვალი, ქაღალდის მცირე ზომის ფურცლები. | ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა, |
| გაკვეთილი 4: ვაწარმოებთ კამპანიას ჩვენი სკოლის ახალი წესების დასამკვიდრებლად | მოსწავლეებს ესმით, რა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კარგი კანონი. ისინი სწავლობენ, როგორ აწარმოონ კამპანია სკოლაში ახალი წესების დასამკვიდრებლად. | მოსწავლეები მსჯელობენ კარგი კანონების სხვადასხვა კრიტერიუმზე. ისინი მათ მიერვე შემუშავებულ ახალ კანონებს განიხილავენ ამ კრიტერიუმების მიხედვით. მოსწავლეები წერილობითი ფორმით ადგენენ საბოლოო შეთანხმებას და დააქვთ ზედ თავიანთი ხელმოწერები. ამ შეთანხმებას ისინი აცნობენ სხვა კლასებს. | ფლიჩარტი, მოსწავლეებისათვის დასარიგებელი სამუშაო ფურცლები, ქაღალდის ფურცლები, მოსწავლეების მიერ შედგენილი შეთანხმების ასლები სხვა კლასის მოსწავლეებისათვის, ამ თავის პირველ გაკვეთილზე ბრეინშტორმინგის მეთოდით წარმოებული ჩანაწერების შედეგები. | წყვილებში მუშაობა, საერთო საკლასო განხილვა, პრეზენტაციები სხვა კლასების წინაშე. |

**გაკვეთილი 1**

**რაში გვჭირდება წესები და კანონები?**

**რა ტიპის წესები უნდა მოქმედებდეს სკოლაში, რომ ჩვენ ერთად ვისწავლოთ, ვიცხოვროთ და ვითამაშოთ?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები მსჯელობენ არსებული წესებისადმი მათ პირად დამოკიდებულებებსა და შეხედულებებზე. ისინი მსჯელობენ თანაცხოვრებისა და ერთად მუშაობისათვის წესების არსებობის აუცილებლობაზე. მოსწავლეები აცნობიერებენ წესების არსებობის აუცილებლობას. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები მონაწილეობენ ინსცენირებულ სიტუაციაში, სადაც მათ უწევთ წესების ფუნქციის გააზრება. ისინი ინიშნავენ და ერთმანეთს უზიარებენ იდეებს, წესების აუცილებლობასთან დაკავშირებით. მოსწავლეები სკოლაში არსებულ წესებს უკავშირებენ სკოლაში მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. |
| **რესურსები** | მსუბუქი ბურთები, ფლიპჩარტი, კალმები, მოსწავლეებისათვის დასარიგებელი მასალა - სკოლის წესები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა, წყვილებში მუშაობა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები ერთვებიან თამაშში, რომელსაც ეწოდება „გამოიცანი ჩემი წესები“. მასწავლებელი მოსწავლეებს ორ გუნდად ყოფს და უხსნის მათ, რომ ისინი უნდა ჩაერთონ თამაშში, რომელიც გულისხმობს წესების გამოცნობას.

თამაშის ინსტრუქციები:

- თითოეულ გუნდს შეუძლია, გაიტანოს გოლი, ბურთის მოთავსებით ამისათვის გამოყოფილ მონიშნულ სივრცეში, რომელიც ორივე გუნდს ცალ-ცალკე გააჩნია;
- წესები, რომლის გამოცნობაც მოსწავლეებს ევალებათ, მხოლოდ მასწავლებლისათვის არის ცნობილი;
- მასწავლებელი არ განუმარტავს ამ წესებს მოსწავლეებს და მათ არ უნდა დაუსვან კითხვები მასწავლებელს ამ წესებთან დაკავშირებით;
- როდესაც რომელიმე მოსწავლე წესს დაარღვევს, მასწავლებლის მითითებით, იგი თამაშიდან უნდა გამოვიდეს და დაჯდეს;
- თამაშის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებმა ბურთი უნდა მოათავსონ ამისათვის გამოყოფილ სივრცეში ისე, რომ არ დაარღვიონ თამაშის წესები; მოსწავლეთა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა გამოიცნონ თამაშის წესები, რათა მათი დარღვევის გარეშე გააგრძელონ თამაში.

თამაშის წესები, რომლებიც მხოლოდ მასწავლებლისათვის არის ცნობილი:

- თამაშში მონაწილეობა ყველას შეუძლია;
- ბურთზე ფეხის დარტყმის უფლება მხოლოდ ვაჟებს აქვთ;
- მოსწავლეებს, რომელთა სახელიც „ა“ ასოზე იწყება, სირბილის უფლება არა აქვთ;
- ბურთით ხელში გადაადგილების უფლება არავის აქვს;
- ძალადობა დაშვებულია.

თამაშის დაწყებიდან პირველი ორი წუთის განმავლობაში მოქმედებს თამაშის პირველი ორი წესი. ამის შემდეგ მასწავლებელი თამაშში რთავს დანარჩენ წესებს და თამაში სულ გრძელდება დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც თამაში დასრულდება, მასწავლებელი მოსწავლეებს მოუხმობს და მათთან ერთად განიხილავს შემდეგ კითხვებს:

- რას ფიქრობთ ამ თამაშის შესახებ? მოგეწონათ? არ მოგეწონათ? სამართლიანი იყო?

— როგორ მიხვდით თამაშის ზოგიერთ წესს?

— როგორი შეგრძნებაა, როდესაც წარმოდგენა არ გაქვს თამაშის წესების შესახებ?

მასწავლებელი ბრეინშტორმინგის მეთოდით იწყებს გამოკითხვას და მოსწავლეების პასუხები გადააქვს დაფაზე ან ფლიპჩარტზე. ძირითადი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: „რისთვის გვჭირდება წესები სკოლაში?“ იმის მიხედვით, თუ რა პასუხებს სცემენ მოსწავლეები მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს, მასწავლებელს მათი პასუხები ან გადააქვს დაფაზე ან ფლიპჩარტზე, ან - არა. ამ აქტივობის დასასრულს, დაფაზე ან ფლიპჩარტზე დატანილ პასუხებში უნდა დომინირებდეს ისეთი ძირითადი კრიტერიუმები, როგორებიცაა „თანასწორობა“, „მონაწილეობა“, „სამართლიანობა“ და ურთიერთპატივისცემა“. მასწავლებელი გამოკითხვის შედეგებს ინახავს მე-4 გაკვეთილზე გამოსაყენებლად.

სკოლაში წესების არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეებს უნდა გააჩნდეთ უფლებები და პასუხისმგებლობები. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, ფურცელზე ჩამოწერონ ის უფლებები, რომლებითაც სკოლაში სარგებლობენ და ის პასუხისმგებლობები, რომლებიც მათ სკოლის ფარგლებში აკისრიათ. შემდეგ ამ უფლებსა და პასუხისმგებლობებს მიუსადაგონ სკოლაში მოქმედი წესები. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში და მათთვის დარიგებულ სამუშაო ფურცელზე წერენ თავიანთ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და სკოლაში მოქმედ წესებს. სამუშაოს დასრულების შემდეგ თავიანთ ნამუშევრებს დაფაზე ან ფლიპჩარტზე გამოფენენ.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა წყვილების მიერ შევსებული ყველა სამუშაო ფურცელი გამოფენილი იქნება, ყველა მოსწავლე ეცნობა ამ ნამუშევრებს და მათ აქვთ საშუალება, კითხვები დაუსვან თანაკლასელებს მათი ნამუშევრების შესახებ.

**გაკვეთილი 2**

**რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ... ?**

**წესების დარღვევას გარკვეული შედეგები მოჰყვება**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები განიხილავენ წესების დარღვევის შესაძლო შედეგებს. ისინი მსჯელობენ სკოლაში არსებულ წესებზე, სამართლიანობის, თანასწორობის, მონაწილეობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებიდან გამომდინარე. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები როლებს ინაწილებენ ინსცენირებულ სიტუაციაში, სადაც წესების დარღვევის თემაა გაშლილი. განიხილავენ სკოლაში მოქმედ წესებს და ჩანაწერებს აკეთებენ ამ წესების დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და შესაძლო შედეგების შესახებ. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რის შეცვლას ისურვებდნენ სკოლაში მოქმედ წესებში, რატომ ისურვებდნენ ამ წესების შეცვლას და, მათი აზრით, როგორ უნდა შეიცვალოს ისინი. |
| **რესურსები** | სტიკერები, კალმები, ფლიპჩარტი, სკოლის წესების ჩამონათვალი მოსწავლეთა თითოეული ჯგუფისათვის, მსხვილი შრიფტით დაწერილი სკოლაში მოქმედი წესები, ფლიპჩარტზე ან დაფაზე გასაკრავად. |
| **მეთოდები** | მონაწილეობა ინსცენირებულ სიტუაციებში (ჯგუფებად), საერთო საკლასო განხილვა, ჯგუფური სამუშაო. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები ნაწილდებიან ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში. ისინი ერთვებიან სიტუაციურ თამაშში, სადაც ინსცენირებულია სკოლაში მოქმედი წესების დარღვევა. მოსწავლეები თავიანთ ჯგუფებში განიხილავენ წესებს, ვიდრე

სიტუაციურ თამაშში ჩაერთვებიან. სიტუაციური თამაშების სიუჟეტები შესაძლებელია განსხვავებული იყოს, მაგალითად:

- ფეხბურთის თამაში;
- კლასში არასათანადო ქცევის დემონსტრირება;
- კომპიუტერული თამაშებით დაკავება;
- არასათანადო ქცევის დემონსტრირება სკოლის სათამაშო მოედანზე;
- საუბარი გაკვეთილის მსვლელობისას;
- ერთმანეთთან დაპირისპირება ან ჩხუბი;
- და სხვ.

წესის დარღვევის ყოველ შემთხვევაზე მოსწავლეები ჩანაწერს აკეთებენ შედეგების შესახებ, ან - იმ შემთხვევაში, თუ შედეგი არ არის სახეზე - შესაძლო შედეგების შესახებ. ამის შემდეგ ჯგუფები თავიანთი ჩანაწერებით ერთვებიან საერთო საკლასო განხილვაში.

საერთო საკლასო სხდომაზე მოსწავლეები განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

- როგორ უზრუნველყოფს არსებული წესები ჩვენი უფლებებისა და პასუხისმგებლობების დაცვას და ზრუნავს იმაზე, რომ უსაფრთხო, სამართლიან და სასიკეთო გარემოში შევძლოთ თანაცხოვრება?
- რაში გვჭირდება წესები?
- როგორ ვხვდებით, რა წესები მოქმედებს? როგორ ვეცნობით მათ?
- მოქმედი წესები ყველასათვის სამართლიანია?
- არსებობს ისეთი სიტუაცია, რომელიც მოქმედი წესების შეცვლას საჭიროებდეს?
- ვინ უნდა ადგენდეს წესებს და რა მიზანს ემსახურება მათ მიერ წესების დადგენა?
- რა შედეგი შეიძლება მივიღოთ, თუ ჩვენ წესებს არ დავიცავთ?

ამ საკითხების ირგვლივ გამართული დისკუსიის შემდეგ, მოსწავლეები ისევ თავიანთ ჯგუფებში აგრძელებენ მუშაობას. განიხილავენ, ისურვებდნენ თუ არა

რაიმეს შეცვლას  სკოლაში მოქმედ წესებში. ჯგუფის წევრები თანხმდებიან იმ ცვლილებებზე, რომლებიც, მათი აზრით, საჭიროა შეტანილ იქნეს სკოლაში მოქმედ წესებში, დასკვნები წერილობითი ფორმით გადააქვთ ფურცლებზე, რომლებსაც გამოფენენ დაფაზე ან ფლიპჩარტზე წარმოდგენილი სკოლაში მოქმედი წესების ჩამონათვალის გვერდით.

**გაკვეთილი 3**

**ჩვენი სკოლის ახალი წესები**

**ერთობლივი შეთანხმება**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები ეცნობიან საერთო წესების შემუშავებაზე მუშაობის პრინციპებს, წესებისა, რომლებსაც ყველა უნდა დაექვემდებაროს სკოლის ფარგლებში. მოსწავლეები განიხილავენ ამ წესების სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრირების რეალურ გზებს. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები თანხმდებიან წესებზე, რომლებიც მიღებულ იქნა უმრავლესობის მიერ და განიხილავენ ამ წესებში უმცირესობათა მოსაზრებების ჩართვის შესაძლებლობებს. |
| **რესურსები** | ფლიპჩარტი, კალმები, ბარათები ხმის მისაცემად, ფლიპჩარტზე ან დაფაზე გაკრული სკოლის წესების ჩამონათვალი, ქაღალდის მცირე ზომის ფურცლები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები სხედან ნახევარწრეზე ისე, რომ მათ წინ მდგარი დაფა ან ფლიპჩარტი, რომელზეც სკოლაში მოქმედი წესები დიდი ასოებით არის დატანილი, ყველა მათგანის თვალთახედვის არეში იყოს მოქცეული. დაფაზე ასევე მიკრულია ფურცლები, რომლებზეც დატანილია მოსწავლეთა ჯგუფების მიერ ჩამოყალიბებული და შემოთავაზებული წინადადებები, სკოლაში მოქმედ წესებში მათი თვალსაზრისით შესატანი ცვლილებების შესახებ. მოსწავლეები მართავენ დისკუსიას, რომელიც მასწავლებლის მიერ არის ინიცირებული, და მოიცავს შემდეგი კითხვებისა თუ საკითხების განხილვას:

- რას ფიქრობენ მოსწავლეები შემოთავაზებული ცვლილებების შესახებ?
- ეთანხმებიან თუ არა ისინი შემოთავაზებულ ცვლილებებს?

— რამდენი მათგანი ეთანხმება მათ? შეადგენს მომხრეთა რაოდენობა უმრავლესობას?
— რა ბედი ელის უმცირესობას? შესაძლებელია კომპრომისის გამონახვა?

დისკუსიის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები კვლავ თავთავიანთ, ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში ნაწილდებიან და ამჯერად მუშაობენ მათ მიერ შერჩეული ერთ-ერთი წესის შეცვლის წინადადებაზე და ცდილობენ, ახალი ფორმულირება გამოუძებნონ მას. შეცვლილი წესი მათ ახალი ფორმულირებით უნდა დაიტანონ ფურცელზე და გამოფინონ დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი დაფაზე ან ფლიპჩარტზე გამოფენს მათ მიერვე შეცვლილ წესებს, მოსწავლეების ამოცანას წარმოადგენს, კენჭი უყარონ შეცვლილ წესს. კენჭისყრა წარმოებს მოსწავლეებისათვის დარიგებული სპეციალური ბარათების გამოყენებით. თითოეულ წესს მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს, რის შემდეგაც მოსწავლეებმა უნდა აწიონ ის ბარათები, რომლებიც მათ დამოკიდებულებას გამოხატავს მოცემული წესის მიმართ: ვემხრობი, წინააღმდეგი ვარ, თავის ვიკავებ.

ის წესები, რომლებიც ხმების უმრავლესობის მოგროვებას ვერ მოახერხებს, განხილული უნდა იყოს ახლიდან.

პროცედურების დასრულების შემდეგ, სკოლის ახალი წესები უნდა ჩამოყალიბდეს და წერილობითი ფორმით დატანილ იქნეს ქაღალდის ფურცელზე.

**გაკვეთილი 4**

**ვაწარმოებთ კამპანიას ჩვენი სკოლის ახალი წესების დასამკვიდრებლად**

**ახალი წესების შეფასება და მათი წარმოდგენა**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეებს ესმით, რა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კარგი კანონი. ისინი სწავლობენ, როგორ აწარმოონ კამპანია სკოლაში ახალი წესების დასამკვიდრებლად. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები მსჯელობენ კარგი კანონების სხვადასხვა კრიტერიუმზე. ისინი მათ მიერვე შემუშავებულ ახალ კანონებს განიხილავენ ამ კრიტერიუმების მიხედვით. მოსწავლეები წერილობითი ფორმით ადგენენ საბოლოო შეთანხმებას და დააქვთ ზედ თავიანთი ხელმოწერები. ამ შეთანხმებას აცნობენ სხვა კლასებს. |
| **რესურსები** | ფლიპჩარტი, მოსწავლეებისათვის დასარიგებელი სამუშაო ფურცლები, ქაღალდის ფურცლები, მოსწავლეების მიერ შედგენილი შეთანხმების ასლები სხვა კლასის მოსწავლეებისათვის, ამ თავის პირველ გაკვეთილზე ბრეინშტორმინგის მეთოდით წარმოებული ჩანაწერების შედეგები. |
| მეთოდები | წყვილებში მუშაობა, საერთო საკლასო განხილვა, პრეზენტაციები სხვა კლასების წინაშე. |

**გაკვეთილის აღწერა**

მასწავლებელს გაკვეთილზე შემოაქვს პირველ გაკვეთილზე მოსწავლეთა ბრეინშტორმინგის მეთოდით გამოკითხვის შედეგები, რომლებიც, ფაქტობრივად, წესების კრიტერიუმებს წარმოადგენს. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, მათ მიერ მიღებული ახალი წესები განიხილონ და შეაფასონ ამ კრიტერიუმების მიხედვით.

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, რა დროსაც ისინი ავსებენ მათთვის დარიგებულ სამუშაო ფურცლებს.

მოსწავლეები კვლავ ერთად იყრიან თავს და მართავენ საერთო საკლასო სხდომას, რომლის დროსაც სხვა მოსწავლეებს აცნობენ წესების ანალიზზე წყვილებში მუშაობისას მიღებულ შედეგებს. გახორციელებულ იქნა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები სკოლის წესებში? თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, ამ ცვლილებების შესახებ უნდა შედგეს შეთანხმება.

აუცილებელია ფურცელზე დატანილი სკოლის ახალი წესების ასლების გაკეთება, რათა ამ წესებს სკოლის სხვა კლასების მოსწავლეებიც გაეცნონ.

მასწავლებელი მითითებას აძლევს მოსწავლეებს, რათა ისინი ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში გადანაწილდნენ. მოსწავლეთა ჯგუფები უნდა ეწვიონ სკოლის სხვადასხვა კლასს და მათ გააცნონ სკოლის წესების ახალი პროექტი.

მოცემული პროცესი წინასწარ დაგეგმვას მოითხოვს. რა უნდა მოიმოქმედონ სხვა კლასის მოსწავლეებმა მათთვის სკოლის წესების ახალი პროექტის გაცნობის შემდეგ? უნდა შეაფასონ თუ არა მათი სკოლის ახალი წესები? რა ღონისძიებებია დაგეგმილი ამის შემდეგ?

მოსწავლეთა ჯგუფები ემზადებიან პრეზენტაციისათვის, რომლითაც ისინი უნდა წარსდგნენ სხვა კლასის მოსწავლეების წინაშე, ამასთან, ისინი აყალიბებენ იმ მიზეზებს, რომლებმაც, მათი თვალსაზრისით, სკოლაში მოქმედი წესების შეცვლის აუცილებლობა განაპირობა. ამის შემდეგ ისინი უნდა წარსდგნენ სხვა კლასების მოსწავლეების წინაშე პრეზენტაციებით.

პრეზენტაციების შემდეგ მოსწავლეები იკრიბებიან და, საერთო საკლასო სხდომის ფორმატში, მოკლე მოხსენებებით წარსდგებიან საკუთარი თანაკლასელების წინაშე, სადაც პრეზენტაციის შედეგებს აცნობენ ერთმანეთს.

# თავი 6

## ძალაუფლება და ხელისუფლება

### დაწყებითი საფეხური

მე ვწყვეტ ყველაფერს! არის კი ეს ასე?

6.1 სუპერგმირი?

რა პოზიცია უნდა ეკავოს კლასის ხელმძღვანელს?

6.2 კარგი ბიჭები, ცუდი ბიჭები?

რა პოზიცია უკავიათ პოლიტიკოსებს დემოკრატიულ საზოგადოებაში?

6.3 ერთი პიროვნება აკეთებს ყველაფერს, სხვები არაფერს აკეთებენ?

როგორ ნაწილდება როლები წარმომადგენლობით სისტემაში?

6.4 ძალაუფლების განაწილება

რომელი კრიტერიუმები განსაზღვრავენ წარმომადგენლობით სისტემას?

**თავი 6: ძირითადი ცნება - „ძალაუფლება და ხელისუფლება“ (დაწყებითი საფეხურისათვის)**

**ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: ლეგიტიმური ძალაუფლება - უფლებამოსილების გადაცემის პრინციპები დაწყებით საფეხურზე?**

მოსწავლეებს, რომლებიც 10 წლის ზევით ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან, აბსტრაქტული აზროვნების უნარი გააჩნიათ. მათ შეუძლიათ საკუთარ გარემოში არსებული სტრუქტურების აღქმა, თავიანთი სტრუქტურების ჩამოყალიბება და, ასევე, შეუძლიათ თავიანთი ინტერესები სხვათა ინტერესებისაგან განასხვაონ. ასაკის მატებასთან ერთად, მათ ეს სულ უფრო და უფრო უკეთ გამოსდით.

10 წლის ასაკიდან მოსწავლეები იწყებენ სივრცესა და დროს შორის არსებული კავშირის გაცნობიერებას, მათ უვითარდებათ განწყობის აღქმისა და გამოხატვის უნარი და ნორმების აღქმის უნარი. ამ ასაკის მოზარდები უკვე კარგად იცნობენ იმ გარემოს, რომელშიც უწევთ ყოფნა და უდიდეს ინტერესს ავლენენ იმის მიმართ, რაც მათთვის ჯერ შეუცნობლად რჩება. სოციალური სისტემების (ასოციაციები, კლუბები, ახალგაზრდული დაჯგუფებები და ა.შ.) მათეული აღქმა უფრო დეტალური ხდება და, შესაბამისად, მეტი მოტივაცია უჩნდებათ და მეტად არიან ჩართული სხვა ადამიანების დაცვისა და თავიანთი ინტერესების გატარების საქმეში.

ამ ასაკის მოსწავლეებისათვის  კლასისა და სკოლის საზოგადოებრივი ცხოვრება მეტ მნიშვნელობას იძენს. როგორ არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრება? რომელი წესებია მნიშვნელოვანი? ვინ ადგენს ამ წესებს და ვინ ამტკიცებს მათ? ვინ ფლობს ამ წესების შეცვლისათვის საჭირო ძალებს?

ამ კითხვებზე პასუხების ძიებისას, საჭიროა ფლობდე არა მხოლოდ ცოდნას მოცემული საზოგადოების -  ან უფრო ფართო გაგებით, სახელმწიფოს - პოლიტიკური სისტემების შესახებ, არამედ, აგრეთვე, ამ საზოგადოების შიგნით არსებულ სტრუქტურებსა  და მის ფარგლებში მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენის უნარს - სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, საჭიროა „ცხოვრობდე“ დემოკრატიულად.

ბავშვის ასაკობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, მოზარდების განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მათ მონაწილეობის საშუალებას მისცემს სკოლის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებსა და პროექტებში, განსაკუთრებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურის პირველ ეტაპზე. მოზარდებს შეუძლიათ, აღიქვან პოლიტიკური პროცესების ციკლი და ჩასწვდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსს. გარდა ამისა, მოზარდთა ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაფერის გადაწყვეტილებათა უმრავლესობა საზოგადოებრივ დონეზე არსებულ საკითხებს ეხება (როგორიცაა, გზებზე მოძრაობა, გასართობი საშუალებები და ა.შ.). მოსწავლეებს შეუძლიათ, სათანადო დონეზე ჩასწვდნენ საკითხის არსს, თუ მათ ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ სოციალური პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ თავზე და თუ ისინი  პასუხისმგებლობას გრძნობენ სასკოლო ცხოვრების გარკვეულ ასპექტებზე. უფლებებით აღჭურვისა და ამ უფლებებით სარგებლობის პირობებში, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უამრავი  გამოცდილების დაგროვება შეუძლიათ. რაც უფრო მეტი რეალური გამოცდილება უგროვდებათ ამ ასაკის მოსწავლეებს და რაც უფრო მეტ სიტუაციაში ეძლევათ პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, მით უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ შემდგომ ცხოვრებაში ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და საზოგადოებისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა ჩამოუყალიბდებათ.

ძალაუფლებისა და ხელისუფლების - უფლებამოსილების გადაცემის პრინციპის - გაცნობიერება ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია. წინამდებარე თავში შესული გაკვეთილების მიზანს წარმოადგენს სკოლაში მიმდინარე იმ პოლიტიკური პროცესების ვიზუალიზაცია, რომლებიც სკოლის ფარგლებს გარეთ მიმდინარე რეალური პროცესების ანალოგიურია. ამ თვალსაზრისით, კლასის ხელმძღვანელის არჩევის პროცესი არ უნდა განიხილებოდეს როგორც განყენებული მოვლენა, არამედ მოვლენა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მოდელი. სკოლაში განხორციელებული ისეთი აქტივობებისაგან განსხვავებით, როგორიცაა იმიტირებული არჩევნები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ ძალაში დატოვონ ან

გააუქმონ მისი შედეგები, კლასის ხელმძღვანელის არჩევა უნდა წარმოადგენდეს პროცესს, რომელსაც გავლენა ექნება სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| ** | *** | ** |

| **დამხმარე ინსტრუმენტები**<br>*წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
|---|---|
| **0** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **0** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **0** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **0** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **0** | პოსტერების შექმნა |
| **0** | გამოფენების მოწყობა |
| **x** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **0** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **0** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **0** | წარმოდგენების გამართვა |
| **x** | დებატების წარმოება |

## თავი 6: ძალაუფლება და ხელისუფლება

## მე ვწყვეტ ყველაფერს! არის კი ეს ასე?

## ლეგიტიმური ძალაუფლება - უფლებამოსილების გადაცემის პრინციპები დაწყებით საფეხურზე?

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1: სუპერგმირი? | მოსწავლეები მსჯელობენ პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების გადაცემის კონცეფციებზე, სკოლის ხელმძღვანელის პოზიციის მაგალითზე. | მოსწავლეები განიხილავენ პასუხისმგებლობებს, კომპეტენციებსა და პოზიციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კლასის ხელმძღვანელი. | ფლიჩარტი, კალმები, მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილი სამუშაო ფურცლები, სუპერგმირის დიდი ფორმატის სურათი. | დამოუკიდებელი სამუშაო, ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |
| გაკვეთილი 2: კარგი ბიჭები, ცუდი ბიჭები? | მოსწავლეები ეცნობიან იმ იდეას, რომ ერთი პიროვნება შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანთა ჯგუფს. ისინი აგრეთვე ეცნობიან უფლებამოსილების გადაცემის კონცეფციას. | მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს ადარებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური წარმომადგენლობის სქემას. ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს პოლიტიკოსებზე და თავიანთ მოსაზრებებს სხვათა მოსაზრებებს ადარებენ. ამისათვის ისინი მოკლე ინტერვიუებს იღებენ სხვებისაგან. | პოლიტიკური წარმომადგენლობის სქემა, კალმები, ქაღალდის ფურცლები. | დამოუკიდებელი სამუშაო, წყვილებში მუშაობა, საერთო საკლასო განხილვა. |
| გაკვეთილი 3: ერთი პიროვნება აკეთებს ყველაფერს, სხვები არაფერს აკეთებენ? | მოსწავლეები მსჯელობენ სხვადასხვა პოზიციასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებსა და კომპეტენციებზე და ეცნობიან არჩევნების პროცესსა და მის შედეგებს. | მოსწავლეები კლასს აცნობენ მათ მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგებს. ისინი განსაზღვრავენ სხვადასხვა პოზიციასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებსა | ფლიჩარტი, კალმები, ხმის მისაცემი ბარათები, იმ მოსწავლეთა სია, რომლებიც დაინტერესებულები არიან კლასის ხელმძღვანელის პოსტის დაკავებით, მოსწავლეებისათვის | საერთო საკლასო განხილვა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | და კომპეტენციებს და ერთ-ერთ მოსწავლეს ირჩევენ კლასის ხელმძღვანელად. | დასარიგებლად განკუთვნილი სამუშაო ფურცელის ასლები. | |
| გაკვეთილი 4: ძალაუფლების განაწილება | მოსწავლეები ეცნობიან ხელახალი არჩევნებისა და გადარჩევის ცნებებს. ისინი მსჯელობენ კრიტერიუმებზე, რომლებიც წარმომადგენლობით სისტემას განსაზღვრავს. | მოსწავლეები მსჯელობენ და განსაზღვრავენ კრიტერიუმებს, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, აკონტროლონ კლასის ხელმძღვანელის საქმიანობა. | ფლიჩარტი, კალმები. | საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილი 1**

**სუპერგმირი?**

**რა პოზიცია უნდა ეკავოს კლასის ხელმძღვანელს?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები მსჯელობენ პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების გადაცემის კონცეფციებზე, სკოლის ხელმძღვანელის პოზიციის მაგალითზე. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები განიხილავენ პასუხისმგებლობებს, კომპეტენციებსა და პოზიციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კლასის ხელმძღვანელი. |
| **რესურსები** | ფლიპჩარტი, კალმები, მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილი სამუშაო ფურცლები, სუპერგმირის დიდი ფორმატის სურათი. |
| **მეთოდები** | დამოუკიდებელი სამუშაო, ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეებს ურიგდებათ სამუშაო ფურცლები „სუპერგმირის“ გამოსახულებით. მათ ამოცანას წარმოადგენს „სუპერგმირის“ გარშემო მოცემულ ცარიელ უჯრებში იმ კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების ჩაწერა, რომელსაც კლასის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს. მოსწავლეებს, ამ დავალების დამოუკიდებლად შესასრულებლად, ეძლევათ 10 წუთი.

მას შემდეგ, რაც ისინი დავალებას შეასრულებენ, მოსწავლეები ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში ნაწილდებიან და განიხილავენ საკუთარ და თანაგუნდელების მიერ შესრულებულ სამუშაოს. ჯგუფის წევრები უნდა შეთანხმდნენ ყველაზე მართებულ და შესაბამის მახასიათებლებზე, კომპეტენციებსა და პასუხისმგებლობებზე, რომელსაც უნდა ფლობდეს კლასის ხელმძღვანელი.

საკუთარი გადაწყვეტილებები მოსწავლეთა ჯგუფების წევრებმა უნდა დაიტანონ ფურცლებზე.

ყველა ჯგუფმა მის მიერ შედგენილი ჩამონათვალი უნდა მიაკრას დაფაზე ან ფლიპჩარტზე განთავსებული „სუპერგმირის“ სურათს. მოსწავლეები ერთვებიან მასწავლებლის მიერ ინიცირებულ დისკუსიაში, რომლის დროსაც განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

- — რომელია უმთავრესი კომპეტენცია, რომელსაც უნდა ფლობდეს კლასის ხელმძღვანელი?
- — რა სიტუაციაში დასჭირდება კლასის ხელმძღვანელს სხვების მხარდაჭერა?
- — აუცილებელია კლასის ხელმძღვანელი სუპერგმირი იყოს?
- — რა სიტუაციებში უნდა იყოს კლასის ხელმძღვანელი ყველა დანარჩენი მოსწავლის ამპლუაში?
- — რა სისუსტეები შეიძლება ახასიათებდეს კლასის ხელმძღვანელს?
- — რა გარემოებების არსებობისას არის შესაძლებელი კლასის ხელმძღვანელის ჩანაცვლება? როგორ უნდა გახორციელდეს ეს?
- — რა სურვილებსა და მისწრაფებებზე უნდა თქვას უარი კლასის ხელმძღვანელმა?

დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დაფიქრდნენ კლასის ხელმძღვანელად წარმოუდგენიათ თუ არა საკუთარი თავი. მათ უნდა გაითვალისწინონ ის პასუხისმგებლობები და კომპეტენციები, რომლის შესახებაც იმსჯელეს და შეაფასონ, შეძლებენ თუ არა, თავი გაართვან კლასის ხელმძღვანელის ვალდებულებებს. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ფურცელს და სთხოვს, ამ ფურცელზე დაწერონ საკუთარი სახელი და გვარი იმ შემთხვევაში, თუ მიაჩნიათ, რომ შეძლებენ კლასის ხელმძღვანელის ფუნქცია იტვირთონ და თუ დაინტერესებულები არიან ამით.

**გაკვეთილი 2**

**კარგი ბიჭები, ცუდი ბიჭები?**

**რა პოზიცია უკავიათ პოლიტიკოსებს დემოკრატიულ საზოგადოებაში?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები ეცნობიან იმ იდეას, რომ ერთი პიროვნება შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანთა ჯგუფს. აგრეთვე, ეცნობიან უფლებამოსილების გადაცემის კონცეფციას. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები თავიანთ მოსაზრებებს ადარებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური წარმომადგენლობის სქემას. გამოთქვამენ მოსაზრებებს პოლიტიკოსებზე და თავიანთ მოსაზრებებს სხვათა მოსაზრებებს ადარებენ. ამისათვის  მოკლე ინტერვიუებს იღებენ სხვებისაგან. |
| **რესურსები** | პოლიტიკური წარმომადგენლობის სქემა, კალმები, ქაღალდის ფურცლები. |
| **მეთოდები** | დამოუკიდებელი სამუშაო, წყვილებში მუშაობა, საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს, რომელზეც წარმოდგენილია პოლიტიკური წარმომადგენლობის სქემა. მასწავლებელი მათ აცნობს უფლებამოსილების გადაცემის ცნებას სახელმწიფოს დონეზე და უხსნის, რომ როგორც კლასს ჰყავს ხელმძღვანელი, სახელმწიფოებსაც ჰყავთ თავიანთი ხელმძღვანელები, რომელთაც გადაეცემათ საჭირო უფლებამოსილება.

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას სქემის შესახებ და უხსნის მათ წარმომადგენლობის სისტემას. სახელმწიფოთა განსხვავებულ სისტემებს წარმომადგენლების არჩევის განსხვავებული პროცესები გააჩნიათ (მაგალითად, პირდაპირი დემოკრატიისა და არაპირდაპირი დემოკრატიის სისტემები).

მოსწავლეები სამუშაო ფურცლებზე მუშაობენ დამოუკიდებლად. შემდეგ წყვილებში საუბრობენ იმაზე, რაც პოლიტიკოსების შესახებ იციან და მათზე საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებენ. შემდეგი კითხვები დაეხმარება მათ მოცემულ თემაზე საუბრის წარმოებაში:

— რას ფიქრობთ პოლიტიკოსებზე?
— რომელ პოლიტიკოსებს იცნობთ?
— რას უნდა აკეთებდნენ პოლიტიკოსები?
— რას არ უნდა აკეთებდეს პოლიტიკოსი?
— რატომ აქვს ბევრ ადამიანს ცუდი წარმოდგენა პოლიტიკოსებზე?

ამის შემდეგ მოსწავლეები იღებენ დავალებას, რომელიც ინტერვიუს აღებას და პოლიტიკოსებსა და მათ კომპეტენციებზე სხვა ადამიანების შეხედულებების შესახებ გამოკითხვას გულისხმობს. მოსწავლეებმა თავად უნდა შეადგინონ და ჩაწერონ კითხვები, რომლებიც მათ სურთ რომ დაუსვან საკუთარი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, იმ საზოგადოების წევრებს, რომელსაც ეკუთვნიან. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს მითითებას, რომ მათ მოპასუხეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ჩაიწერონ. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთ კითხვას, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ინტერვიუს დროს:

— რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს პოლიტიკოსი?
— თქვენი აზრით, რატომ აქვთ ადამიანებს ხშირად ცუდი წარმოდგენა პოლიტიკოსებზე?
— რა მახასიათებელი არ უნდა გააჩნდეს პოლიტიკოსს?

გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები იღებენ ინტერვიუს მათ მიერ შერჩეული პირებისაგან. შედეგები უნდა წარმოადგინონ შემდეგ გაკვეთილზე.

**გაკვეთილი 3**

**ერთი პიროვნება აკეთებს ყველაფერს, სხვები არაფერს აკეთებენ?**

**როგორ ნაწილდება როლები წარმომადგენლობით სისტემაში?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები მსჯელობენ სხვადასხვა პოზიციასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებსა და კომპეტენციებზე და ეცნობიან არჩევნების პროცესსა და მის შედეგებს. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები კლასს აცნობენ მათ მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგებს. ისინი განსაზღვრავენ სხვადასხვა პოზიციასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებსა და კომპეტენციებს და ერთ-ერთ მოსწავლეს ირჩევენ კლასის ხელმძღვანელად. |
| **რესურსები** | ფლიპჩარტი, კალმები, ხმის მისაცემი ბარათები, იმ მოსწავლეთა სია, რომლებიც დაინტერესებულები არიან კლასის ხელმძღვანელის პოსტის დაკავებით, მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილი სამუშაო ფურცელის ასლები. |
| **მეთოდები** | საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეებმა გაკვეთილზე უნდა წარმოადგინონ მათ მიერ აღებული ინტერვიუების შედეგები. შედეგებს წარმოადგენენ სწრაფი გამოკითხვის, ეგრეთ წოდებული ბლიცგამოკითხვის მეთოდით, სადაც თითოეულ მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი წინადადების წარმოთქმა. მასწავლებელს მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პასუხებიდან ამოკრებილი კომპეტენციები, რომლებსაც ეხება იმას, თუ რა მახასიათებლებსა თუ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს პოლიტიკოსი, გადააქვს დაფაზე ან ფლიპჩარტზე, რაც მოსწავლეებს ეხმარება პასუხებში გამოკვეთილი ტენდენციის აღქმაში.

მეორე ეტაპზე, მასწავლებელი კვლავ უბრუნდება კლასის ხელმძღვანელის პოლიტიკური ფუნქციის თემას. დაფაზე გამოკრულია იმ მოსწავლეების სია, რომლებმაც ინტერესი გამოხატეს ამ პოზიციის დაკავების მიმართ. მასწავლებელი აკეთებს განაცხადს, რომ იმისათვის, რათა გადაწყვიტონ, რომელ კანდიდატზე სურთ არჩევანის გაკეთება, მოსწავლეები თავდაპირველად კარგად უნდა გაეცნონ კანდიდატებს, უფრო მეტი უნდა შეიტყონ მათ შესახებ, მათი კომპეტენციებისა და მოსაზრებების შესახებ. ამის შემდეგ მასწავლებელი კანდიდატებს სთხოვს, საკუთარი პიროვნებების შესახებ მოკლე პრეზენტაციით წარსდგნენ კლასის წინაშე, რომელიც მაქსიმუმ ორი წუთი უნდა გაგრძელდეს, თითოეული კანდიდატის შემთხვევაში. კანდიდატების მიერ გაკეთებული პრეზენტაციების ძირითადი თემა უნდა იყოს „რას ვუჭერ მხარს“.

მას შემდეგ, რაც ბოლო კანდიდატი საკუთარ გამოსვლას დაასრულებს, მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს არჩევნების პროცედურათა ორ ტიპს: ღია კენჭისყრა და დახურული კენჭისყრა. მოსწავლეებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რომელი ტიპის კენჭისყრით სურთ კლასის მომავალი ხელმძღვანელის არჩევა.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები საკუთარ არჩევანს დახურულ კენჭისყრაზე შეაჩერებენ, მათ დასჭირდებათ საარჩევნო ბიულეტენების გამოყენება, რომლებზეც ანონიმურად უნდა დაწერონ იმ კანდიდატის სახელი და გვარი, რომელიც სურთ იხილონ კლასის ხელმძღვანელად. საარჩევნო ბიულეტენებს მოსწავლეები ათავსებენ ყუთში. ორმა მოსწავლემ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ხმების დათვლაზე და შედეგები უნდა დაიტანონ ფლიპჩარტზე ან დაფაზე.

მოსწავლეები, რომლებიც ხმების დათვლაზე არიან პასუხისმგებლები, აცხადებენ იმ მოსწავლის ვინაობას, რომელიც ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა კლასის ხელმძღვანელად; მათ აგრეთვე უნდა დაასახელონ იმ კანდიდატის ვინაობა, რომელიც არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა და, შესაბამისად, ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობა უნდა შეასრულოს.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს შემდეგ საშინაო დავალებას: „სახლში რომ დაბრუნდებით, ჰკითხეთ თქვენს მშობლებს, ბოლოს როდის მიიღეს მონაწილეობა

არჩევნებში, რა ტიპის არჩევნები იყო ეს, სად გაიმართა და როგორ იყო იგი ორგანიზებული“ (მასწავლებელმა არ უნდა მიუთითოს მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ ჰკითხონ საკუთარ მშობლებს, თუ ვის მისცეს მათ ხმა ამ არჩევნებში). ეს დავალება მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ სამუშაო ფურცლებზე, როლებსაც მათ მასწავლებელი ურიგებს.

**გაკვეთილი 4**

**ძალაუფლების განაწილება**

**რომელი კრიტერიუმები განსაზღვრავენ წარმომადგენლობით სისტემას?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები ეცნობიან ხელახალი არჩევნებისა და გადარჩევის ცნებებს. ისინი მსჯელობენ კრიტერიუმებზე, რომლებიც წარმომადგენლობით სისტემას განსაზღვრავს. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები მსჯელობენ და განსაზღვრავენ კრიტერიუმებს, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, აკონტროლონ კლასის ხელმძღვანელის საქმიანობა. |
| **რესურსები** | ფლიპჩარტი, კალმები. |
| **მეთოდები** | საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები გაკვეთილზე უნდა გამოცხადდნენ შესრულებული საშინაო დავალებით, რომელიც არჩევნების შესახებ მათი მშობლების გამოკითხვას შეეხება. მოსწავლეები ნაწილდებიან ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში და ერთმანეთს უზიარებენ იმ პასუხებს, რომლებიც მათ თავიანთი მშობლებისაგან მიიღეს.

ამის შემდეგ, მასწავლებელი მათ უკითხავს მოთხრობას ერთი პატარა ქალაქის მერის შესახებ.

*იყო ერთი ქალაქი, რომელსაც სახელად მოსაწყენქალაქი ერქვა და რომლის მცხოვრებლებიც ძალიან მოწყენილები იყვნენ. მათ საამისოდ რამდენიმე მიზეზი ჰქონდათ. მოსაწყენქალაქი არ იყო საინტერესო და იქ გასაკეთებელიც არაფერი იყო; ქალაქს მხოლოდ ერთი ადგილობრივი პარკი გააჩნდა. ქალაქში არ იყო საინტერესო მაღაზიები, არ იმართებოდა კონცერტები, ისეთი ადგილიც კი არსად იყო, სადაც სპორტული ღონისძიების ჩატარებას შეძლებდნენ მცხოვრებლები. ქალაქს სათამაშო მოედანიც კი არ გააჩნდა ბავშვებისათვის, არც საბავშვო ბაღში და არც სკოლაში.*

*ერთადერთი ადგილი, სადაც მოსაწყენქალაქის მაცხოვრებლებს დროის გატარება შეეძლოთ, ქალაქის პარკი იყო, ისინი პარკში მიდიოდნენ, სეირნობდნენ, სხდებოდნენ და გაჰყურებდნენ პატარა აუზს. მოსწავლეები, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, გაკვეთილებს ამზადებდნენ და ისინიც პარკში მიდიოდნენ, სადაც ან ისხდნენ ან აუზის გარშემო დარბოდნენ. საღამოობით მოსაწყენქალაქის მაცხოვრებლებს ერთმანეთისათვის არაფერი ჰქონდათ მოსაყოლი, გასაზიარებელი ან გასახსენებელი. მოსაწყენქალაქის მოსახლეობისათვის ყოველი დღე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს.*

*რატომ ხდებოდა ასე? შესაძლოა მოსაწყენქალაქი ძალიან ღარიბი იყო და ახალი გასართობი ადგილების აშენების საშუალება არ ჰქონდა; ან მოსაწყენქალაქის მოსახლეობა ძალიან ზარმაცი იყო და არაფრის კეთება არ სურდათ. არა, ეს ასე ნამდვილად არ იყო. საქმე იმაში გახლდათ, რომ ქალაქში არავინ იყო, ვინც რაიმე ღონისძიების ორგანიზებას ითავებდა და გაუძღვებოდა, ვისაც სურვილი ექნებოდა პასუხისმგებლობა აეღო საკუთარ თავზე და ქალაქის ცხოვრებაში რაიმე ცვლილების შეტანაზე ეზრუნა. სხვა ბევრი პატარა ქალაქისაგან განსხვავებით, მოსაწყენქალაქს არ ჰყავდა ხელმძღვანელი - ქალაქის მერი.*

*ვინაიდან მოსაწყენქალაქში ცხოვრება აუტანლად მოსაწყენი გახდა, ერთ კვირა დილით, პარკში დასასვენებლად მისული ადამიანების ჯგუფმა გადაწყვიტა გაემართათ არჩევნები და აერჩიათ ვინმე, ვინც მათ ქალაქს სათავეში ჩაუდგებოდა - მათ მერის არჩევა გადაწყვიტეს. რაიმე უნდა შეცვლილიყო ქალაქის ცხოვრებაში და თან, რაც შეიძლება სწრაფად!*

*ქალაქში არც თუ ბევრმა გამოთქვა სურვილი, ეტვირთა ეს მოვალეობა. არჩევნებში მხოლოდ ორი კანდიდატი იყრიდა კენჭს. ამათგან ერთი ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო, პროფესიით მასწავლებელი, ბატონი ცოდნიშვილი, რომელსაც წლების განმავლობაში დიდი სურვილი ჰქონდა, რაიმე შეეცვალა ადგილობრივ სკოლაში და მის ფარგლებს გარეთაც. მას ჰქონდა გარკვეული იდეები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოეხერხებინა ეს, მაგრამ როდესაც ხალხმა ჰკითხა, თუ რის შეცვლას გეგმავდა იგი მოსაწყენქალაქში, მან უპასუხა, რომ ჯერჯერობით ამის*

*შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა და, პირველ რიგში, ქალაქის მოსახლეობის აზრის გაგებას ისურვებდა, თუ რა სჭირდებოდათ მათ. ძალიან ბევრ ადამიანს იმედი გაუცრუვდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ბატონი ცოდნიშვილი დიდი სავაჭრო ცენტრის, კინოთეატრისა და რესტორანის შენების იდეით წარსდგებოდა მათ წინაშე. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ბოლოს და ბოლოს ქალაქს ექნებოდა დიდი საცურაო აუზი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ბატონი ცოდნიშვილი მათ საკონცერტო დარბაზის აშენებას დაჰპირდებოდა. რა იმედგაცრუება იყო ეს მოსაწყენქალაქის მოსახლეობისათვის!*

*როდესაც ქალაქის მაცხოვრებლების წინაშე მეორე კანდიდატი, ბატონი მცირიშვილი წარსდგა, მოსაწყენქალაქის მოსახლეობას დიდი მოლოდინი არ გასჩენია. „დროს ფუჭად ვფლანგავთ; მოსაწყენქალაქში არაფერი შეიცვლება“, ჩაილაპარაკა ერთმა მოხუცმა. „ვფიქრობ, მართალს ბრძანებთ“, ჩურჩულით გამოეპასუხა გვერდით მდგომი მოხუცი ქალი. ბატონმა მცირიშვილმა, სასიამოვნო გარეგნობის ახლაგაზრდა კაცმა თავისი გამოსვლა დაიწყო. იგი ალაპარაკდა და რა ალაპარაკდა. მოსაწყენქალაქზე ისაუბრა, როგორც მშობლიურ ქალაქზე, ახსენა სკოლა, რომელშიც დადიოდა და პარკი, სადაც გაიზარდა. მან ისაუბრა იმაზეც, თუ რა უნდა შეცვლილიყო მოსაწყენქალაქში. ისაუბრა სათამაშო მოედანზე, რომელიც ბავშვებს სჭირდებოდათ, ახალ საცურაო აუზზე, რომელიც ქალაქის ყველა მოსახლის სურვილი იყო, ყველასათვის სანატრელ საკონცერტო დარბაზზე, სპეციალური მოედანიც კი ახსენა, სადაც მოზარდები გორგოლაჭებიანი დაფით სრიალსა და გართობას შეძლებდნენ. ბატონი მცირიშვილი საუბარს აგრძელებდა და მოსაწყენქალაქის მოსახლეობას, რომლებიც მის მოსასმენად მოსულიყვნენ, თვალებში იმედის ნაპერწკალი უდგებოდათ. ყველას ერთბაშად ღიმილი დაეტყო სახეზე. „ძალიან კარგი, შესაძლოა ჩვენ ვცდებოდით“, კვლავ ჩურჩულით ჩაილაპარაკა მოხუცმა ქალმა. „შესაძლოა“, გამოეპასუხა მას გვერდით მდგარი მოხუცი კაცი, რომელიც ოცნებით უკვე ახალ საცურაო აუზში ნებივრობდა.*

*„და როგორ გავწვდებით ყველაფერ ამას?“ კითხვით მიმართა მსმენელებს ბატონმა მცირიშვილმა. „მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს! მე გთავაზობთ, ყველამ ჩვენ-*

*ჩვენი დანაზოგი ჩავდოთ ამ საქმეში და მე ვიზრუნებ იმაზე, რომ ქალაქში ყველაფერი ეტაპობრივად აშენდეს, ამგვარად ყველა ჩვენთაგანი მიიღებს სასურველ სარგებელს“. მოსაწყენქალაქის მოსახლეობას ეს სამართლიანად ეჩვენა. არჩევნები მომდევნო კვირა დღეს გაიმართა, მოსაწყენქალაქის მთელი მოსახლეობიდან მხოლოდ ორმა ადამიანმა არ მისცა ხმა ბატონ მცირიშვილს. იგი უდავოდ გამარჯვებული იყო. ის ორი ადამიანი, ვინც ხმა ბატონ ცოდნიშვილს მისცა, იყვნენ თავად ბატონი ცოდნიშვილი და მისი დედა. მაგრამ ახლა მოსაწყენქალაქში ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო. ამაში ყველა დარწმუნებული იყო. ბოლოს და ბოლოს, ვიღაც მაინც გამოჩნდა, ვისაც გააჩნდა გეგმები იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გაკეთებულიყო და იმასთან დაკავშირებითაც, თუ როგორ უნდა დაფარულიყო ხარჯები. არავის შეპარვია ეჭვი, რომ მოსაწყენქალაქის მოსახლეობა უშურველად გაიღებდა წლების მანძილზე დაგროვილ ფულს ქალაქის აღორძინებისათვის და მართლაც ყველა ასე მოიქცა, მათ დანაზოგები ბატონ მცირიშვილს გადასცეს და მანაც სიხარულით ჩაიბარა იგი.*

*არჩევნებიდან საკმაო დრომ გაიარა, მოსაწყენქალაქის მოსახლეობაში აღტყინება არ ცხრებოდა, ყველა იმედის თვალით უყურებდა მომავალს, სჯეროდათ, რომ დადგა დრო, როდესაც ყველა მიიღებდა იმას, რაც მათ დიდი ხნის ნატვრას წარმოადგენდა. თვე თვეს მისდევდა, მაგრამ მოსაწყენქალაქში სამშენებლო უბნები არ გამოჩენილა; არც მშენებლები ჩანდნენ სადმე, რომ საფუძველი ჩაეყარათ ახალი მშენებლობებისათვის.*

*ერთ დღეს, მოსაწყენქალაქის ქუჩებში მანქანა გამოჩნდა, რომელსაც თავზე დიდი ცისფერი მოწყობილობა ედგა. „ჩვენი საცურაო აუზი“, აღფრთოვანებით წამოიძახა სკოლის მოსწავლე ბიჭუნამ, რომელმაც სკოლის ფანჯრიდან თვალი მოკრა ქუჩაზე მიმავალ მანქანას. „რა კარგია“, აჰყვნენ მას სხვა მოსწავლეები. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მათ აღმოაჩინეს, რომ მანქანას საცურაო აუზი ბატონი მცირიშვილის სახლთან მიეტანა და ახლა იგი მის ეზოში იყო დამონტაჟებული. მოსაწყენქალაქის მოსახლეობას ეჭვი გაუჩნდა. ზოგი ბატონ მცირიშვილს ცრუ დაპირებებში*

*ადანაშაულებდა, მაგრამ ზოგს სჯეროდა, რომ მათი საცურაო აუზიც მალე შემოვიდოდა ქალაქში და მოთმინებით ელოდა ამ დღეს.*

*ერთი კვირის შემდეგ რამდენიმე მოხუცმა ქუჩაში უზარმაზარი ძვირფასი მანქანა შენიშნა. მანქანა ოქროსფრად ბრწყინავდა მზის შუქზე. „ჰა, ჰა, არ ვიცოდი ჩვენს ქალაქს თუ დედოფალი ესტუმრებოდა“, გაიხუმრა ერთმა მოხუცმა. მოხუცის ხუმრობას სხვები სიცილით გამოეხმაურნენ, მაგრამ სიცილი სახეზე შეაშრათ, როდესაც გაარჩიეს, თუ ვინ იჯდა მანქანის საჭესთან. ეს ბატონი მცირიშვილი იყო. იმის ნაცვლად, რომ ქალაქის მოსახლეობისაგან აგროვილი ფულით სათამაშო მოედანი აეშენებინა, მან თავისთვის ახალი მანქანა შეიძინა. მოსაწყენქალაქის მოსახლეობას ბრაზი მოერია.*

*ერთი კვირის შემდეგ ქალაქში კიდევ ერთი ამბავი გავრცელდა. წერილების ჩამორიგების შემდეგ შინ დაბრუნებულმა ქალაქის ფოსტალიონმა თავის მეგობარს უამბო, რა გადახდა იმ დღეს. „წარმოიდგინე, ბატონი მცირიშვილის ეზოს რომ ჩავუარე, უცნაური ხმა შემომესმა, ხმა, რომელსაც სპილო გამოსცემს. გადავწყვიტე, გავჩერებულიყავი და ახლოდან მენახა, რა ხდებოდა.“ „და რა ნახე?“ ჰკითხა მეგობარმა, რომელსაც სახეზე ცნობისმოყვარეობა აღბეჭდვოდა. „არ დაიჯერებ: რკინის გისოსებს შორის შევიჭყიტე და დავინახე, რომ ხმას უზარმაზარი სპილო გამოსცემდა“. „კარგი ერთი, მართლა?“ უნდობლად ჩაეკითხა მეგობარი. „მართლა, ასე მეგონა, სანამ გავარკვევდი, რომ ეს მხოლოდ ფილმი იყო. მაგრამ არასდროს მინახავს ამხელა ეკრანი! ბატონ მცირიშვილს მსოფლიოში ყველაზე დიდი ღია კინოთეატრი აქვს, დამიჯერე!“ საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ ქალაქის მაცხოვრებლები. სად წავიდა დაპირებული საკონცერტო დარბაზი? მოსაწყენქალაქის მოსახლეობის ბრაზი დღითიდღე მატულობდა. მაგრამ რა უნდა ეღონათ? ბატონ მცირიშვილს ხომ საკუთარი ნებით მისცეს ხმა?*

*„ეს ჩემი საქმე არ არის“ ასეთი იყო ბატონი ცოდნიშვილის, მასწავლებლის პასუხი ხალხის იმ ჯგუფის კითხვაზე, რომლებიც მასთან რჩევის საკითხავად მივიდნენ. ეს სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც თავიდან მოსაწყენქალაქში არჩევნების ჩატარების ინიციატივით გამოვიდნენ. „მას ხმა თქვენ მიეცით და ახლა იგი*

*მოსაწყენქალაქის მერია“, განუცხადა მათ ბატონმა ცოდნიშვილმა. „მაგრამ ეს უსამართლობაა“, იყო პასუხი. „მან ის ფულიც კი მიითვისა, რომელიც ბავშვებისათვის სათამაშო მოედანის ასაშენებლად იყო განკუთვნილი და თავისთვის თავისი საყვარელი სასაუზმე აიშენა ბაღში. ახლა მთელი დღის მანძილზე ზის და საყვარელ კერძებს შეექცევა, თანაც რამდენსაც უნდა, იმდენს, მაშინ როცა ჩვენ ისევ იმ პარკში ვსხედვართ მოწყენილები და ჩვენი შვილებიც მოწყენილები სხედან პარკში“. „გასაგებია“, თქვა ბატონმა ცოდნიშვილმა, თვალები დახუჭა და ხელით ნიკაპი მოისრისა. „გასაგებია და ჩვენ რაიმე უნდა ვიღონოთ...“*

მოსწავლეები ჯგუფებში ნაწილდებიან და განიხილავენ, თუ როგორი გაგრძელება შეიძლება ჰქონდეს მოთხრობას, ამავდროულად, ყურადღებას ამახვილებენ სამ კითხვაზე:

— რისი გაკეთება შეეძლო მოსაწყენქალაქის მოსახლეობას მანამდე?

— რისი გაკეთება შეუძლიათ მათ ახლა? მათ ხომ მერად საკუთარი ნებით აირჩიეს ბატონი მცირიშვილი?

— როგორ შეიძლება მსგავსი სიტუაცია თავიდან იქნეს აცილებული მომავალში?

მოსწავლეების ჯგუფებს თავიანთი მოსაზრებები დიდი ფორმატის ფურცლებზე გადააქვთ და აცნობენ მათ თანაკლასელებს, საერთო საკლასო დისკუსიის დროს.

მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი თავის მოსაზრებებს გააცნობს კლასს, მასწავლებელს ყურადღება კლასში არსებულ სიტუაციაზე გადააქვს და მოსწავლეებს შემდეგი ტიპის კითხვებს უსვამს:

— როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ კლასის ხელმძღვანელი ასრულებს იმას, რაზეც ჩვენ ყველა შევთანხმდით?

— რა მექანიზმი შეიძლება შევიმუშაოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ კლასის ხელმძღვანელის მიერ საკუთარი მოვალეობების პირნათლად შესრულება?

— ვის შეუძლია აკონტროლოს ეს?

— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ აღმოვაჩენთ, რომ რაღაც წესრიგში არ არის?

— ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კლასის ხელმძღვანელის გადარჩევის თაობაზე?

მოსწავლეები ამ კითხვებს განიხილავენ საერთო საკლასო სხდომაზე და გამოთქვამენ მოსაზრებებს ამ საკითხების შესახებ. ამის შემდეგ, ისინი კენჭს უყრიან გამოთქმულ მოსაზრებებს და თანხმდებიან ერთობლივ გამოსავალზე. შეთანხმება დგება წერილობითი ფორმით და მასზე საკუთარი ხელმოწერა უნდა დაიტანოს კლასის უკლებლივ ყველა მოსწავლემ, მათ შორის, კლასის ხელმძღვანელმა და მისმა მოადგილემ.

# თავი 7

## პასუხისმგებლობა

### დაწყებითი საფეხური

მე ბუნების დამცველი ვხდები ... ჩემი სკოლა მონაწილეობს!

7.1 პასუხისმგებლობა

მოსწავლეები განიხილავენ ძირითად პასუხისმგებლობებს

7.2 სკოლა არის ცხოვრება: გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ

ეკოლოგიურად სუფთაა?

ეკოლოგიურად რამდენად სუფთაა ჩვენი სკოლის გარემო?

7.3 როგორ უნდა ავიღო პასუხისმგებლობა?

მოსწავლეები დგამენ პირველ ნაბიჯებს სკოლის ეკოლოგიური გარემოს გასაუმჯობესებლად

7.4 როგორ ვაფასებთ იმას, რაც გავაკეთეთ - რის გაკეთებას ვგეგმავთ შემდგომ?

მოსწავლეები აფასებენ იმას, რაც გააკეთეს და გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს

**თავი 7: ძირითადი ცნება - „პასუხისმგებლობა“ (დაწყებითი საფეხურისათვის) ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: როგორ ასახავს ღირებულებები, რომლებსაც მოსწავლეები ფლობენ, მათ მიერ ადამიანის უფლებათა კონცეფციის აღქმას?**

*კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს სამყაროში,*
*აქ მე ვარ ყველაფერზე პასუხისმგებელი, მე გავხადე ის ასეთი,*
*მე შევქმენი ეს გარემო, რომ მენახა, რისი მოტანა შეეძლო მას,*
*მე ვფიქრობ, ის სრულყოფილია და არაფრის შეცვლას არ ვაპირებ!*

სიმღერიდან „მშვიდობით ანდრომედა (1973 წელი), ჯონ დენვერი

თანამედროვე სამყაროში ბავშვები ადრეული ასაკიდან სწავლობენ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებას. ძალიან ბევრ ოჯახსა და საზოგადოებაში ეს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. დემოკრატიული სახელმწიფო მხოლოდ მაშინ შედგება, თუ მოქალაქეები იმას კი არ ფიქრობენ, თუ რისი გაკეთება შეუძლია სახელმწიფოს მათთვის, არამედ იმას, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ სახელმწიფოსათვის. ციტატა, რომელიც ამ კონტექსტში ძალიან ხშირად გამოიყენება, ეკუთვნის ჯონ კენედის: „ნუ იკითხავთ, რა შეუძლია გააკეთოს ქვეყანამ თქვენთვის; იკითხეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენ ქვეყნისათვის“.

პასუხისმგებლობის სხვადასხვა ტიპი და სხვადასხვა ხარისხი არსებობს. პასუხისმგებლობა შესაძლებელია იყოს პირადი, კოლექტიური და მორალური. არსებობს პარლამენტის პასუხისმგებლობა, მთავრობის პასუხისმგებლობა ან მედიის პასუხისმგებლობა. არსებობს პასუხისმგებლობა მშობლებისა ან მასწავლებლების განათლებაზე და ა.შ. პასუხისმგებლობის ამ ფორმებს ან სამართლებრივი საფუძვლები აქვს, ან მორალურ ღირებულებებს წარმოაჩენს.

წინამდებარე თავი ემსახურება მოსწავლეების მხრიდან იმის გაცნობიერებას, რომ არსებობს პასუხისმგებლობის განსხვავებული ფორმები და ხშირად ისინი ერთმანეთში ირევა. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, რომ მოსწავლემ გააცნობიეროს, რომ გარე სამყაროზე პასუხისმგებლობის აღება

საზოგადოების კეთილდღეობისათვის გაღებული წვლილია. პასუხისმგებლობის აღებით, მოსწავლეებს არა მხოლოდ საკუთარი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ, ასევე, ეს მათთვის ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვების საშუალებას წარმოადგენს. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციისა ან პოლიტიკური კულტურის მიხედვით (ან სკოლის ტრადიციისა და სკოლის მმართველი ორგანოს ტიპის მიხედვით), შესაძლებელია, მარტივი იყოს პასუხისმგებლობის აღების საშუალებით ძალაუფლების მოპოვება, ან ეს შეიძლება ძალიან რთული იყოს. პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისათვის მზადყოფნის გამოთქმისას უარის მიღება, ყოველდღიურ ცხოვრებაში იმედგაცრუებას უკავშირდება, რომელიც ანალიზს მოითხოვს და გადალახვისათვის ძალისხმევას საჭიროებს.

მორალური განსჯის უნარი ადამიანში, თავს ძალიან ადრეული ასაკიდან იჩენს, მისი რეალიზება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი პასუხისმგებლობით მოქმედებენ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწავლება მხოლოდ სოციალური და მორალური პრინციპებით არ შემოიფარგლებოდეს; უფრო მეტიც, თუ ამის განხორციელებას ჩვენ შევეცდებით დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ფარგლებში - რომლის საფუძველსაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები წარმოადგენს - ამით დასახული მიზნების გაფართოებას შევუწყობთ ხელს. თუ ვიხელმძღვანელებთ იმ გამოცდილებით, რაც პასუხისმგებლობის აღებას უკავშირდება, ეს საკუთარი მოქალაქეობრივი თვითშეგნების გაფართოებაში დაგვეხმარება. გარდა ამისა, ამ კუთხით მიღებული გამოცდილება არა მხოლოდ სხვა, უფრო დიდი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების საფუძველს ქმნის, არამედ ასევე პასუხისმგებლობის ავტომატურად, ძალდაუტანებლად აღების ჩვევის გამომუშავებას უწყობს ხელს.

როგორც ეს ჯონ დენვერის სიმღერის ტექსტის დასაწყისშია მოცემული: *„აქ მე ვარ ყველაფერზე პასუხისმგებელი, მე გავხადე ის ასეთი“,* მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ

პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ისინი უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებებს და პასუხს აგებდნენ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე. სკოლაში, დემოკრატიულ გარემოში ცხოვრება და დემოკრატიის სწავლა ნიშნავს იმას, რომ სკოლა წარმოადგენს ადგილს, სადაც ახალგაზრდა თაობა ემზადება შემდგომი ცხოვრებისათვის და, ასევე, ადგილს, სადაც მოზარდები ერთად ცხოვრობენ და ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს. ყველასათვის ნათელია, რომ ფუნქციები მკაფიოდ არის გადანაწილებული და წესები და კანონები აუცილებელია. თუმცა, ძალიან ბევრ სკოლაში, მსოფლიო მასშტაბით, ჯერ კიდევ არ გამოიყენება პრაქტიკა, რომელიც მოსწავლეებისათვის მოქმედების მეტი თავისუფლების მიცემასა და მეტი პასუხისმგებლობის მინიჭებას გულისხმობს. მასწავლებლებსა და სასწავლო პროცესების ხელმძღვანელებს თავისუფლად შეუძლიათ ამ სიტუაციის შეცვლა, მოქმედი წესებისა და კანონების ფარგლებში.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| ** | ** | *** |

| | |
|---|---|
| ***დამხმარე ინსტრუმენტები***<br>*წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
| **x** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **x** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **x** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **0** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **0** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **0** | პოსტერების შექმნა |
| **0** | გამოფენების მოწყობა |
| **x** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **x** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **x** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **0** | წარმოდგენების გამართვა |
| **x** | დებატების წარმოება |

## თავი 7: პასუხისმგებლობა

## მე ბუნების დამცველი ვხდები ... ჩემი სკოლა მონაწილეობს!

## როგორ ასახავს ღირებულებები, რომლებსაც მოსწავლეები ფლობენ, მათ მიერ ადამიანის უფლებათა კონცეფციის აღქმას?

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1: პასუხისმგებლობა | მოსწავლეები მსჯელობენ პასუხისმგებლობაზე, როგორც ტერმინზე, რომელიც მოიცავს და უკავშირდება პიროვნებებს, საგნებსა და ამოცანებს. | მოსწავლეები აგროვებენ და აანალიზებენ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებსაც იმ საზოგადოების წევრები ეცნობიან, რომელსაც მოსწავლეები მიეკუთვნებიან. ისინი ქმნიან პოსტერს, რომელზეც გადააქვთ შედეგები. | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. | ჯგუფური სამუშაო. |
| გაკვეთილი 2: სკოლა არის ცხოვრება: გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, ეკოლოგიურად სუფთაა? | მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მათი სკოლა არ წარმოადგენს ადგილს, სადაც მხოლოდ მოსწავლეების განათლება ხორციელდება, არამედ ადგილს, სადაც მათ ცხოვრება უწევთ. მოსწავლეები გეგმავენ ამ „საცხოვრებელ ტერიტორიაზე“ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას (გარემოს დაცვის თვალსაზრისით). | მოსწავლეები განიხილავენ და გეგმავენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მრავალგვარ შესაძლებლობებს. | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. | ჯგუფური პრეზენტაცია, საერთო საკლასო განხილვა. |
| გაკვეთილი 3: როგორ უნდა ავიღო პასუხისმგებლობა? | მოსწავლეები ადგენენ გასატარებელი ღონისძიებების კონკრეტულ გეგმას. ამ | მოსწავლეები ცდილობენ მათთვის განსაზღვრულ დროში გაახორციელონ | ინდივიდუალური სამუშაო, რომელიც დამოკიდებულია სამოქმედო გეგმაზე. | პრაქტიკული საქმიანობა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ეტაპზე, მოსწავლეების მიზანს უნდა წარმოადგენდეს დროის გონივრულად დაგეგმვა, ჯგუფში კომპრომისზე წასვლის უნარის დემონსტრირება და ზოგადი მოქნილობა. | დაგეგმილი საქმიანობები. | | |
| გაკვეთილი 4: როგორ ვაფასებთ იმას, რაც გავაკეთეთ - რის გაკეთებას ვგეგმავთ შემდგომ? | ამ თავის დასასრულს, მოსწავლეები ცდილობენ, როლები შეცვალონ, რათა საკუთარ თავზე გამოსცადონ, რას ნიშნავს ამა თუ იმ პოზიციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის აღება. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის უკეთ აღსაქმელად. | მოსწავლეები ერთმანეთში ცვლიან იმ როლებს, რომლებიც მათ მცირე ჯგუფებში მუშაობისას ეკავათ. | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. | საერთო საკლასო განხილვა, ჯგუფური სამუშაო. |

**გაკვეთილი 1**

**პასუხისმგებლობა**

**მოსწავლეები განიხილავენ ძირითად პასუხისმგებლობებს**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები მსჯელობენ პასუხისმგებლობაზე, როგორც ტერმინზე, რომელიც მოიცავს და უკავშირდება პიროვნებებს, საგნებსა და ამოცანებს. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები აგროვებენ და აანალიზებენ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებსაც იმ საზოგადოების წევრები ეცნობიან, რომელსაც მოსწავლეები მიეკუთვნებიან. ისინი ქმნიან პოსტერს, რომელზეც გადააქვთ შედეგები. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო. |

**ინფორმაცია**

პასუხისმგებლობას, როგორც ცნებას, საფუძველი მე-18 და 19 საუკუნის პოლიტიკურ კონტექსტში ჩაეყარა, როდესაც დღის წესრიგში დადგა ქმედებებზე პასუხისმგებლობისა და წარმომადგენლობითი მთავრობის პრინციპების საკითხები. მე-20 საუკუნის ფილოსოფიაში ყურადღება გამახვილებული იყო თავისუფალი ნების საკითხზე: აგებდა თუ არა პიროვნება პასუხს საკუთარ ქცევებზე ან საკუთარ მახასიათებლებზე? ამ საკითხის განხილვის ქვაკუთხედს პიროვნება წარმოადგენდა.

შედეგად, დღესდღეობით, შედარებით რთული აღსაქმელია კოლექტიური პასუხისმგებლობის ცნება, რომელიც ესოდენ აქტუალურია თანამედროვე პოლიტიკაში. აღქმის სირთულეს ნაწილობრივ განაპირობებს ის, რომ გასათვალისწინებელია პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ყოველდღიური ყოფითი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ერთმანეთის მიმართ ანგარიშვალდებულება, პიროვნების პასუხისმგებლობის სფეროს განსაზღვრა, ან პიროვნების შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად პასუხისმგებლობით

| |
|---|
| შეუძლია მას ამა თუ იმ ფუნქციის შესრულება. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეები სხდებიან წრეზე თავიანთ სკამებზე. მასწავლებელი წრის ცენტრში ათავსებს დიდი ფორმატის ქაღალდის ფურცელს, რომელზეც არის დატანილი სათაური: „პასუხისმგებლობას ვიღებ“; მასწავლებელი ფურცლის ირგვლივ ალაგებს ჟურნალებიდან ამოჭრილ სურათებს, რომლებზეც გამოსახულია, მაგალითად:

— შინაური ცხოველი 1;
— შინაური ცხოველი 2;
— შინაური ცხოველი 3;
— ადამიანთა ჯგუფი;
— მარტოხელა ადამიანი;
— ერთი ბავშვი;
— ტბა ან მდინარე;
— საკვები;
— ავეჯის ელემენტი;
— გული;
— ნარჩენები.

ამის შემდეგ მასწავლებელი იატაკზე არეულად დებს ბარათებს, რომლებზეც სურათებზე გამოსახული ადამიანებისა და საგნების შესაბამისი სიტყვებია დაწერილი.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს საკმარისი დრო ექნებათ მიცემული იმისათვის, რომ სურათები დაათვალიერონ, მასწავლებელი სთხოვს მათ, სურათები მიუსადაგონ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ მოცემულ სამუშაოს, მასწავლებელი სთხოვს, დაფიქრდნენ შემდეგ პრობლემაზე:

— რას ნიშნავს პასუხისმგებლობის აღება ვინმეზე ან რაიმეზე?

— საკუთარი გამოცდილებიდან გაიხსენეთ ვინმეზე ან რაიმეზე პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებული სირთულე. რაში მდგომარეობდა სირთულე? რა იყო თქვენთვის მოსაწონი მასში?

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა, პირველ რიგში, მოსწავლეებს გააცნოს პრობლემა და მხოლოდ ამის შემდეგ დააწყვილოს მოსწავლეები, რათა მათ ამ პრობლემის გადაჭრაზე წყვილებში იმუშაონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეების ყურადღება გადატანილი იქნება წყვილების მოძიებაზე, ნაცვლად იმისა, რომ კონცენტრირებულნი იყვნენ პრობლემის გააზრებაზე.

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, რამდენიმე წუთის განმავლობაში მსჯელობენ პრობლემაზე, რის შემდეგაც თავიანთ მოსაზრებებს მთელ კლასს აცნობენ. ყველა მოსწავლე ვერ შეძლებს საკუთარი მოსაზრების გამოთქმას, მაგრამ მათ უმრავლესობას მაინც უნდა მიეცეს ამის საშუალება, იმ პირობით, რომ კლასის წინაშე საკუთარი მოსაზრების გამოსათქმელად მუდმივად ერთი და იგივე მოსწავლეები არ იქნებიან წარმოდგენილი.

მცირე დისკუსიის შემდეგ, მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დაფიქრდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებზე და გაიაზრონ, თუ როგორ არის ორგანიზებული კონკრეტული სამუშაოს შესრულებაზე ან თანამდებობრივი მოვალეობის გახორციელებაზე აღებული პასუხისმგებლობა:

— საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება;
— სხვებზე პასუხისმგებლობის აღება;
— საგნებზე პასუხისმგებლობის აღება.

მასწავლებელი ერთ მოსწავლეს ავალებს, წერილობითი ფორმით შეადგინოს პროფესიებისა და სამსახურების ჩამონათვალი, ფლიპჩარტზე ან დაფაზე.

გაკვეთილისათვის გამოყოფილი დროის ბოლო მეოთხედის განმავლობაში მოსწავლეებს შესასრულებლად ეძლევათ შემდეგი დავალება: მათ უნდა იმუშაონ ისევ იმ წყვილებში, როგორც გადანაწილებულნი იყვნენ გაკვეთილის დასაწყისში, და

შეადგინონ მცირე მოცულობის ტექსტი, რომელიც მათ შემდგომ უნდა გააგრძელონ სახლებში, საშინაო დავალების ფორმით.

დავალება:

„ჩამონათვალიდან შეარჩიეთ ერთი პროფესია ან სამსახური. შესაძლებელია, თქვენ იცნობთ ვინმეს, ვინც ამ პროფესიის არის, ან ვინც ამ სამუშაოს ასრულებს. შეგიძლიათ აირჩიოთ ის პროფესია ან სამსახურიც, რომელიც ჩამონათვალში არ არის შესული. დაწერეთ მცირე მოცულობის ტექსტი ამ პროფესიის ან სამსახურის შესახებ და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ამ სამუშაოს შემსრულებელ პირს აკისრია:

— აღწერეთ სამუშაო, რომლის შესრულებაც უწევს ადამიანს, რომელიც ამ პროფესიის არის, ან ამ სამსახურში იმყოფება.
— ვისზე ან რაზე უწევს მას პასუხისმგებლობის აღება?
— იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება ვერ ან არ ასრულებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას და როგორ შეიძლება ეს აისახოს ქვეყანაზე, ოჯახზე, სკოლაზე ან საზოგადოებაზე?
— რა სირთულეებმა შეიძლება იჩინოს თავი და რა სირთულეებს შეიძლება წააწყდეს პირი, რომელიც ამ სამუშაოს ასრულებს?

ტექსტები ისე უნდა იქნას შედგენილი მოსწავლეთა წყვილების მიერ, რომ მათი გამოფენა შესაძლებელი იყოს საკლასო ოთახში. შესაძლებელია, მოსწავლეებს დაავალოთ, თითოეულ ტექსტს დაურთონ ნახატი ან ილუსტრაცია, კოლაჟი ან ფოტო და ამგვარად პოსტერის ფორმა მისცენ თავიანთ ნამუშევრებს.

**გაკვეთილი 2**

**სკოლა არის ცხოვრება: გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, ეკოლოგიურად სუფთაა? ეკოლოგიურად რამდენად სუფთაა ჩვენი სკოლის გარემო?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მათი სკოლა არ წარმოადგენს ადგილს, სადაც მოსწავლეები მხოლოდ განათლებას იღებენ, არამედ ესაა ადგილი, სადაც მათ ცხოვრება უწევთ. მოსწავლეები გეგმავენ ამ „საცხოვრებელ ტერიტორიაზე“ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას (გარემოს დაცვის თვალსაზრისით). |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები განიხილავენ და გეგმავენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მრავალგვარ შესაძლებლობებს. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური პრეზენტაცია, საერთო საკლასო განხილვა. |

**ინფორმაცია**

ეკოლოგიის შესახებ სწავლა ნიშნავს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებას, ამ თვალსაზრისით, სკოლა აქტიური მოქალაქეობის პრაქტიკის ადგილად შეიძლება იქნეს აღქმული. აქტიური მოქალაქეობის სწავლა ყველაზე უკეთ პრაქტიკული მოღვაწეობით არის შესაძლებელი - პიროვნებებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავად გამოიკვლიონ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები და არ შეიძლება მათ თავს მოვახვიოთ ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ იაზროვნონ და როგორ მოიქცნენ.

აქტიური მოქალაქეობისათვის განათლება არ გულისხმობს მხოლოდ ფაქტობრივი მასალის შესახებ ცოდნის შეთვისებას - ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იმის შესახებ, თუ როგორ გადავარჩინოთ გარემო და როგორ დავიცვათ იგი შემდგომ დაბინძურებისაგან და სხვა მავნე ზემოქმედებებისაგან - იგი გულისხმობს პრაქტიკულ აღქმას, უნარებს და მისწრაფებებს, ხასიათსა და ღირებულებებს.

| |
|---|
| გზავნილი, რომელიც ამგვარ სწავლებას ახლავს თან, ასეთია: მოსწავლეებს, მასწავლებლებისა და თანაკლასელების ქცევისა და (ეკოლოგიური თვალსაზრისით) სკოლის ორგანიზების მაგალითზე, იგივე თეორიული ცოდნა შეუძლიათ მიიღონ დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ, რამდენსაც ინსტრუქციების მიღების ფორმალური მეთოდის საშუალებით იღებენ. |

**გაკვეთილის აღწერა**

წინამდებარე თავის მეორე გაკვეთილის მსვლელობისას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გაკვეთილის თემა ადგილობრივ კონტექსტში იქნება განხილული. პირველ რიგში, მასწავლებელმა მოკლედ უნდა გააცნოს მოსწავლეებს წინა გაკვეთილის შედეგების შესახებ გაკეთებული დასკვნები. მოსწავლეებს ნათლად უნდა ესმოდეთ, რომ საზოგადოების სათანადო დონეზე ფუნქციონირებისათვის საჭიროა მის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება.

სკოლა წარმოადგენს საზოგადოებას, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს უწევთ ცხოვრება და რომელიც, აგრეთვე, მათ განათლებაზე ზრუნავს. ამ თვალსაზრისით, იგი შესაძლებელია აღვიქვათ, როგორც ქალაქი-სახელმწიფო, სადაც ადგილობრივ დონეზე უნდა მოგვარდეს ყველა პრობლემა, მათ შორის, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები. სხვა დანარჩენ ფუნქციებთან ერთად, სკოლამ ეკოლოგიური და გარემოს დაცვის პრინციპებისა და პროცესების მოდელის ფუნქციაც შეითავსა და, აქედან გამომდინარე, საჭიროა, დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამის განხორციელება ისე, რომ სასურველი შედეგები მივიღოთ. ეს ის სფეროა, სადაც პასუხისმგებლობის აღება პრაქტიკულ საქმიანობას უკავშირდება. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დაფიქრდნენ სოციალური ყოფის იმ ასპექტებზე, სადაც ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პროცესების გაუმჯობესების შესაძლებლობა არსებობს და, აგრეთვე, იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ ამ საქმეში.

შემდეგ დავალებას მოსწავლეები ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში ასრულებენ. თითოეულ ჯგუფს ეძლევა ერთი ტერმინი, რომლის შესახებაც მათ უნდა

შეადგინონ კითხვები: ტერმინთან „ნარჩენები“ დაკავშირებული კითხვების მაგალითები მოცემულია ქვევით:

— რა ტიპის ნარჩენებს ვიღებთ ჩვენს სკოლაში?
— სად მიაქვთ ეს ნარჩენები?
— ვის პასუხისმგებლობაში შედის ნარჩენების მოშორება?
— როგორ შეიძლება შემცირდეს ნარჩენების რაოდენობა სკოლაში?
— რა წვლილის შეტანა შეგვიძლია ამ საქმეში მე და ჩემს თანაკლასელებს?

მოსწავლეებს ამ დავალების შესრულება ევალებათ მოცემულ გაკვეთილზე და დამატებით მათ ეძლევათ ერთი კვირა მომდევნო გაკვეთილამდე, რომლის განმავლობაშიც მათ უნდა აწარმოონ კვლევა და შეასრულონ საშინაო დავალება. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს ამ დავალების შესასრულებლად განკუთვნილი დროის შემცირება სურს, მას მოუწევს კვლევის თავად წარმოება და ინფორმაციის თავად მოძიება. მოსწავლეები ადგენენ და ავსებენ კითხვარს, რომელიც საკლასო ოთახში უნდა გამოფინონ, სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ კუთხეში, სადაც სხვა მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაეცნონ მათ.

მოსწავლეთა ჯგუფებისათვის დავალების სახით მიცემული ტერმინები შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ტერმინებს:

— ნარჩენები (ნაგავი);
— ნარჩენების მოცილება;
— ელექტროენერგია;
— წყალი;
— ტრანსპორტი;
— ჯანმრთელობა;
— სკოლის ეზო;
— ბიოლოგიური მრავალფეროვნება;
— ეკოლოგიის შენარჩუნება;
— ძირითადი ეკოლოგიური ღონისძიებები.

**გაკვეთილი 3**

**როგორ უნდა ავიღო პასუხისმგებლობა?**

**მოსწავლეები დგამენ პირველ ნაბიჯებს სკოლის ეკოლოგიური გარემოს გასაუმჯობესებლად**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები ადგენენ გასატარებელი ღონისძიებების კონკრეტულ გეგმას. ამ ეტაპზე მოსწავლეების მიზანს უნდა წარმოადგენდეს დროის გონივრულად დაგეგმვა, ჯგუფში კომპრომისზე წასვლის უნარის დემონსტრირება და ზოგადი მოქნილობა. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ცდილობენ, მათთვის განსაზღვრულ დროში განახორციელონ დაგეგმილი საქმიანობები. |
| **რესურსები** | ინდივიდუალური სამუშაო, რომელიც დამოკიდებულია სამოქმედო გეგმაზე. |
| **მეთოდები** | პრაქტიკული საქმიანობა. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეებმა კლასის წინაშე უნდა წარადგინონ მათ მიერ შედგენილი საანგარიშო კითხვარები, რა მიზნითაც ისინი მოკლე პრეზენტაციებით გამოდიან. ამ გაკვეთილზე მასწავლებელს პირველად უწევს მოსწავლეებთან დიალოგის გამართვა იმ პასუხისმგებლობებსა და უფლებამოსილებაზე, რომელსაც ისინი ფლობენ:

— რისი შეცვლა შეგვიძლია ჩვენ?
— რა საჭიროებს შეცვლას?
— რა სახის წინააღმდეგობა შეიძლება ხვდეს ჩვენს ძალისხმევას?

საერთო საკლასო ფორმატში, მოცემული საკითხების განხილვის შემდეგ, საჭიროა მიღებული იქნეს კონკრეტული გადაწყვეტილებები:

— რის გაკეთებას ვისურვებდით პირველ რიგში?
— რა დრო გვინდა დავუთმოთ ამ საქმიანობას?

— შეგვიძლია ამ მიზნით ჩამოვაყალიბოთ ეგრეთ წოდებული „ბუნების დამცველთა ჯგუფი“?
— გვსურს მხოლოდ ერთ ასპექტზე მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა (მაგალითად, წყალი, ნარჩენები ან ელექტროენერგია), თუ გვსურს ზოგადი ღონისძიებები გავატაროთ ბუნების დაცვის ყველა სფეროში?

აუცილებელია ისეთი ამოცანების შერჩევა, რომელსაც მოსწავლეები წარმატებით გაართმევენ თავს. ამისათვის საჭიროა ინფორმაციის მოპოვება ან, სკოლის მასშტაბით, კამპანიის წამოწყება ამ საკითხისადმი ინტერესის გამოწვევისა და მის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით.

მოსწავლეთა ჯგუფის („ბუნების დამცველთა ჯგუფი“) ხელმძღვანელობით შემუშავებულ უნდა იქნას მოკლე სამუშაო გეგმა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მოვალეობების გადანაწილება. სამუშაო გეგმა დატანილ უნდა იქნეს ფლიპჩარტზე ან დიდი ფორმატის ქაღალდზე, რომელიც დაფაზე უნდა გაიკრას.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მასწავლებლის ჩართულობა დამოკიდებულია კლასის დონეზე. მნიშვნელოვანია, მოსწავლეების დამოკიდებულება ამ პროექტისადმი, არ გასცდეს რეალობის ფარგლებს და მათ არ დასახონ არარეალური და განუხორციელებელი მიზნები, რომლისთვისაც არ ფლობენ საჭირო მასალასა და რესურსებს. შესაძლებელია, მოსწავლეებს დამატებითი ფინანსური სახსრები დასჭირდეთ ან კონსულტაციების გავლა მოუწიოთ სკოლის ფარგლებს გარეთ არსებულ ორგანიზაციებთან. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კლასმა.

მოსწავლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაძლებელია, შეთანხმება მოხდეს კონკრეტულ სფეროში მცირედი გამუჯობესებისათვის საჭირო პროცედურებზე, მაგალითად, ნათურების გამორთვა, როდესაც არ არის მათი გამოყენების აუცილებლობა, სკოლის ნარჩენების დახარისხება ორგანულ და არაორგანულ ნარჩენებად და ა. შ.

ამგვარი ამოცანების შესრულება უნდა განხორციელდეს შემდეგ გაკვეთილამდე, ინდივიდუალურად ან მოსწავლეების მცირერიცხოვანი ჯგუფების მიერ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ პროცესების დოკუმენტური ასახვა, ფოტოებსა ან ნახატებში და ა. შ. მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს.

**გაკვეთილი 4**

**როგორ ვაფასებთ იმას, რაც გავაკეთეთ - რის გაკეთებას ვგეგმავთ შემდგომ?**

**მოსწავლეები აფასებენ იმას, რაც გააკეთეს და გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | ამ თავის დასასრულს, მოსწავლეები ცდილობენ, როლები შეცვალონ, რათა საკუთარ თავზე გამოსცადონ, რას ნიშნავს ამა თუ იმ პოზიციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის აღება. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის უკეთ აღსაქმელად. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ერთმანეთში ცვლიან იმ როლებს, რომლებიც მათ მცირე ჯგუფებში მუშაობისას ეკავათ. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. |
| **მეთოდები** | საერთო საკლასო განხილვა, ჯგუფური სამუშაო. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოცემული გაკვეთილი წინამდებარე თავში მოცემული თემის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს, თუმცა მასწავლებელმა შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამ გაკვეთილით საფუძველი ჩაუყაროს მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას. როგორც უკვე ავხსენით, პრაქტიკული საქმიანობა გულისხმობს მოსწავლეების მუშაობას მცირერიცხოვან ჯგუფებში ან ერთიანი კლასის მუშაობას, ან სულაც, შესაძლებელია პროექტმა მთელი სკოლა მოიცვას.

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეები იგივე აქტივობით არიან დაკავებულები, რითაც მათ პირველი გაკვეთილი დაიწყეს. ისინი სხდებიან წრეზე და აჯამებენ განვლილი გაკვეთილებიდან შეძენილ ცოდნას.

დასაწყის ეტაპზე, მათ თანაკლასელებს უნდა გააცნონ საკუთარი კვლევის შედეგები:

— რისი მიღწევა შეძლეს მოსწავლეებმა?

— რამ არ გაამართლა?

— რა გამოსწორდა ან შეიცვალა?

— რას ნიშნავს პასუხისმგებლობის აღება გარემოსდაცვით პროექტზე?

— მზად ვარ ავიღო პასუხისმგებლობა მასზედ, რაც ჩემი მიზეზით არ მომხდარა?

— როგორ ვაფასებ საკუთარ ქმედებებს?

— რამ გამოიწვია ჩემი იმედგაცრუება? რამ მომანიჭა სიხარულის შეგრძნება?

იმისათვის, რომ მოსწავლეებს დავეხმაროთ, რათა მათ შეაჯამონ ის, რისი მიღწევაც შეძლეს, როგორც ამას გამოცდილება გვიჩვენებს, რეკომენდებულია გარემოს დაცვის კუთხის მოწყობა, რომელიც წინამდებარე თავში შესული გაკვეთილების მსვლელობისას დაგროვილი მასალებით უნდა შეივსოს.

ამ შემაჯამებელ ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ პასუხისმგებლობის აღების მნიშვნელობა საზოგადოების სათანადო დონეზე ფუნქციონირებაში. მოსწავლეების მსჯელობისათვის ამ მიმართულების მისაცემად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი კითხვები:

— რა ტიპის საზოგადოებებს ვხვდებით?

— ვის რა ფუნქცია აქვს აღებული?

— როგორ არის ეს ორგანიზებული სახელმწიფოს დონეზე?

— რა ვიცით დემოკრატიის შესახებ და როგორ ფუნქციონირებს დემოკრატია?

— როგორ გესმით ჯონ კენედის შემდეგი სიტყვები: „ნუ იკითხავთ, რა შეუძლია გააკეთოს ქვეყანამ თქვენთვის; იკითხეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენ ქვეყნისათვის“?

მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიები ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს, ამ საფეხურზე რეკომენდებულია მათი გამოყენება,

მოსწავლეებში უფრო კომპლექსური აზროვნების პროცესის ხელშეწყობის მიზნით. არ არის აუცილებელი, მოსწავლეებმა რაიმე კონკრეტული დასკვნები გამოიტანონ ამ ანალოგიებიდან. უფრო მნიშვნელოვანია მოსწავლეების წახალისება, რათა მათ კომპლექსური აზროვნება ჩართონ მოვლენების განხილვაში და ეს პროცესი შემდგომ თავებში შესული გაკვეთილების მსვლელობისას უნდა გაგრძელდეს.

მოსწავლეებს, რომლებიც მცირერიცხოვან ჯგუფებში არიან გადანაწილებულნი, უნდა დაურიგდეთ სამუშაო ფურცლები, რომლებზეც მათ საკუთარი გამოცდილება უნდა აღწერონ:

| | | |
|---|---|---|
| პასუხისმგებლობის აღება, პასუხისმგებლობის გადანაწილება | | |
| მაგალითი: გარემოს დაცვა | | |
| ადგილი/სიტუაცია | რა პასუხისმგებლობები აკისრია ამ პირს? | |
| კლასი | მასწავლებელი | მოსწავლე |
| სკოლა | სკოლის ხელმძღვანელი | მასწავლებელი/მოსწავლე |
| სახელმწიფო | სახელმწიფოს ხელმძღვანელი | ხალხი |
| ? | | |

მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ იმის შესახებ, თუ თითოეულ სიტუაციაში, რა დროს ხდება პასუხისმგებლობის აღება.

მოსწავლეთა ჯგუფებს ამ დავალების შესასრულებლად ეძლევათ გარკვეული დრო, რის შემდეგაც ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა უნდა წარმოადგინოს ჯგუფის მუშაობის შედეგები. შემაჯამებელი განხილვისას, მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მასზედ, რომ კლასში მიღებულ გამოცდილებებსა და აღწერილ სიტუაციებს შორის პარალელები ადეკვატური იყოს. მის მოვალეობაში შედის აგრეთვე მოსწავლეებისათვის იმის ახსნა, რომ პარალელის გავლებისას დიდია გარკვეული წინააღმდეგობების წარმოქმნის ალბათობა.

საბოლოოდ, საჭიროა მოსწავლეების სწრაფი გამოკითხვა, ეგრეთ წოდებული ბლიცგამოკითხვის მეთოდით, სადაც თითოეულ მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ

ერთი წინადადების წარმოთქმა, რაც ემსახურება იმის გაგებას, თუ რა შეიძინეს მოსწავლეებმა ამ თავში შესული გაკვეთილებიდან, მაგალითად:

„ახსენით ერთი წინადადებით, თქვენი აზრით, რა არის გავლილი თავის ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი.“

მოსწავლეებს მოსაფიქრებლად უნდა მივცეთ რამდენიმე წუთი, რათა მათ ჩამოაყალიბონ, რისი თქმა სურთ, და წინადადების წარმოთქმის საშუალება იმ შემთხვევაშიც უნდა მივცეთ, თუ სხვა მოსწავლეების მიერ უკვე გამოთქმულ იქნა იგივე ან თითქმის იგივე მოსაზრება. ბლიცგამოკითხვის პროცესში მასწავლებელმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. მან მადლობა უნდა გადაუხადოს მოსწავლეებს აქტიური მონაწილეობისათვის, მაგრამ არ უნდა გააკეთოს არანაირი კომენტარი მოსწავლეების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე.

# თავი 8

## უფლებები და თავისუფლება

### დაწყებითი საფეხური

ჩემი უფლებები - შენი უფლებები

8.1 სურვილები და საჭიროებები: რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი?
მოსწავლეები სწავლობენ, განასხვავონ საკუთარი სურვილები მათი ძირითადი საჭიროებებისაგან

8.2 ადამიანის უფლებები: რას გვამცნობს ისინი?
მოსწავლეები თავიანთ საჭიროებებს განიხილავენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლების მიხედვით

8.3 კვლევა: რას ფიქრობს ხალხი ჩვენ გარშემო და რა იციან მათ
მოსწავლეები ატარებენ მცირე კვლევას ადამიანის უფლებების შესახებ

8.4 ადამიანის უფლებები ცოცხალია!
კვლევის შედეგების წარმოდგენა და მათი განხილვა

**თავი 8: ძირითადი ცნება - „უფლებები და თავისუფლება“ (დაწყებითი საფეხურისათვის)**

**ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: ადამიანის უფლებები: რა არის მნიშვნელოვანი ჩემთვის? შენთვის? სხვებისათვის?**

ადამიანის უფლებები, ზოგადად, განიხილება, როგორც ადამიანის განუყოფელი და ბუნებრივი უფლებები, რომელთა გარეშეც ჩვენ ვერ განვვითარდებოდით, როგორც ადამიანები.

ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ ჩვენი პიროვნებების სრული რეალიზება და გამოვიყენოთ ჩვენი ადამიანური მახასიათებლები, ჩვენი ინტელექტი, ტალანტი, ჩვენი შეგნება; ისინი აგრეთვე საშუალებას გვაძლევს, დავიკმაყოფილოთ ჩვენი სულიერი თუ სხვა საჭიროებები და მოთხოვნები. ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ეფუძნება ადამიანის მზარდ სწრაფვას ყოფისაკენ, სადაც ყოველი ადამიანის განუყოფელი ღირსება და ღირებულებები სათანადოდ არის დაფასებული და დაცული.

წინამდებარე თავში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს მოსწავლეებში ადამიანის უფლებათა ღირებულებების შესახებ ცოდნისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება ისევე, როგორც მოსწავლეთა ინფორმირება იმ თანაზიარობისა და უნივერსალურობის ცნებების შესახებ, რომლებსაც ადამიანის უფლებათა სტანდარტები ეფუძნება. მოცემული მასალა მხოლოდ საბაზო მასალას წარმოადგენს, რომელიც შევსებული და გამდიდრებული უნდა იქნეს შემდგომი კვლევისა და შესწავლის საშუალებით და/ან ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოებისა და აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენებით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოში მოწოდებული მასალა, მსოფლიოს მრავალ და განსხვავებულ კულტურაში, სწავლების ყველა დონეზე,

გამოყენებული იქნება ადაპტაციისა და განვითარების მიმდინარე პროცესის საწყის ეტაპზე.

გაერთიანებული ერების მიერ ინიცირებული, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ათწლეულის (1995 – 2004 წლები) სამოქმედო გეგმაში, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება განმარტებულია, როგორც: „იმგვარი სწავლებისა და ინფორმაციის გავრცელების მცდელობა, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა სფეროში საყოველთაო კულტურის დამკვიდრებას ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემისა და დამოკიდებულებათა ფორმირების გზით“, რომელიც მიმართული უნდა იყოს:

(ა) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მიმართ პატივისცემის განმტკიცებისკენ;

(ბ) ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების გრძნობის სრულყოფილი განვითარებისაკენ;

(გ) ურთიერთგაგების, ტოლერანტობის, სქესთა თანასწორობისა და ყველა ერს, მკვიდრ ხალხსა და რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ და ეროვნულ ჯგუფს შორის მეგობრობის ხელშეწყობისაკენ;

(დ) ყველა ადამიანისთვის თავისუფალი საზოგადოების ცხოვრებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემისაკენ;

(ე) მშვიდობის დაცვის სფეროში გაერო-ს მოღვაწეობის ხელშეწყობისკენ.“ (ამოღებულია ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებისადმი მიძღვნილი გაერო-ს ათწლეულის (1995-2004) სამოქმედო გეგმის დოკუმენტიდან პუნქტი 2.).

პროცესის მსვლელობა დამოკიდებულია ადგილობრივ საგანმანათლებლო სისტემაზე, რომელთა შორისაც დიდი სხვაობა არსებობს სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის, საკუთარი სწავლების მიზნების განსაზღვრისას, მასწავლებელთა მოქმედების თავისუფლების ხარისხის მხრივ. მიუხედავად ამისა, მასწავლებელი იყო, არის და ყოველთვის იქნება მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელსაც ინიციატივის გამოჩენა

შეუძლია და, აქედან გამომდინარე, მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია საკლასო გარემოში ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის მოსწავლეებისათვის გადაცემისა და ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის საქმეში. თუმცა, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება საკმარისი არ არის. ამ ღირებულებების დამკვიდრება მოსწავლეების ცნობიერებაში უნდა განხორციელდეს დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების საშუალებით. მოსწავლეებს ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში სურვილი უჩნდებათ, მათ შესახებ მათი პრაქტიკაში გამოყენების საშუალებით ისწავლონ.

ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია[3] თითქმის მთელ მსოფლიოში მოქმედებს და გამოიყენება, ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის. იმ პერცეფციებზე მუშაობისას, რომლებიც წლებია, რაც ფართოდ იქნა დამკვიდრებული, მასწავლებელს გულწრფელად შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ხელს უწყობს ნორმატიული სისტემის დამკვიდრებას, რომელიც მიღებულია საერთაშორისო საზოგადოებისა და ქვეყნების მთავრობების მიერ. განათლების სისტემებს შორის სხვაობა თვალშისაცემია. თუმცა, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას, მასწავლებლები ორმაგად არიან დაცული, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესი, საკლასო გარემოსა და მთელ სკოლაში, ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებით უნდა ხორციელდებოდეს.

ეს ყოველგვარ ფარისევლობას გამორიცხავს. მარტივად რომ ვთქვათ, ფარისევლობა განათლებაში გულისხმობს სწავლების საგანსა და სწავლებისას გამოყენებულ მეთოდებს შორის აშკარა შეუსაბამობას. მაგალითად, „დღეს ჩვენ ვისაუბრებთ სიტყვის თავისუფლებაზე - უკანა რიგებში შეწყდეს საუბარი, ახლავე!“ ასე მოსწავლეები გაცილებით მეტს სწავლობენ ძალაუფლების შესახებ, ვიდრე ადამიანის უფლებათა და ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის შესახებ, რომელიც ადამიანის თავისუფლებათა საფუძველს წარმოადგენს. თუ მოსწავლეებს საკმარისი დრო აქვთ იმისათვის, რომ კარგად შეისწავლონ საკუთარი მასწავლებელი და, აგრეთვე, მისი

[3] მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს.

პირადი შეხედულებები, ამან შესაძლებელია გაართულოს მასწავლებლის ამოცანა, რომელიც პოზიტიური შედეგების მიღებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, იმ განზრახვით, რომ მასწავლებლის კეთილგანწყობა მოიპოვონ, ზოგიერთი მოსწავლე ცდილობს, გადაიღოს და გაახმოვანოს მასწავლებლის პირადი შეხედულებები, ნაცვლად იმისა, რომ ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება და გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს, სულ მცირე, დასაწყის ეტაპზე მაინც, შესაძლებელია გახდეს ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მოსწავლეები არ გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. მთელი ის სირთულეები, რომლებიც ფარისევლობას სდევს თან, უამრავ რთულ კითხვას წარმოშობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს დაცული როგორც მასწავლებლის, ასევე, მოსწავლის ღირსება საკლასო გარემოში, სკოლასა და ფართო საზოგადოებაში. ეს აიძულებს მასწავლებლებს, ეძიონ გზები და საშუალებები, რომ პროცესებში ჩართონ სხვა მხარეები, რათა მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა აკეთონ, როგორ, და რა მიზნით; ეს გულისხმობს არა მარტო მოსწავლეების, სკოლის ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო სფეროზე პასუხისმგებელი პირებისა და მოსწავლეთა მშობლების ჩართვას, არამედ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, იმ საზოგადოების წევრების ჩართვას, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება და მუშაობა.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| ** | *** | * |

| | |
|---|---|
| ***დამხმარე ინსტრუმენტები***<br>*წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **0** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **x** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **x** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **0** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **0** | პოსტერების შექმნა |
| **0** | გამოფენების მოწყობა |
| **x** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **x** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **0** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **0** | წარმოდგენების გამართვა |
| **0** | დებატების წარმოება |

## თავი 8: უფლებები და თავისუფლება

## ჩემი უფლებები - შენი უფლებები

## ადამიანის უფლებები: რა არის მნიშვნელოვანი ჩემთვის? შენთვის? სხვებისათვის?

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1: სურვილები და საჭიროებები: რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი? | მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ინდივიდუალური სურვილები - საგნები, რომლებიც მათ სურთ რომ ჰქონდეთ და იდეები, რომლებიც მათ სურთ, რომ განახორციელონ - ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის საგნები, რომლებიც ადამიანს ფაქტობრივად სჭირდება, რათა სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვროს. | მოსწავლეები არჩევენ სურათებს, რომლებიც მათ სურვილებსა და საჭიროებებს გამოხატავს და განიხილავენ მათ და გამოაქვთ დასკვნები. | ზონარი (ქსოვილის ზოლი), სარჭები (თოკის), ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. | ჯგუფური სამუშაო. |
| გაკვეთილი 2: ადამიანის უფლებები: რას გვამცნობს ისინი? | მოსწავლეები მათ მიერ გაკეთებულ ჩამონათვალში შეტანილ თითოეულ საჭიროებას უსადაგებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლებს. ამგვარად, მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მოცემული დეკლარაცია ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ადამიანების საჭიროებებს. | მოსწავლეები წინა გაკვეთილზე გაკეთებულ დასკვნებს უკავშირებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან შერჩეულ მუხლებს. | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გამარტივებული ვერსია), მე-8 თავის 1-ლ გაკვეთილზე შედგენილი საჭიროებების ჩამონათვალი. | ჯგუფური სამუშაო, კვლევა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 3: კვლევა: რას ფიქრობს ხალხი ჩვენ გარშემო და რა იციან მათ | მოსწავლეები ცოდნას იძენენ მოზრდილებისათვის ინტერვიუების ჩამორთმევის საშუალებით, უსვამენ რა მათ კითხვებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ცოდნისა და დამოკიდებულებების შესახებ. ისინი არკვევენ, რამდენად განსხვავებულად შეიძლება იქნეს შეფასებული ადამიანის ცალკეული უფლება. | მოსწავლეები ადგენენ კითხვარს და, მომზადების მიზნით, ინტერვიუებს ართმევენ საკუთარ თანაკლასელებს. თავად გამოკითხვას მოსწავლეები საშინაო დავალების სახით ასრულებენ, შემდგომი კვირის განმავლობაში. | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები, კალმები და ფანქრები. | ჯგუფური კვლევა. |
| გაკვეთილი 4: ადამიანის უფლებები ცოცხალია! | მოსწავლეები რწმუნდებიან, თუ რამდენად განსხვავებულად შეიძლება იქნეს შეფასებული ადამიანის ცალკეული უფლება, აცნობენ რა კლასს მათ მიერ საშინაო დავალების სახით შესრულებული გამოკითხვების შედეგებს. მოსწავლეები აჯამებენ შეძენილ ცოდნას და ამგვარად იძენენ ცოდნასა და კომპეტენციებს. | მოსწავლეები აცნობენ კლასს მათ მიერ საშინაო დავალების სახით შესრულებული გამოკითხვების შედეგებს. მოსწავლეები აჯამებენ შეძენილ ცოდნას. | A4 ფორმატის ფურცლები. | ჯგუფური განხილვა, საერთო საკლასო განხილვა. |

**გაკვეთილი 1**

**სურვილები და საჭიროებები: რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი?**

**მოსწავლეები სწავლობენ, როგორ განასხვაონ სურვილები ძირითადი საჭიროებებისაგან**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ინდივიდუალური სურვილები - საგნები, რომლებიც მათ სურთ, რომ ჰქონდეთ და იდეები, რომლებიც მათ სურთ, რომ განახორციელონ - ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის საგნები, რომლებიც ადამიანს ფაქტობრივად სჭირდება, რათა სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვროს. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები არჩევენ სურათებს, რომლებიც მათ სურვილებსა და საჭიროებებს გამოხატავს და განიხილავენ მათ და გამოაქვთ დასკვნები. |
| **რესურსები** | ზონარი (ქსოვილის ზოლი), თოკის სარჭები, ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო. |

**ინფორმაცია**

ადამიანის უფლებებს აქვს როგორც ეთიკური, ასევე სამართლებრივი ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს, აშკარაა, რომ თითოეული პიროვნება თავად განსაზღვრავს, რომელი უფლებაა მისი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და, შესაბამისად, მისთვის პრიორიტეტული. გარდა ამისა, აუცილებელია იმის გაცნობიერება - განსაკუთრებით მოზარდებისათვის - რომ ყველა საჭიროება არ წარმოადგენს იმ ძირითად საჭიროებებს, რომლებიც უფლებებად იქნა აღიარებული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით. სურვილებსა და საჭიროებებს შორის გარჩევა, იმის

გაცნობიერება და პატივისცემა, რომ ადამიანები შეიძლება გარკვეულ უფლებებს სხვა უფლებებზე მაღლა აყენებდნენ და, ამავდროულად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩარჩოების არსებობის მნიშვნელობის აღიარება წარმოადგენს პროცესს, რომელიც ხანგრძლივ სწავლას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე თავში არ ვეხებით ადამიანის უფლებათა სამართლებრივ ასპექტებს, მასწავლებლებისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ იურიდიული ხელშეკრულებები - რომლებსაც ხელს აწერენ და რომელთა დებულებების შესრულებაზეც თანხმდებიან და ვალდებულებას იღებენ სახელმწიფოები - ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ნორმატიულ ჩარჩოებს. ევროპის მასშტაბით, ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია).[4]

## გაკვეთილის აღწერა

საკლასო ოთახი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მოსწავლეებმა თავისუფლად შეძლონ ოთხ-ოთხი ან ექვს-ექვსი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში მუშაობა. მასწავლებელი, გაკვეთილის მსვლელობისას, საჭირო მასალას ათავსებს ცალკე მაგიდაზე, რომლიდანაც მოსწავლეებს შეუძლიათ აიღონ მასალა, რომელიც მათ დასჭირდებათ და გაკვეთილის ბოლოს თავის ადგილზე დააბრუნონ ის. საკუთრება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში, და როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებელიც, საკლასო ოთახს საკუთარ საცხოვრებელ სივრცედ უნდა აღიქვამდნენ და შესაბამისად ზრუნავდნენ მასზე. საკლასო ოთახის კედლებზე რაც შეიძლება ბევრი (ათობით და შესაძლებელია ასობით) გაზეთიდან ამონაჭერი სურათები უნდა იყოს გამოფენილი.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დადგნენ კედლის წინ, რომელზეც სურათებია გამოფენილი და იწვევს მათ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად:

[4] ETS No. 5, რომელზეც ხელის მოწერა დაიწყო 1950 წლის 4 ნოემბერს და რომელიც ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს.

— რა გამოცდილება მიიღეთ, როდესაც სურათებს აგროვებდით?

— იყო ისეთი რამ, რამაც თქვენი გაოცება გამოიწვია? და თუ იყო, რა?

რამდენიმეწუთიანი შესავალი საუბრის შემდეგ მასწავლებელი ორ მოსწავლეს აძლევს დავალებას, ბოლოებით დაიჭირონ ზონარი (დაახლოებით 4 მეტრი სიგრძის) და 12 სამაგრი. ამის შემდეგ, მასწავლებელი იღებს წინასწარ მომზადებულ ორ ბარათს, რომელთაგანაც ერთზე წერია „სურვილები“, ხოლო მეორეზე - „საჭიროებები“. ამ ბარათებს მასწავლებელი ზონარის ორ ბოლოში ამაგრებს და სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, თუ რომელ სურათებს მოათავსებდნენ ისინი ბარათის ქვეშ, რომელზეც დატანილია წარწერა „სურვილები“ და რომელს - ბარათის ქვეშ, რომელზეც დატანილია წარწერა „საჭიროებები“. მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე გონებაში დაახარისხებს სურათებს, მასწავლებელი სთხოვს ორ მოსწავლეს, მათ მიერ არჩეული სურათები შესაბამისი ბარათის ახლოს დაკიდონ და ახსნან, რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ამის შემდეგ მასწავლებელი შეეცდება, მოსწავლეებს აუხსნას განსხვავება სურვილებსა და საჭიროებებს შორის, მათთან საუბრისა და დისკუსიის საშუალებით, მაგრამ არ უნდა მიაწოდოს მათ განმარტებები, ნაცვლად ამისა, მან უნდა მოისმინოს მოსწავლეების მიერ გამოთქმული განმარტებები, შეაგროვოს და დაახარისხოს ისინი.

მოსწავლეები მუშაობენ ოთხ-ოთხი ან ექვს-ექვსი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში. მათ ეძლევათ შემდეგი დავალება: თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეარჩიოს 10 სურათი, 5 - სათაურით „სურვილები“ და 5 - სათაურით „საჭიროებები“. თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეასრულოს წერითი სამუშაო (მასწავლებელი თავად არჩევს ამ ეტაპზე გამოსაყენებელ მეთოდს, იგი მოსწავლეებს ან ურიგებს სამუშაო ფურცლებს, ან დავალების პირობას წერს დაფაზე).

დავალება და პრეზენტაცია:

— საკლასო ოთახში წარმოდგენილი სურათებიდან თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეარჩიოს 10 სურათი. ამათგან 5 სურათი უნდა განეკუთვნებოდეს კატეგორიას „სურვილები“, ხოლო დანარჩენი 5 - კატეგორიას „საჭიროებები“ (იმ

შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი ჯგუფი არჩევანს ერთსა და იმავე სურათზე აკეთებს, დაეხმარეთ მათ გამოსავლის პოვნაში).

— მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ თავიანთ არჩევანს და ცდილობენ, უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- რატომ არის ეს მნიშვნელოვანი ჩემთვის?
- რა მოხდებოდა, რომ არ მქონდეს ეს?
- რა მინდა, მქონდეს და რას მინდა მივაღწიო შემდგომ ცხოვრებაში?
- რას ნიშნავს ეს ჩემთვის, როგორც გოგონასათვის/ვაჟისათვის?

— ამის შემდეგ მოსწავლეებმა მათ მიერვე შერჩეული სურათები უნდა დაახარისხონ იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი და რომელი - ნაკლებ მნიშვნელოვანი და მათ უნდა შეძლონ ამგვარად დახარისხების მიზეზის ახსნა. მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მთელი ჯგუფი უნდა იზიარებდეს.

— ჯგუფის ორი წევრი ბოლოებით იჭერს ზონარს, რომელზეც მოსწავლეების მიერ შერჩეული თანამიმდევრობით არის დაკიდებული სურათები და ჯგუფის ერთი წევრი განმარტავს ჯგუფის არჩევანის მიზეზებს, ამავდროულად, საკმარისია არა ყველა სურათის, არამედ მხოლოდ პირველი და უკანასკნელი არჩევანის განმარტება. ბოლოს, მოსწავლეებმა უნდა სცადონ, საკუთარი სიტყვებით ახსნან განსხვავება სურვილებსა და საჭიროებებს შორის და, ასევე, შეეცადონ, განმარტონ ეს ორივე ტერმინი.

მოსწავლეების მიერ შექმნილი ზონრები, მათზე დაკიდებული სურათებით, უნდა გამოიფინოს კედელზე (ან საკლასო ოთახის სხვა რომელიმე ადგილზე).

**გაკვეთილი 2**

**ადამიანის უფლებები: რას გვამცნობს ისინი?**

**მოსწავლეები საკუთარ საჭიროებებს განიხილავენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლების მიხედვით**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები მათივე მიერ გაკეთებულ ჩამონათვალში შეტანილ თითოეულ საჭიროებას უსადაგებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლებს. ამგვარად, მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მოცემული დეკლარაცია ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ადამიანების საჭიროებებს. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები წინა გაკვეთილზე გაკეთებულ დასკვნებს უკავშირებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან შერჩეულ მუხლებს. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გამარტივებული ვერსია), მე-8 თავის 1-ლ გაკვეთილზე შედგენილი საჭიროებების ჩამონათვალი. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო, კვლევა. |

**გაკვეთილის აღწერა**

გაკვეთილის დასაწყისში, მასწავლებელმა უნდა შეაჯამოს 1-ლი გაკვეთილის შედეგები. მან პარალელი უნდა გაავლოს საჭიროებებსა და ადამიანის უფლებებს შორის და მცირე პრეზენტაციით წარსდგეს მოსწავლეების წინაშე, ადამიანის უფლებების ისტორიის შესახებ (იხილეთ სამუშაო ფურცელი: „ადამიანის უფლებები: უფლებებისა და შესაბამისი საჭიროებების ჩამონათვალი). მასწავლებლის პრეზენტაცია არ უნდა გაგრძელდეს 10 წუთზე მეტხანს განმავლობაში.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, რომლის შესასრულებლად, მათ, მათივე მიერ წინა გაკვეთილზე განსაზღვრული საჭიროებები უნდა დაუკავშირონ ადამიანის

უფლებებს, რომელთა გამარტივებული ჩამონათვალიც მოცემულია მათთვის დარიგებულ  სამუშაო ფურცლებზე. მოსწავლეები მუშაობენ იმავე ჯგუფებში, რომლებშიც ისინი წინა გაკვეთილის მსვლელობისას იყვნენ გადანაწილებული. ჯგუფებში მუშაობისას, მათ უნდა განიხილონ შემდეგი კითხვები: ადამიანის რომელი უფლებები არის მათთვის მნიშვნელოვანი, თუნდაც გაუცნობიერებლად? შეუძლიათ მათ უფლებებსა და საჭიროებებს შორის არსებული კავშირის აღქმა? შეუძლიათ რეალური ცხოვრებიდან მოიყვანონ მაგალითი, რომელიც კონკრეტულ უფლებას უკავშირდება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემასა და მათზე მსჯელობაში მათ სამუშაო ფურცლებზე მოცემული მასალა დაეხმარება. მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, მოსწავლეებმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გამარტივებული ვერსიით უნდა ისარგებლონ თუ ორიგინალით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გამარტივებული ვერსიის გამოყენებისას, მოსწავლეები ძალიან მარტივად აცნობიერებენ, რომ ადამიანის უფლებები ყოველდღიური საჭიროებების საფუძველზე იქნა შემუშავებული.

ამონარიდი მოსწავლეთათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლიდან:

| **ძირითად უფლებათა ჩამონათვალი** | **ჩვენ მიერ განსაზღვრული „საჭიროებები“** | **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ორიგინალის რომელ მუხლშია იგი შესული?** |
|---|---|---|
| *სიცოცხლის, არსებობის უფლება* | | |
| *მუშაობის უფლება* | | |
| *საკუთრების უფლება* | | |
| *სიტყვის თავისუფლებით სარგებლობის უფლება* | | |
| ... | | |

მოსწავლეები უნდა შეეცადონ, მათ მიერ წინა გაკვეთილზე განსაზღვრული საჭიროებათა ჩამონათვალი სამუშაო ფურცლებზე გადაიტანონ. ეს მარტივი არ იქნება, ვინაიდან უფლებები და საჭიროებები განსხვავებულად იქნება

ჩამოყალიბებული. ამ სირთულემ მოსწავლეებს შორის დისკუსიების გამართვის აუცილებლობა შეიძლება განაპირობოს, რომლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებიც, შესაძლებელია, ყოველთვის გასაგები არც იყოს. დავალება ამას ითვალისწინებს.

შემდეგ ეტაპზე, მოსწავლეთა ჯგუფები საკუთარ ნამუშევრებს ადარებენ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ორიგინალს.

გაკვეთილის დასასრულს, მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ საერთო ჩამონათვალი, რაც გულისხმობს ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების კომბინირებას და მის გადატანას დიდი ფორმატის ფურცელზე, რომელსაც ყველა მოსწავლე უნდა გაეცნოს. თუ საკლასო გარემოში კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობა არსებობს, მოსწავლეებს შეუძლიათ, ჩამონათვალის ელექტრონული ვერსია შექმნან, რა დროსაც მათი სამუშაო ფურცლები ნიმუშის სახით უნდა იქნეს გამოყენებული. შესაძლებელია ამის გაკეთება დაევალოს მოსწავლეთა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც ამას საშინაო დავალების ფორმით შეასრულებს. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ერთიანი ჩამონათვალის შედგენის ვალდებულება შესაძლებელია თავად მასწავლებელმაც იკისროს.

**გაკვეთილი 3**

**კვლევა: რას ფიქრობს ხალხი ჩვენ გარშემო და რა იციან მათ**

**მოსწავლეები ატარებენ მცირე კვლევას ადამიანის უფლებების შესახებ**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები ცოდნას იძენენ მოზრდილებისათვის ინტერვიუების ჩამორთმევის საშუალებით, უსვამენ რა მათ კითხვებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ცოდნისა და დამოკიდებულებების შესახებ. ისინი არკვევენ, რამდენად განსხვავებულად შეიძლება შეფასდეს ადამიანის ცალკეული უფლება. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ადგენენ კითხვარს და, მომზადების მიზნით, ინტერვიუებს ართმევენ საკუთარ თანაკლასელებს. თავად გამოკითხვას მოსწავლეები საშინაო დავალების სახით ასრულებენ, შემდგომი კვირის განმავლობაში. |
| **რესურსები** | მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები, კალმები და ფანქრები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური კვლევა. |

**გაკვეთილის აღწერა**

კლასს ახლა აქვს ადამიანის უფლებათა ჩამონათვალი (რომელიც ადამიანის უფლებათა არასრულ ჩამონათვალს წარმოადგენს). ამ ჩამონათვალიდან აშკარა ხდება, რომ ადამიანის უფლებათა ცნების შესახებ წარმოდგენის არქონის შემთხვევაშიც კი, ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანებს აქვთ აუცილებელი მოთხოვნილებები და საჭიროებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლებში შესული უფლებების ანალოგიურია. ამის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით, მოსწავლეები ადამიანის უფლებათა შექმნის ისტორიას აღადგენენ, რომელიც არ შექმნილა განყენებულად, არამედ შექმნა იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ ყველა ადამიანს გააჩნია ძირითადი უფლებები, რომელთა ხელყოფასაც დაუშვებელია ადგილი ჰქონდეს ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან.

წინამდებარე თავის მე-3 და მე-4 გაკვეთილების მსვლელობისას, მოსწავლეებს ევალებათ მოკლე გამოკითხვის წარმოება. გამოკითხვას მოსწავლეები აწარმოებენ იმ საზოგადოების წევრებს შორის, რომელსაც თავად მიეკუთვნებიან. მოსწავლეები ცდილობენ, გაარკვიონ, რა მოსაზრებები გააჩნიათ საზოგადოების წევრებს ადამიანის უფლებათა შესახებ, როგორ აფასებენ ისინი ადამიანის უფლებებს და, ზოგადად, რამდენად კარგად იცნობენ საზოგადოების წევრები ადამიანის უფლებებს.

მოსწავლეები თავად უკეთებენ კვლევას ორგანიზებას, თავად ცდილობენ წარმართვასა და შეფასებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რა ადგილი უკავია ადამიანის უფლებებს იმ გარემოში, რომელშიც მოსწავლეებს უწევთ ცხოვრება. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს, რომლებშიც მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ჩანაწერები, სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით გადანაწილებული, მათ კითხვებზე მიღებული პასუხების შესახებ, ეს კატეგორიებია: პირადი დამოკიდებულება ადამიანის უფლებებისადმი, ადამიანის უფლებების ცოდნის დონე და ქვეყანაში არსებული სიტუაცია ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. მოსწავლეების მიერ ჩატარებული გამოკითხვისას, მათი რესპონდენტები უნდა იყვნენ მოზრდილი პირები (ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, ქუჩაში გამვლელები), რომლებსაც მოსწავლეების შემდეგ კითხვებს დაუსვამენ:

— თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა მთელ მსოფლიოში დამკვიდრება? თუ მნიშვნელოვანია, რატომ? თუ არ არის მნიშვნელოვანი, რატომ?
— ადამიანის რომელი უფლებები უნდა იყოს დაცული ყველაზე მეტად მთელ მსოფლიოში?
— ვინ უნდა უზრუნველყოს ამ უფლებების დაცვა?
— ადამიანის რომელი უფლებები საჭიროებს დაცვას ჩვენს ქვეყანაში?
— ვინ უნდა უზრუნველყოს ამ უფლებების დაცვა?

მოსწავლეები უნდა გავაფრთხილოთ, რომ მათ არ უნდა შეაფასონ რესპონდენტთა შეხედულებები და მოსაზრებები იმის მიხედვით, რამდენად სწორია თუ არასწორი

ისინი და, ასევე, არ უნდა შეაფასონ რესპონდენტთა ცოდნის დონე. მათ მხოლოდ პასუხების ჩანიშვნა ევალებათ.

ინტერვიუების წარმართვა არ არის მარტივი პროცედურა. მოსწავლეებს შეუძლიათ მოემზადონ ინტერვიუს ჩასატარებლად, საკლასო გარემოში ინტერვიუების სიმულირების საშუალებით, სადაც მოსწავლეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ასრულებს კორესპონდენტების როლს, ხოლო ორი მოსწავლე - ქუჩაში გამვლელი უცნობი პირების როლს. კლასში შესაძლებელია, აგრეთვე, მეგობრებთან ან ნათესავებთან ინტერვიუების ინსცენირებაც. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს არ დაავიწყდეთ საკუთარი თავის წარდგენა და პოტენციური რესპონდენტისათვის იმის ახსნა, თუ რას ემსახურება  ეს ინტერვიუ და რა არის მისი მიზანი. კლასში ინტერვიუების ინსცენირებისას, დანარჩენი მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ ინსცენირებაში მონაწილე მოსწავლეების ქცევებს, გააკეთონ კომენტარი და გამოთქვან მოსაზრებები ინტერვიუს წარმართვასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას აქტივობაში.

რა უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეებმა?

- — როგორ უნდა მოხდეს ჩანაწერების გაკეთება?
- — როგორ უნდა გადანაწილდეს ფუნქციები ჯგუფის იმ წევრებს შორის, რომლებიც ინტერვიუზე ერთად მუშაობენ?
- — როგორ უნდა მოხდეს შედეგების წარდგენა მომავალ გაკვეთილზე?

მოსწავლეებს ინტერვიუს ჩასატარებლად ეძლევათ ერთი კვირა. რეკომენდებულია, ეს დავალება, რომელიც ინტერვიუს აღებას გულისხმობს, მოსწავლეთა მცირერიცხოვანი ჯგუფების მიერ იქნეს შესრულებული.

**გაკვეთილი 4**

**ადამიანის უფლებები ცოცხალია!**

**კვლევის შედეგების წარმოდგენა და მათი განხილვა**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები რწმუნდებიან იმაში, თუ რამდენად განსხვავებულად შეიძლება იქნას შეფასებული ადამიანის ცალკეული უფლება, აცნობენ რა კლასს მათ მიერ საშინაო დავალების სახით შესრულებული გამოკითხვების შედეგებს. მოსწავლეები აჯამებენ შეძენილ ცოდნას და ამგვარად იძენენ ცოდნასა და კომპეტენციებს. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები აცნობენ კლასს მათ მიერ საშინაო დავალების სახით შესრულებული გამოკითხვების შედეგებს. მოსწავლეები აჯამებენ შეძენილ ცოდნას. |
| **რესურსები** | A4 ფორმატის ფურცლები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური განხილვა, საერთო საკლასო განხილვა. |

**ინფორმაცია**

დისკუსია (აზრებისა და შეხედულებების გაცვლა-გამოცვლა, ლათინური სიტყვიდან *discussion,* ე. ი. კამათი) ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ორ ან მეტ ადამიანს შორის ხორციელდება, რომლის დროსაც ერთ ან რამდენიმე საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა - ე.ი. დისკუსია - და სადაც ყველა მხარე საკუთარი არგუმენტებით გამოდის. დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს ურთიერთპატივისცემის ფონზე. დისკუსიის დახვეწილი ფორმა გულისხმობს მასში მონაწილე მხარეების მზადყოფნას იმისათვის, რომ საშუალება მისცეს და, რიგ შემთხვევაში, გაამხნეოს სხვა მონაწილეები, რათა  მათ მისი მოსაზრებისაგან განსხვავებული მოსაზრება თუ შეხედულება გამოთქვან და, ნაცვლად იმისა, რომ ხელაღებით უარყოს ეს მოსაზრებები, ყურადღებით მოისმინოს და გაითვალისწინოს ისინი. პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა სიმშვიდე, აუღელვებლობა და

თავაზიანობა, ყველა მხარის სასარგებლოდ იმოქმედებს. საუკეთესო შემთხვევაში, დისკუსიის შედეგი პრობლემის მოგვარებაა, ან კომპრომისი, რომელიც ყველასათვის მისაღებია.

თანამედროვე საზოგადოებებში დისკუსიები წარმოადგენს უთანხმოებათა, ინტერესთა კონფლიქტისა და განსხვავებული მიზნების გამო შექმნილი დაპირისპირების ცივილიზებული, არაძალადობრივი გზით გადაჭრის საშუალებას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება კონფლიქტების არა ჩახშობა, არამედ გადაჭრა. დისკუსიებში მონაწილეობისათვის საჭირო უნარების სწავლითა და დახვეწით, მოსწავლეები სწავლობენ, როგორ მიაღწიონ მშვიდობას და შეინარჩუნონ იგი საზოგადოებაში.

**გაკვეთილის აღწერა**

მოსწავლეებმა მთელი კლასის წინაშე უნდა წარადგინონ გამოკითხვის შედეგები, რომელიც ადამიანის უფლებებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას, მათ შესახებ ცოდნის დონესა და მათი გახორციელების ხარისხს ასახავს. ერთი გაკვეთილის განმავლობაში შეუძლებელი იქნება ყველა მოსწავლემ წარადგინოს საკუთარი შედეგები. ამ მიზნით, კლასი უნდა გაიყოს სამ ჯგუფად, რომელთაც ერთობლივი შედეგების წარდგენა ევალებათ.

შედეგების გაცნობის შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა გამართონ საერთო საკლასო სხდომა, რომლის დროსაც განიხილება მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებები და რომლის დროს წამოჭრილი საკითხებიც საფუძვლად დაედება შემაჯამებელ დისკუსიას.

რეკომენდებულია, ყველა მოსწავლემ გააკეთოს ჩანაწერი ქაღალდის ფურცელზე, იმის შესახებ, თუ კვლევის ჩატარებისას რამ გამოიწვია მათი გაოცება, რამ გამოიწვია მათი გაღიზიანება და რა იყო მათთვის დამაკმაყოფილებელი.

მოცემული ჩანაწერები ისეთი ფორმით უნდა გაკეთდეს, რომ შესაძლებელი იყოს მათი საკლასო ოთახის კედელზე გამოფენა.

| |
|---|
| ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მრავლად არის ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები |

| |
|---|
| *ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, პასუხი გაეცა ჩემ მიერ დასმულ კითხვებზე.* |

| |
|---|
| *ადამიანის უფლებათა დეტალები, ძირითადად, უცნობია.* |

შემაჯამებელი დისკუსიის დროს, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ, ამ ეტაპზე, მან არ უნდა განუცხადოს მოსწავლეებს, რომ მათ უკვე ყველაფერი იციან ადამიანის უფლებათა შესახებ. მოსწავლეებმა პირველად გააცნობიერეს და გააანალიზეს ადამიანის უფლებები. საჭიროა მოსწავლეების მოტივირება, რათა მათ გააგრძელონ ფიქრი ადამიანის უფლებებზე და შეინარჩუნონ კრიტიკული მიდგომა მათთან დაკავშირებული საკითხებისადმი. მასწავლებელს შეუძლია, მოტივირებულ მოსწავლეებს მიუთითოს, გაეცნონ გაერთიანებული ერების, ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დამცველი ისეთი ორგანიზაციების ნამუშევრებს, როგორიცაა საერთაშორისო ამნისტია, რომელთა საშუალებითაც ისინი მეტი ინფორმაციის მიღებას შეძლებენ ადამიანის უფლებათა შესახებ.

მოსწავლეების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მნიშვნელოვანი ელემენტები უნდა ჩამოყალიბდეს განცხადებების სახით, დატანილ იქნას შესაბამისი ფორმატის ფურცლებზე და განთავსდეს საკლასო ოთახის კედლებზე, რათა მათ მოსწავლეები დამოუკიდებლად გაეცნონ. ამის შემდეგ იმართება დისკუსია, რომელიც მოიცავს კითხვებსა და კომენტარებს შემდეგი საკითხების ირგვლივ:

— სწავლის პროცესები;

— ახალი ცოდნა;

— ინტერვიუების აღების დროს მიღებული გამოცდილება;

— მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება კლასმა ან ინდივიდუალურმა მოსწავლემ გააგრძელოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ თემასა და საკითხებზე მუშაობა.

ამ ეტაპზე, სასურველია, სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა მხარეს (მოსწავლეებს, მასწავლებელსა და სკოლას) წარმოდგენა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მომავალში ამ თემაზე მუშაობის გაგრძელება. ადამიანის უფლებები მუდმივად უნდა შედიოდეს ადამიანთა ინტერესის სფეროში - იგი არ წარმოადგენს თემას, რომელიც შესასწავლ თემათა ჩამონათვალში შესაძლებელია აღინიშნოს, როგორც გავლილი თემა.

# თავი 9

# მედია

## დაწყებითი საფეხური

### მედია პრაქტიკაში: გავაკეთებდი, რომ შემეძლოს

**9.1 ჩვენ ვაწყობთ გამოფენას**

ძველი და თანამედროვე მედიასაშუალებები - რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია?

**9.2 ცოდნა და უნარები - დიდი ძალაა!**

მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციებს მედიასაშუალებების შესახებ

**9.3 პრეზენტაციის დრო**

სპეციალისტთა ჯგუფები ახდენენ მედიასაშუალებების გამოყენების ტექნიკური უნარების დემონსტრირებას

**9.4 ჩვენ ვგეგმავთ მედიაპროდუქციას**

როგორ გამოვიყენოთ შეძენილი უნარები? მოსწავლეები თანხმდებიან თემისა და გეგმის შესახებ

## თავი 9: ძირითადი ცნება - „მედია“ (დაწყებითი საფეხურისათვის) ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: მოსწავლეები ერთმანეთს აცნობენ მედიასაშუალებების გამოყენების ხერხებს

როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოს შესავალიდან ვგებულობთ, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება სამ კომპეტენციას მოიცავს. მოცემულ თავში შესული გაკვეთილები ეძღვნება მედიაკომპეტენციას, რომელიც, სამოქალაქო საზოგადოებაში ადამიანთა როგორც აქტიური, ისე პასიური მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს. ამ მიდგომის უკეთ გაცნობიერების მიზნით, კიდევ ერთხელ გთავაზობთ კომპეტენციათა დახასიათებას.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კომპეტენციები:

| **პოლიტიკური ანალიზისა და განსჯის კომპეტენცია** | **მეთოდების გამოყენების კომპეტენცია** | **დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენცია** |
|---|---|---|
| პოლიტიკურ მოვლენათა, პრობლემათა და სადავო საკითხების ანალიზისა და განხილვის უნარი … | ინფორმაციის მოძიებისა და ათვისების, საკომუნიკაციო საშუალებებისა და მედიის გამოყენების უნარი … | პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას, საკუთარი შესაძლებლობების (და შესაძლებლობების ფარგლების) შეფასების უნარი და მოქმედებათა კურსის შესახებ სათანადო არჩევანის გაკეთების უნარი … . |

ცხრილში მოცემული მეორე კომპეტენცია - „მეთოდების გამოყენების კომპეტენცია“ - მოიცავს მედიაკომპეტენციას, რომელიც ძირითად ელემენტად უნდა იქნეს მიჩნეული. წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილებულია არსებულ მედიასაშუალებებთან მუშაობის უნარზე, მისი შესაძლებლობების გამოყენებისა და მისი საზღვრების გარკვევის უნარზე. მედიაგანათლებაში განარჩევენ მედიაკომპეტენციის ოთხ განზომილებას, ესენია:

**ტექნიკური მედიაკომპეტენცია:**

— მედიის სწორედ გამოყენების უნარი და მასთან დაკავშირებული კრეატიული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ფლობა.

**კულტურული მედიაკომპეტენცია:**

— მედიის „კოდებისა“ და გამოხატვის ყველა ესთეტიკური და საზოგადოებრივი ფორმის შესახებ ცოდნა. დახელოვნებულ მომხმარებელს შეუძლია მედიაკოდების გაშიფვრა, მედიასაშუალების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სწორი აღქმა და გაგება და ამ ინფორმაციის სხვა მიზნებისათვის გამოყენება.

**სოციალური მედიაკომპეტენცია:**

— კომუნიკაციის არსებული განსხვავებული ფორმების გონივრულად გამოყენების უნარი. ურთიერთობები სულ უფრო და უფრო მეტად ხდება მედიაზე დამოკიდებული, მათ შორის დომინირებს სხვადასხვა ფორმის „სოციალური პროგრამები“.

**რეფლექსიური მედიაკომპეტენცია:**

— მომხმარებელი ფლობს მედიის ფუნქციის კრიტიკული ანალიზის უნარს და, ასევ,ე კრიტიკულად უდგება მის საკუთარ დამოკიდებულებას მედიის მიმართ, მოცემულ მომენტში.

მედიაწიგნიერების ნებისმიერი მიმართულება მოიცავს ამ ოთხ განზომილებას. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ამ კონცეფციათა მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს ეხება და იგი არ ანაცვლებს მედიაგანათლებას. მაგრამ, მედიაგანათლებასთან დაკავშირებული მიზნებიდან გამომდინარე, ისინი წარმოადგენს მედიაგანათლების ძირითად სტრატეგიებს. მასწავლებლის მიერ ტექნიკური მედიაკომპეტენციის ფლობასა და საკლასო გარემოში მედიასაშუალებების გამოყენებას შორის პირდაპირი კავშირი

განაპირობებს წინამდებარე თავის მნიშვნელობას. ბევრი მასწავლებელი ღიად აღიარებს, რომ მათ არ იციან, როგორ გამოიყენონ და როგორ იმუშაონ სხვადასხვა ტიპის მედიასაშუალებებთან, ან რომ ისინი ვერ ხედავენ გაკვეთილზე მათი გამოყენების შესაძლებლობებს. თუმცა ერთი რამ ცხადია: რაც უფრო კარგად ფლობს მასწავლებელი სხვადასხვა ტიპის მედიასაშუალებას, მით უფრო ხშირად იყენებს იგი სწავლების პროცესში.

წინამდებარე თავში განხილულია პრაქტიკული მედიაკომპეტენციები, რომელსაც უნდა ფლობდეს როგორც მასწავლებელი, ასევე, მოსწავლეები. მას შემდეგ, რაც განხილულ იქნება ეს კომპეტენციები, შესაძლებელი გახდება მედიის გამოყენებაზე ყურადღების გამახვილება და კონკრეტული სამუშაო თემის შერჩევა.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სამ სფეროში: მოცემულ თავში, ამ კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, შედეგი სურათი გვაქვს:

| კომპეტენცია | | |
|---|---|---|
| ... პოლიტიკური ანალიზი და განსჯა | ... მეთოდის გამოყენება | ... პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება |
| ** | * | *** |

| | |
|---|---|
| ***დამხმარე ინსტრუმენტები***<br>*წინამდებარე თავში გამოიყენება ქვევით მოცემული ინსტრუმენტები, მოსწავლეთათვის განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტებიდან. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა ყველა მოსწავლეს ან ზოგიერთ მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციები, მოცემული ინსტრუმენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.* | |
| **x** | ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში |
| **x** | ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში |
| **0** | ინტერვიუებისა და კვლევების წარმართვა |
| **0** | გამოსახულებებისა და სურათების ინტერპრეტირება |
| **x** | გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა |
| **x** | პოსტერების შექმნა |
| **x** | გამოფენების მოწყობა |
| **x** | პრეზენტაციების დაგეგმვა და გამართვა |
| **0** | პრეზენტაციების გამართვა სლაიდების და PowerPoint-ის პროგრამის თანხლებით |
| **0** | საგაზეთო სტატიების დაწერა |
| **0** | წარმოდგენების გამართვა |
| **0** | დებატების წარმოება |

## თავი 9: მედია

## მედია პრაქტიკაში: გავაკეთებდი, რომ შემეძლოს

## მოსწავლეები ერთმანეთს აცნობენ მედია საშუალებების გამოყენების ხერხებს

| გაკვეთილის თემა | სწავლის მიზნები | მოსწავლის ამოცანა | რესურსები | მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1: ჩვენ ვაწყობთ გამოფენას | მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია მედიასაშუალებების ტექნიკური დეტალების ცოდნა და ამ ცოდნის შესაძენად გარკვეული დროა საჭირო. ისინი აწყობენ გამოფენას, სადაც წარმოდგენილია სკოლის საკუთრებაში არსებული საშუალებები და, ასევე, მოსწავლეების კუთვნილი თუ მათ მიერ მოძიებული საშუალებები. | მოსწავლეები იღებენ მათთვის უცხო მოწყობილობას და ცდილობენ, აღწერონ იგი და ის, თუროგორ გამოიყენება მოცემული მოწყობილობა. მოსწავლეები აგროვებენ და აღწერენ სხვადასხვა მედიასაშუალებებსა და მოწყობილობებს და ამზადებენ კლასის გამოფენას. | რაიმე მედიასაშუალება, მაგალითად, კამერა და ა.შ.), მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. | საუბრები, ჯგუფური სამუშაო, საშინაო დავალება. |
| გაკვეთილი 2: ცოდნა და უნარები - დიდი ძალაა! | მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ რამდენად მრავალფეროვანი მედიასაშუალების გამოყენების უნარს ფლობენ ისინი, ან, პირიქით, თუ რამდენად შეზღუდულია იმ მედიასაშუალებების რაოდენობა, რომელთა გამოყენებაც მათ შეუძლიათ. მასწავლებელი მათ აწვდის ძირითად ინფორმაციას მედიასა და მისი მოხმარების შესახებ. | მოსწავლეები ამზადებენ მედიასაშუალებების გამოფენას, საკლასო ოთახში და, ამავდროულად, ეცნობიან ერთ-ერთი კონკრეტული მედიასაშუალების მუშაობის პრინციპს. | მოსწავლეების კუთვნილი მედიამოწყობილობები, სკოლის საკუთრებაში არსებული მედიამოწყობილობები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები, მ-9 თავის 1-ლი და მე-2 გაკვეთილებისათვის, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. | საჭიროა მეთოდის განსაზღვრა მასწავლებლის მიერ შერჩეული გარემოს გათვალისწინებით. |
| გაკვეთილი 3: პრეზენტაციის დრო | მოსწავლეები ტექნიკური ექსპერტების როლში გამოდიან იმ | მოსწავლეები ტექნიკური ექსპერტების როლში გამოდიან იმ | მედიამოწყობილობები, პრეზენტაციისათვის საჭირო | ჯგუფური სამუშაო. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მედიამოწყობილობასთან დაკავშირებით, რომელიც მათ შეარჩიეს. ისინი სწავლობენ, როგორ წარმოადგინონ მათ მიერ მომზადებული ინფორმაცია. | მედიამოწყობილობასთან დაკავშირებით, რომელიც მათ შეარჩიეს და მართავენ ჯგუფურ პრეზენტაციას ამ მედიამოწყობილობის კლასისათვის გაცნობის მიზნით. | ინდივიდუალური საშუალებები. | |
| გაკვეთილი 4: ჩვენ ვგეგმავთ მედიაპროდუქციას | მ ტექნიკური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რომლებიც მოსწავლეებმა პრეზენტაციისათვის მზადების პროცესში შეიძინეს. მოსწავლეები არჩევენ თემას და მედიასაშუალებას, რომელიც მათ სჭირდებათ. | დემოკრატიული და მონაწილეობითი პროცესების გამოყენებით (მცირერიცხოვან ჯგუფებში და საერთო საკლასო განხილვებისას) კლასი ირჩევს თემას, რომელზეც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ და მედიასაშუალებას, რომელიც მათ სჭირდებათ. | „გონებრივი ვიზუალიზაცია/ წარმოსახვა“ - დამხმარე ინსტრუმენტი, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები: ფორმა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მედიასაშუალების შერჩევაში, რომელიც ესადაგება იმ თემას, რომელზეც მათ არჩევანი გააკეთეს. | ჯგუფური სამუშაო, გადაწყვეტილების მიღება საერთო საკლასო სხდომის განმავლობაში. |

**გაკვეთილი 1**

**ჩვენ ვაწყობთ გამოფენას**

**ძველი და თანამედროვე მედიასაშუალებები - რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია?**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია მედიასაშუალებების ტექნიკური დეტალების ცოდნა და ამ ცოდნის შესაძენად გარკვეული დროა საჭირო. ისინი აწყობენ გამოფენას, სადაც წარმოდგენილია სკოლის საკუთრებაში არსებული საშუალებები და, ასევე, მოსწავლეების კუთვნილი თუ მათ მიერ მოძიებული საშუალებები. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები იღებენ მათთვის უცხო მოწყობილობას და ცდილობენ, აღწერონ იგი და ის, თუ როგორ გამოიყენება მოცემული მოწყობილობა. მოსწავლეები აგროვებენ და აღწერენ სხვადასხვა მედიასაშუალებასა და მოწყობილობას და ამზადებენ კლასის გამოფენას. |
| **რესურსები** | რაიმე მედიასაშუალება, მაგალითად, კამერა და ა.შ. მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. |
| **მეთოდები** | საუბრები, ჯგუფური სამუშაო, საშინაო დავალება. |

**გაკვეთილის აღწერა**

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გააცნოს განსახილველი თემა, მასწავლებელს გაკვეთილზე შემოაქვს რომელიმე მედიამოწყობილობა (მაგალითად, ფოტოაპარატი, სლაიდების პროექტორი, კომპიუტერი, ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, ძველმოდური ფირიანი კამერა, ჩამწერი მაგნიტოფონი და ა.შ.). მოწყობილობას თან უნდა ახლდეს ინსტრუქცია, რომელსაც მასწავლებელი საწყის ეტაპზე არ წარუდგენს მოსწავლეებს.

გაკვეთილის დასაწყისში, მოწყობილობა მოთავსებული უნდა იყოს საკლასო ოთახის ცენტრში, მაგიდაზე. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ახსნან, თუ როგორ

მუშაობს მოწყობილობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლეები არ იცნობენ ამ კონკრეტულ მოწყობილობას. ამ დავალებას მოსწავლეები შემდეგნაირად ასრულებენ: მათ უნდა დახატონ მოწყობილობა (მაგალითად, ფოტოაპარატი), სადაც მოწყობილობის ყველა ხილული ნაწილი და ღილაკი იქნება წარმოდგენილი და მიუთითონ თითოეული ნაწილის ფუნქცია (როგორც ეს ქვევით მოცემულ სურათზეა გამოსახული). მოსწავლეებს ევალებათ იმ მოწყობილობისა და მისი ელემენტების ფურცელზე გადატანაც, რომელსაც ისინი არ იცნობენ, ამ შემთხვევაში, მათ უნდა მიუთითონ, მათი აზრით, რა ფუნქციას ასრულებს მოწყობილობის ესა თუ ის ნაწილი.

მოწყობილობის ნახატის შექმნის ნიმუში (მასწავლებლებისათვის):

აღნიშვნები:

1: გამადიდებელი შუშა

2: ობიექტივი

3: არ არის ცნობილი

4: ყუთი

5: ...

6: ...

რაც უფრო რთულ მოწყობილობას შესთავაზებთ მოსწავლეებს, მათ უფრო გაუჭირდებათ მათ ამ დავალების შესრულება. მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ მოსწავლეები არ უნდა დააფრთხოთ; თქვენ არ ამოწმებთ მათ ცოდნას, არ ეუბნებით, რა გამოიცნეს სწორად და რა ვერ გამოიცნეს. მოსწავლეები უნდა დარწმუნდნენ, რომ ამგვარ მოწყობილობებს მრავალი შესაძლებლობები აქვს და სასურველია, თუ მის ფუნქციებს გაეცნონ.

ალტერნატიული აქტივობა:

შესაძლებელია ნახატის ასლისა და აღნიშვნების გადაღება და საერთო პრეზენტაციისათვის მისი ჩვენება სლაიდზე.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეების ჯგუფს აძლევს მოწყობილობის ინსტრუქციას (შესაძლებელია, მოსწავლეთა ერთი ჯგუფისათვის ამ ინსტრუქციის მიწოდება გაკვეთილამდე რამდენიმე დღით ადრე, ისე, რომ ამის შესახებ სხვა მოსწავლეებისათვის არ იყოს ცნობილი). მიუხედავად იმისა, თუ რა მოწყობილობა შეგაქვთ გაკვეთილზე, მოსწავლეებისათვის შეუძლებელი იქნება მისი სრულყოფილად აღწერა და მისი ფუნქციების სრულყოფილად შესწავლა. ამ ეტაპზე ამას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება, ვინაიდან ეს მხოლოდ წინამდებარე თავით გათვალისწინებული აქტივობების დასაწყისია.

ამის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მოცემული თავის მიზნებსა და პროცედურებს:

- მოსწავლეებმა უნდა მოაწყონ მედიამოწყობილობების გამოფენა, რომლის დროსაც საჩვენებლად წარმოდგენილი უნდა იყოს სახლიდან მოტანილი და სკოლაში არსებული მოწყობილობები (გაკვეთილი 2).
- მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ერთ-ერთი მოწყობილობა და გაერკვნენ მის ფუნქციებსა და შესაძლებლობებში და პრეზენტაციებით წარსდგნენ თანაკლასელების წინაშე, რომლის დროსაც ისინი მათ ამ მოწყობილობას გააცნობენ (გაკვეთილი 3 - საჭიროების შემთხვევაში, თუ მოწყობილობათა დიდი რაოდენობაა წარმოდგენილი, შესაძლებელია დამატებითი გაკვეთილების ორგანიზება).
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა მოწყობილობას, კლასმა უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი სახის მედიაპროდუქცია (ფილმი, აუდიომოთხრობა, ფოტოგამოფენა, ილუსტრირებული მოთხრობა და ა.შ.) და მისი წარმოებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატაროს (გაკვეთილი 4).

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა უნდა მოისმინოს ყველა მოსწავლის მიერ გამოთქმული მოსაზრება და აუხსნას მათ გამოფენის მოწყობის დეტალები, თუ

როგორ უნდა მოხდეს ყველა მოწყობილობის გამოფენა საკლასო ოთახში. მასწავლებელი მოსწავლეებს გადასცემს სამუშაო ფურცლებს, რომლებზეც მოცემულია ფორმა, რომელსაც მოსწავლეები ავსებენ მათ მიერ შერჩეული მოწყობილობის მახასიათებლების აღწერით.

შენიშვნა: გამოფენაზე, სხვა მოწყობილობების გვერდით, წარმოდგენილი უნდა იყოს მოწყობილობები, რომლებიც სკოლის საკუთრებას წარმოადგენს. მოსწავლეებმა, რომელთაც შინიდან არ მოუტანიათ მოწყობილობა, ან მოსწავლეებმა, რომელთაც თავისუფალი დრო რჩებათ, უნდა მოამზადონ სკოლის საკუთრებაში არსებული მოწყობილობის აღწერა და წარმოადგინონ იგი გამოფენაზე.

**გაკვეთილი 2**

**ცოდნა და უნარები - დიდი ძალაა!**

**მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციებს მედიასაშუალებების შესახებ**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ რამდენად მრავალფეროვანი მედიასაშუალების გამოყენების უნარს ფლობენ ისინი, ან, პირიქით, თუ რამდენად შეზღუდულია იმ მედიასაშუალებების რაოდენობა, რომელთა გამოყენებაც მათ შეუძლიათ. მასწავლებელი მათ აწვდის ძირითად ინფორმაციას მედიასა და მისი მოხმარების შესახებ. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ამზადებენ მედიასაშუალებების გამოფენას საკლასო ოთახში და, ამავდროულად, ეცნობიან ერთ-ერთი კონკრეტული მედიასაშუალების მუშაობის პრინციპს. |
| **რესურსები** | მოსწავლეების კუთვნილი მედიამოწყობილობები, სკოლის საკუთრებაში არსებული მედიამოწყობილობები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები, მე-9 თავის 1-ლი და მე-2 გაკვეთილებისათვის, მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები. |
| **მეთოდები** | მეთოდის განსაზღვრა მასწავლებლის მიერ შერჩეული გარემოს გათვალისწინებით. |

**გაკვეთილის აღწერა**

წინა, 1-ლი გაკვეთილის დასასრულს, მასწავლებელი (ან მოსწავლეთა ჯგუფი) ამზადებს მაგიდას, სადაც უნდა მოეწყოს გამოფენა. იმ შემთხვევაში, თუ საკლასო ოთახი საიმედოდ და უსაფრთხოდ იკეტება, მოსწავლეებს შეუძლიათ, წინასწარ მოიტანონ მოწყობილობები და დატოვონ საგამოფენო მაგიდაზე. მასწავლებელმა უნდა აკონტროლოს მოსწავლეების მიერ მოწყობილობების კლასში მოტანის პროცესი და უპასუხოს მათ ნებისმიერ შეკითხვას. აუცილებელია მშობლების

ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ სჭირდებათ მოსწავლეებს სახლიდან მოწყობილობების მოტანა კლასში.

მას შემდეგ, რაც გამოფენა მოსწავლეების მიერ მოტანილი მოწყობილობებით შეივსება და ყველაფერი ადგილზე მოთავსდება, მასწავლებელი ნიშნავს „გამოფენის ექსპერტთა ჯგუფს“, მოსწავლეებს, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან გამოფენაზე და ვის მოვალეობაშიც შედის სხვა მოსწავლეების დახმარება. ამ ასაკის მოსწავლეებს უკვე კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, რომ ყურადღებით და ფრთხილად უნდა მოეპყრონ მოწყობილობებს.

მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლის დახმარებით, ადგენენ სიას, სადაც მითითებული იქნება, მოსწავლეთა რომელი ჯგუფი რომელ მოწყობილობაზე მუშაობს. სიაში ასევე მითითებული უნდა იყოს მოსწავლეების ჯგუფის მიერ კლასის წინაშე პრეზენტაციით გამოსვლის დრო. კლასში მოსწავლეების რაოდენობისა და შერჩეული მოწყობილობების მიხედვით, შესაძლებელია პრეზენტაციებს ერთზე მეტი გაკვეთილი დასჭირდეს (იხილეთ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები).

შედგენილი სია უნდა გამოიფინოს თვალსაჩინო ადგილზე, საკლასო ოთახში, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება, გაეცნოს მას და ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მასზე დატანილი ინფორმაცია, რაც, ასევე, თვითორგანიზებულ სწავლას უწყობს ხელს. შედგენილი სია შემდეგნაირად უნდა გამოიყურებოდეს:

| **მედიამოწყობილობა** | **ჯგუფის წევრები** | **პრეზენტაციის თარიღი, დრო და პრეზენტაციის ხანგრძლივობა** |
|---|---|---|
| ვიდეოჩამწერი | ტიმი, მირკა, სუზანი, მარიო | ოთხშაბათი, 14 თებერვალი, 09:00; 20 წუთი |
| ციფრული კამერა | ლენა, ლიზა, სოფი, იანი | ოთხშაბათი, 14 თებერვალი, 09:00; 20 წუთი |
| … | | |

ამ გაკვეთილის დამატებითი ელემენტის სახით, მასწავლებელს შეუძლია მოამზადოს მცირე პრეზენტაცია, რომლითაც იგი მოსწავლეების წინაშე უნდა წარსდგეს გამოფენის დახურვის შემდეგ. მასწავლებლის პრეზენტაცია დაახლოებით 10 წუთიანი უნდა იყოს და შესაძლებელია იყოს ორი ტიპის, როგორც ეს აღწერილია ქვევით, მაგრამ ასევე შესაძლებელია მასწავლებელმა თავისი შეხედულების მიხედვით მოამზადოს იგი:

**მედია და დემოკრატია.** პრეზენტაციის მიზანს წარმოადგენს, ნათელი წარმოდგენა შეუქმნას მოსწავლეებს მედიის ფუნქციაზე ჩვენს საზოგადოებაში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ამ თემაზე მომზადებული მასალა უნდა შეიცავდეს ძირითად ინფორმაციას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება საკითხის ეტაპობრივ გაცნობიერებაში (იხილეთ მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მასალა, მე-9 თავი, გაკვეთილი 1).

**ტელევიზია და თანამედროვეობა.** ალტერნატივის სახით, მასწავლებელს შეუძლია პრეზენტაციის თემად აირჩიოს „ტელევიზია და თანამედროვეობა“, თუ ეს მის სწავლების მიზნებს უკეთ ესადაგება (იხილეთ მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მასალა, 9.2).

მოსწავლეების მიერ ამ ფორმით გადაცემული ინფორმაციის ათვისების დონის შეფასება არ წარმოებს. პრეზენტაციის ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლეების ინფორმირებულობის დონის ეტაპობრივი ამაღლება. როგორც ცოდნის გადაცემის პროცესის ბევრ სხვა შემთხვევაში, აქაც შესაძლებელია მოსწავლეებისათვის ბევრი რამე გაუგებარი იყოს. რაც მსგავს სიტუაციებში მოსალოდნელია და მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს მისი მოლოდინი, მოსწავლეების მიერ მასალის ათვისების თვალსაზრისით.

**გაკვეთილი 3**

**პრეზენტაციის დრო**

**სპეციალისტთა ჯგუფები აკეთებენ მედიასაშუალებების გამოყენების ტექნიკური უნარების დემონსტრირებას**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | მოსწავლეები ტექნიკური ექსპერტების როლში გამოდიან იმ მედიამოწყობილობასთან დაკავშირებით, რომელიც მათ შეარჩიეს. ისინი სწავლობენ, როგორ წარმოადგინონ მათ მიერ მომზადებული ინფორმაცია. |
| **მოსწავლის ამოცანა** | მოსწავლეები ტექნიკური ექსპერტების როლში გამოდიან იმ მედიამოწყობილობასთან დაკავშირებით, რომელიც მათ შეარჩიეს და მართავენ ჯგუფურ პრეზენტაციას ამ მედიამოწყობილობის კლასისათვის გაცნობის მიზნით. |
| **რესურსები** | მედიამოწყობილობები, პრეზენტაციისათვის საჭირო ინდივიდუალური საშუალებები. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო. |

**გაკვეთილის აღწერა**

მოცემული გაკვეთილი (ან გაკვეთილების სერია, დაგეგმილი პრეზენტაციების რაოდენობის მიხედვით განსაზღვრული) უნდა მომზადდეს მოსწავლეების მიერ. გაკვეთილის ძირითადი დრო და ყურადღება დათმობილი აქვს პრეზენტაციებს. მასწავლებლის ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ მოსწავლეების ჯგუფების ზედამხედველობით, პრეზენტაციების მომზადების ეტაპზე. იმისდა მიხედვით, თუ პრეზენტაციის მომზადებისათვის საჭირო რა უნარებს ფლობენ მოსწავლეები, მასწავლებლის ფუნქცია შეიძლება მარტივი ან მეტად კომპლექსური აღმოჩნდეს.

მოსწავლეები კარგად უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ სურთ მათ გადმოსცენ ინფორმაცია, რომელსაც პრეზენტაციისათვის ამზადებენ. მოსწავლეებისათვის

განკუთვნილი დამხმარე ინსტრუმენტები, სხვადასხვა ასპექტში, მათ დახმარებას უზრუნველყოფს, მაგალითად, რჩევებით, რომელიც ეხება:

— პოსტერის დამზადებას;
— სლაიდების დამზადებას; და
— პრეზენტაციის მომზადებასა და პრეზენტაციით გამოსვლას.

ზოგიერთმა ჯგუფმა შესაძლებელია გამოთქვას პრეზენტაციის წინ რეპეტიციის გავლის სურვილი. თუ მოსწავლეებს იმის შესაძლებლობის მივცემთ, რომ მათ თავიანთი პრეზენტაცია წინასწარ გააცნონ  მასწავლებელს ან სხვა მოსწავლეებს და მოისმინონ კომენტარები თავიანთი  ნამუშევრის შესახებ,  მოსწავლეები თავს უფრო დაცულად იგრძნობენ. ეს, აგრეთვე, დადებითად აისახება მათი პრეზენტაციის ხარისხზე. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ამას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან დემოკრატიულ გარემოში, მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად კომპეტენციას, ინფორმაციისა და საკუთარი მოსაზრების თავისუფლად და დამაჯერებლად გადაცემის კომპეტენცია წარმოადგენს.

**გაკვეთილი 4**

**ჩვენ ვგეგმავთ მედიაპროდუქციას**

**როგორ გამოვიყენოთ შეძენილი უნარები? მოსწავლეები თანხმდებიან თემისა და გეგმის შესახებ**

| | |
|---|---|
| **სწავლის მიზნები** | იმ ტექნიკური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რომელიც მოსწავლეებმა პრეზენტაციისათვის მზადების პროცესში შეიძინეს. მოსწავლეები არჩევენ თემას და მედიასაშუალებას, რომელიც სჭირდებათ. |
| **მოსწავლის ამოცანა** | დემოკრატიული და მონაწილეობითი პროცესების გამოყენებით (მცირერიცხოვან ჯგუფებში და საერთო საკლასო განხილვებისას), კლასი ირჩევს თემას, რომელზეც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ და მედიასაშუალებას, რომელიც მათ სჭირდებათ. |
| **რესურსები** | „გონებრივი ვიზუალიზაცია/წარმოსახვა“ - დამხმარე ინსტრუმენტი,<br>მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები: ფორმა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მედიასაშუალების შერჩევაში და რომელიც ესადაგება მათ მიერ შერჩეულ თემას. |
| **მეთოდები** | ჯგუფური სამუშაო, გადაწყვეტილების მიღება საერთო საკლასო სხდომის განმავლობაში. |

**გაკვეთილის აღწერა**

მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები არჩევენ თემას, რომელზეც მათ სურთ, რომ იმუშაონ (ამავე დროს, ისინი იყენებენ იმ ინფორმაციას, რომელიც მათ მოიპოვეს მედიამოწყობილობების შესახებ პრეზენტაციების საშუალებით). შესაძლებელია, თემა უკავშირდებოდეს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების რომელიმე ასპექტს - მაგალითად,

მოსწავლეებმა შესაძლოა მოისურვონ მათ გარემოში არსებული სათამაშო მოედნების შესწავლა, მათი აღწერა დოკუმენტური სახით და იმ ელემენტების ჩამონათვალის მომზადება, რაც, მათი აზრით, აკლია ამ მოედნებს. შეუძლიათ, მომზადებული მასალა გადაუგზავნონ შესაბამის ხელმძღვანელობას ან გამოაქვეყნონ ადგილობრივ გაზეთში. შესაძლებელია, ასევე, სამშენებლო უბანზე დაკვირვების წარმოება ხანგრძლივი დროის განმავლობაში და, სურათებისა და ხმის ჩაწერის თანხლებით, მისი მიმდინარეობის აღწერა და, დაგროვილი მასალების გამოყენებით, საინტერესო ანგარიშის მომზადება. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეარჩევენ თემას, მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომელ მედიასაშუალებებს გამოიყენებენ  დოკუმენტური მასალის შესაგროვებლად.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს გეგმას, ყველასათვის საინტერესო თემის შესარჩევად, რომლის დოკუმენტური მასალის მოგროვებისთვისაც მედიამოწყობილობების გამოყენება იქნება საჭირო. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს სურს, თემის შერჩევა სრულებით მიანდოს მოსწავლეებს, მან მოსწავლეთა მცირერიცხოვან ჯგუფებს უნდა მისცეს დრო იმისათვის, რომ მოიფიქრონ თემები, შემდეგ მასწავლებელი ამ თემებს ჩამოწერს ფურცელზე და მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, კლასს წარუდგინონ საკუთარი იდეები, რის შესახებაც იმართება საერთო საკლასო დისკუსია.

ყველასათვის მისაღები და საინტერესო თემის ძიება და ერთ თემაზე შეჯერება კომპლექსური სამუშაოა, მაგრამ მისი საშუალებით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ისწავლონ დათმობაზე წასვლა (მასწავლებელმა უნდა შეაფასოს ეს ასპექტიც).

ამის შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა შეიმუშაონ წინასწარი გეგმა, რომლისთვისაც იდეებს მოიძიებენ გონებრივი ვიზუალიზაციის/წარმოსახვის ტექნიკის საშუალებით, რომელიც გამოიყენება ინსტრუმენტის სახით. გაკვეთილზე მიმდინარეობს ამგვარად ჩამოყალიბებული იდეების გაცვლა-გამოცვლა მოსწავლეებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ გონებრივი წარმოსახვის ინსტრუმენტს მოსწავლეები პირველად იყენებენ, მასწავლებელმა მათ უნდა აუხსნას ცალკეული ეტაპები, რომელსაც მსგავსი აქტივობა

გულისხმობს და შესაძლებელია, ასევე, გამოყენებულ იქნას მაგალითი, რომელიც დაფაზე უნდა შესრულდეს:

— დიდი ფორმატის ფურცლის ცენტრში დაწერეთ თქვენი თემის სახელწოდება და შემოავლეთ მას წრე.

— წრის გარშემო გაავლეთ წრიდან გამომავალი სხივები მსხვილი შტრიხებით. თითოეული სხივის გასწვრივ დაწერეთ თემის ქვესათაური, რომელიც თქვენ მიერ შერჩეულ და წრის შუაგულში ჩაწერილ თემას უკავშირდება.

— მსხვილი სხივებიდან შეგიძლიათ გაავლოთ დამატებითი განშტოებები, რომლებიც ქვეკატეგორიებს ან კითხვებს წარმოადგენს და რომლებიც მსხვილ წრფეზე დაწერილ ქვესათაურებს უკავშირდება.

— მოიძიეთ და შეარჩიეთ რაც შეიძლება ბევრი ტერმინი და დაწერეთ ისინი შესაბამისი კატეგორიების ადგილზე. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა კატეგორიის ფრაზები და სხვადასხვა ზომის ასოები ტერმინების დასაწერად ან სიმბოლოები და ფერები.

მოსწავლეები ნაწილდებიან იმავე ჯგუფებში, რომლებშიც გადანაწილებული იყვნენ წინა აქტივობის დროს და მსჯელობენ, თუ რომელი მედიამოწყობილობის გამოყენება სურთ დოკუმენტური მასალის შესაგროვებლად. ამ აქტივობისათვის მოსწავლეები, ჯგუფებში გადანაწილების ნაცვლად, შესაძლებელია მუშაობდნენ ერთად, მთელი კლასი (იხილეთ სამუშაო ფურცელი: საპრეზენტაციო ბარათები, რომლებზეც მოცემულია მედიამოწყობილობების მოკლე დახასიათება).

იმ შემთხვევაში, თუ  მოსწავლეები ამ დავალებას ჯგუფებში ასრულებენ, საჭიროა მათი მოსაზრებებისა და შედეგების შეგროვება.

ამის შემდეგ იმართება საერთო საკლასო დისკუსია, რომლის დროსაც განიხილება პასუხისმგებლობის საკითხი:

— რა პასუხისმგებლობა აკისრია მოსწავლეს, რომელსაც ფოტოების გადაღება ან ხმის ჩაწერა ევალება?

— რას ნიშნავს პიროვნების პირადი უფლებების დაცვა?

— ვისთან გვჭირდება კონსულტაციების გავლა ან ვინ უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში?

მე-9 თავი უნდა დასრულდეს ამ აქტივობით. მოსწავლეების მიერ შერჩეული თემისა და გეგმის განხორციელება სასწავლო პროგრამაში მოცემული შესაბამისი დისციპლინის ფარგლებშია შესაძლებელი.

## თავი 9 - დამხმარე მასალა მასწავლებლებისათვის 1: მედია და დემოკრატია

დემოკრატიულ საზოგადოებაში მედია ხალხსა და სიმართლეს ემსახურება. ფაქტები ყველასათვის გასაგებად შუქდება და საზოგადოებას მიუკერძოებლად, ობიექტურად მიეწოდება. არაა დამახასიათებელი გადმოცემული მოსაზრებებისა და მსჯელობების ფაქტებში აღრევა (მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული, მაგალითად, გზავნილი და კომენტარი), ასევე, ადეკვატურად იდენტიფიცირდება ინფორმაცია, რომლის შესახებაც არ არსებობს დამამტკიცებელი ფაქტები და რომელიც მხოლოდ ვარაუდებს ეფუძნება.

გარდა ამისა, მედიასაშუალებების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს დამატებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და, აგრეთვე, ერთი მედიასაშუალების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მეორე მედია საშუალების მეშვეობით კორექტირებას. ამგვარად, მედიამომხმარებელს აქვს საშუალება, მიიღოს გასწორებული და დაბალანსებული ინფორმაცია, რომელიც მისი მოსაზრების ჩამოყალიბების საფუძველი ხდება.

დიქტატორული რეჟიმის პირობებში, მედია ემსახურება მმართველს ან მმართველებს. მედია ტენდენციურია და მმართველი ძალის პოლიტიკას ატრებს, პროპაგანდისტული ტექნიკის გამოყენებით (როგორიცაა რეალური ინფორმაციის დამალვა და არმიწოდება, ინფორმაციის შეთხზვა ან ინფორმაციისათვის ემოციური დატვირთვის მიცემა და ა.შ.).

თუმცა შესაძლებელია პირიქითაც ითქვას. ქვეყანაში არსებული მედიის ანალიზმა შეიძლება მიგვანიშნოს, დამკვიდრებულია თუ არა ქვეყანაში დემოკრატია. სიტყვისა და პრესის თავისუფლება დემოკრატიისათვის უმთავრესი მნიშვნელობისაა: ამ თავისუფლების გარეშე დემოკრატია ვერ იარსებებს და ადამიანის უფლებები დაცული ვერ იქნება. გარდა ამისა, წარსულში მედიას ბევრი წარმატება მიეწერება ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში. ძალიან ხშირად გამხდარა გაზეთში დაბეჭდილი სტატია, სატელევიზიო ინტერვიუ ან სხვა ვიზუალური მასალა

პოლიტიკური საბაბით დაპატიმრებული ადამიანებისათვის თავისუფლების მინიჭების საფუძველი; გარდაუვალი კატასტროფის შესახებ გაფრთხილების მიზნით გაგზავნილი ბევრი მოკლე ტექსტური შეტყობინება კი ადამიანების გადარჩენის საფუძვლად ქცეულა.

აქედან გამომდინარე, მასმედიის საშუალებათა კონსოლიდაცია დემოკრატიულ საზოგადოებაში ყოველთვის განგაშს იწვევს. ეს ზოგადად ნიშნავს იმას, რომ ყველა მედიასაშუალება ერთნაირად აშუქებს ერთსა და იმავე ფაქტს, მიუხედავად იმისა, რომ, წესით, მათი შეხედულებები და პოზიცია მოვლენის მიმართ განსხვავებული უნდა იყოს.

რამდენიმე კრიტიკულად განწყობილი პირის მიერ გამოთქმული პროტესტისა ან გამოქვეყნებული კრიტიკული სტატიის წყალობით, ზოგჯერ მაინც არის შესაძლებელი დაბალანსებული ინფორმაციის მიღება და არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ მსგავსი კონსოლიდაცია გამომჟღავნდეს. თუმცა, ამგვარ სიტუაციაში, უმეტესობა მხოლოდ კონსოლიდირებულ მასმედიაზეა დამოკიდებული და ამგვარი მოვლენის შედეგები სათანადო ანალიზს საჭიროებს.

მედია პასუხს აგებს იმ ინფორმაციაზე, რომელსაც იგი ავრცელებს: შესაძლებელია ჟურნალისტი დარწმუნებული იყოს იმ ფაქტისა თუ მოვლენის უტყუარობაში, რომელსაც იგი აშუქებს? შესაძლებელია გამართლება მოეძებნოს მათ კრიტიკულ მიდგომას? თუ მათი ერთადერთი მამოძრავებელი არის მხოლოდ ის, რომ იყვნენ პირველები „სკანდალური“ ინფორმაციის გავრცელებაში?

მედიის გამოყენება ძალაუფლებას ნიშნავს. ის, ვინც იღებს ფოტოებს ან აკეთებს ჩანაწერებს და შემდეგ მათ ნებისმიერი მედის საშუალებით აქვეყნებს, ამას დიდი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და კარგად უნდა აცნობიერებდეს მის მნიშვნელობას დემოკრატიისათვის.

## 1. რითი იზიდავს ბავშვებს ტელევიზია?

ტელევიზია მუდმივად გვთავაზობს ცვლილებებს, იგი განტვირთვის საშუალებაა და თავგადასავლების სამყაროში გვამოგზაურებს. ღილაკზე თითის დაჭერით, თქვენ საკუთარ სამყაროში ხვდებით - არა აქვს მნიშვნელობა, რეალურია თუ წარმოსახვითი, და ეს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ხდება, ფიზიკური თუ ემოციური ძალისხმევის გარეშე. თქვენს განკარგულებაშია დისტანციური მართვის პულტი და უთვალავი პროგრამა, ერთი საოცარი ამბიდან შეგიძლიათ მეორეზე გადაინაცვლოთ. ბავშვები ხშირად აიგივებენ თავიანთ თავს სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემის გმირებთან თუ პერსონაჟებთან; ისინი ტელევიზიას ინფორმაციის მიღების წყაროდ იყენებენ და, აგრეთვე, მიმართავენ მაშინ, როდესაც სხვა უკეთესი არაფერი აქვთ გასაკეთებელი.

## 2. რა დროს ატარებენ ბავშვები ტელევიზორის წინ ყოველდღიურად?

დასავლეთ ევროპაში, 3-დან 13 წლამდე ბავშვები ტელევიზორის წინ ყოველდღიურად საშუალოდ 90 წუთს ატარებენ. სინამდვილეში, ბავშვების მხოლოდ 60 %-ს შეუძლია მოსწყდეს ეკრანს ან გამორთოს ტელევიზორი. გარდა ამისა, ხშირად ბავშვები სხვა საქმიანობით სწორედ ჩართული ტელევიზორის წინ არიან დაკავებულები. მშობლები უნდა შეეცადონ, ტელევიზორთან გატარებული დროის ლიმიტი და გარკვეული წესები დაუწესონ ბავშვებს, იმისათვის, რომ, მაგალითად, ტელევიზორის წინ ჯდომისას, ბავშვები გააზრებულად აღიქვამდნენ იმას, რასაც უყურებენ. არ არის რეკომენდებული, ტელევიზორი მუდმივად იყოს ჩართული და, აგრეთვე, მშობლებმა უნდა აკონტროლონ, რომ ბავშვები მხოლოდ იმ გადაცემებს უყურებდნენ, რომლებიც მათი ასაკისათვის არის შესაფერისი, მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

**3. ბევრია ისეთი ბავშვი, რომელიც გადაჭარბებული დოზით უყურებს ტელევიზორს?**

ეგრეთ წოდებული „ტელევიზორთან მიჯაჭვული“ ადამიანები უფრო მეტ დროს უთმობენ ტელევიზორის წინ ჯდომას, ვიდრე სხვა საქმიანობებსა და აქტივობებში აქტიურ მონაწილეობას (სკოლა, თამაში, მეგობრებთან დროის გატარება და ა. შ.). თუმცა ბავშვების ძალიან მცირე ნაწილი მიეკუთვნება ამ კატეგორიას. თუ ბავშვი ერთი დღის განმავლობაში უფრო მეტ დროს ატარებს ტელევიზორის წინ, ვიდრე მეორე დღეს, ეს პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემად აღიქმება სიტუაცია, როდესაც ბავშვი ტელევიზორის წინ ზის და არ აცნობიერებს, თუ რას უყურებს ან როდესაც ბავშვი ტელევიზორის წინ ჯდება, რათა რეალობას გაექცეს, მაგალითად, თუ ოჯახში უსიამოვნებაა ან მას საკუთარი პრობლემები აქვს.

**4. რისი ყურება იზიდავთ ტელევიზიით სხვადასხვა ასაკის ბავშვებს?**

პატარა ბავშვებს, ძირითადად, მოსწონთ შემეცნებითი გადაცემების ყურება, რომლებიდანაც რაღაც ახალს იგებენ და სწავლობენ, აგრეთვე, მულტიპლიკაციური ფილმების, ზღაპრებისა და სათავგადასავლო ფილმების ყურება. დაახლოებით 6 წლიდან, ბავშვებში თავს იჩენს გენდერული ინტერესები: ვაჟები უყურებენ მძაფრსიუჟეტიან ფილმებს, სადაც ისინი საკუთარ თავს გმირებთან აიგივებენ; გოგონები სხვადასხვა ტიპის გადაცემებს და მუსიკალურ გადაცემებს, ასევე, სერიალებს, სადაც ოჯახი და ცხოველები ფიგურირებს. დაახლოებით 12 წლის ასაკიდან, ბავშვები ინტერესდებიან მუსიკალური ვიდეოკლიპებით, სერიალებით, რომელთა სიუჟეტიც ახალგაზრდების ცხოვრებასა და სიყვარულს ეხება. მსგავს გადაცემებს თითქმის ყველა ბავშვი უყურებს, მაგრამ ამ ასაკის ბავშვები, ასევე, იწყებენ მოზრდილებისათვის განკუთვნილი ტელეგადაცემების ყურებას. ამ შემთხვევაში, მშობლების მხრიდან ყურადღების გამოჩენაა საჭირო, მათ წინასწარ უნდა გადაამოწმონ პროგრამის შინაარსი, რათა ბავშვები მოარიდონ ისეთი გადაცემის ყურებას, რომელიც მათი ასაკისათვის შეუფერებელია.

**5. ტელევიზიით გატაცების თანმდევი ეფექტები**

ტელევიზორის ყურება განტვირთვის ერთ-ერთი საშუალებაა, მაგრამ მან შესაძლებელია ბავშვების გაღიზიანებაც გამოიწვიოს, რაც კადრების სწრაფი მონაცვლეობისა და ხშირი ხმამაღალი ჩანართების შედეგია, განსაკუთრებით მულტფილმებსა და მძაფრსიუჟეტიან ფილმებში. ზოგიერთი გადაცემის შინაარსი რეალურ ცხოვრებასა და სამყაროს ასახავს. გარდა ამისა, ტელევიზია ზემოქმედებას ახდენს ბავშვების ემოციებზე, ბავშვები რეაგირებენ როგორც სასაცილო, ასევე საშიშ მომენტებზე, აგრეთვე, აგრესიაზე, ზუსტად ისევე, როგორც მოზრდილები. პრობლემად შეიძლება იქცეს ბალანსის დაკარგვა, აქედან გამომდინარე, არ არის რეკომენდებული მუდმივად ერთი და იგივე ჟანრის გადაცემების ყურება.

**6. რომელი საინფორმაციო პროგრამებია განსაკუთრებით სასარგებლო ბავშვებისათვის?**

არხების უმეტესობა ბავშვებს სპეციალურ გადაცემებს სთავაზობს, რომლებიც მათ ინფორმაციას აწვდის და აფართოებს მათ თვალსაწიერს მსოფლიოს შესახებ. ზოგიერთ არხს სპეციალურად ბავშვებისათვის განკუთვნილ ახალი ამბების გადაცემაც კი აქვს პროგრამაში, სადაც ახალი ამბების მიწოდება ბავშვებისათვის გასაგები ენითა და ადვილად აღსაქმელი ფორმით ხდება. გარდა ამისა, ახალი ამბები, რომლებიც შუადღისას ან საღამოობით გადაიცემა, ძირითადად არ შეიცავს ისეთ სიუჟეტებს, რომლებიც შეუფერებელი შეიძლება იყოს ბავშვებისათვის. თუმცა მოზრდილები მუდმივად უნდა იყვნენ მზად, ბავშვებს აუხსნან ის, რასაც ისინი ვერ იგებენ.

**7. რამდენად მნიშვნელოვანია ტელევიზია სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით?**

მცირე ასაკის ბავშვებში ძირითად მედია საშუალებას ტელევიზია წარმოადგენს. ასაკის მატებასთან ერთად მედიის სხვა ფორმები (CD, MP3, მუსიკალური ვიდეოები, ინტერნეტ ტელევიზია) შემოდის მათ ცხოვრებაში და გარკვეულ ადგილს იმკვიდრებს, თუმცა ტელევიზორის ეკრანი კვლავ რჩება ინფორმაციისა და დისკუსიების მთავარ წყაროდ.

მცირე ასაკის ბავშვების მშობლებმა ასევე თვალყური უნდა ადევნონ, რომ ბავშვებს სხვადასხვა მედიასაშუალებასთან ჰქონდეთ შეხება: ტელევიზია - ახალი ამბებისა და განტვირთვისათვის; რადიო - მუსიკის მოსასმენად და ზოგიერთი სიახლის გასაგებად; წიგნი - წარმოსახვის უნარის გასავითარებლად და ენების შესასწავლად; და კომპიუტერი და ინტერნეტი - თვითშესწავლისა და სხვებთან კომუნიკაციის უნარის გასავითარებლად.

**8. რისთვის არის ტელევიზია კარგი და რისთვის – არც ისე იდეალური?**

ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა გადაცემას ადევნებენ თვალყურს (ახალი ამბები, თოქ-შოუები, სერიალები და ა. შ.) საკმარის ინფორმაციას ფლობენ მიმდინარე მოვლენების შესახებ და თანამედროვე ცხოვრების შესახებ ბევრი რამ იციან. თუმცა ტელევიზია მათ ვერ ასწავლის პრობლემის მოგვარებას. მხოლოდ ფაქტების ცოდნით ვერ შევძლებთ კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებას, საუკეთესო გამოსავლისა თუ გზის პოვნას, თავსატეხის ამოხსნას. ამ თვალსაზრისით, ტელევიზია ვერასოდეს ჩაანაცვლებს სკოლაში ან შინ, მშობლების დახმარებით მიღებულ განათლებას.

**9. ბავშვები უფროსებისაგან იღებენ მაგალითს?**

მედიასაშუალებათა მოხმარების თვალსაზრისით, ძალიან მცირეწლოვანი ბავშვებიც კი ცდილობენ, მიბაძონ უფროსებს. თუ მშობლები ყოველდღიურად ეცნობიან ჟურნალ-გაზეთებს, მათი შვილები მიდრეკილი იქნებიან კითხვისაკენ. თუ უფროსები დიდ დროს ატარებენ ტელევიზორის წინ, ბავშვებიც იმავეს გააკეთებენ. აქედან გამომდინარე, მშობლებმა არ უნდა გამოთქვან უკმაყოფილება თავიანთი შვილების ტელევიზორის ყურებასთან დაკავშირებული ჩვევების გამო, ნაცვლად ამისა, თავად უნდა უჩვენონ მათ ზომიერების მაგალითი. მშობლები უმიზნოდ და უსაზღვროდ არ უნდა უყურებდნენ ტელევიზორს, არამედ არჩევდნენ, თუ რას უყურონ.

**10. როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები, რომ მათმა შვილებმა ზომიერად უყურონ ტელევიზორს?**

მშობლებმა არ უნდა აუკრძალონ ბავშვებს ტელევიზორის ყურება, არამედ მათთან ერთად უნდა უყურონ მას და აუხსნან ბავშვებს, რატომ არის ზოგიერთი გადაცემა კარგი და ზოგიერთი – არც ისე კარგი. ტელევიზორის ყურების უფლება არ შეიძლება მივცეთ ბავშვს, როგორც ჯილდო კარგი მოქცევისათვის და არც მისი ყურების აკრძალვა შეიძლება სასჯელის სახით. საჭიროა წონასწორობის გამონახვა. ბავშვებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ „რეალური“ გამოცდილების მისაღებად - დრო იმისათვის, რათა მეგობრებთან ერთად გაატარონ იგი, ითამაშონ, გავიდნენ ბუნებაში, ისეირნონ ქალაქის ქუჩებში და შეიძინონ ახალი ნაცნობები.

## სახელმძღვანელო მოსწავლეებისათვის




III. სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისათვის (ნაკრები)

IV. დამხმარე ინსტრუმენტები მოსწავლეებისათვის (ნაკრები)

# I. სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისათვის (ნაკრები)

## შესავალი

ძვირფასო მოსწავლეებო,

წინამდებარე სახელმძღვანელო თქვენთვის არის განკუთვნილი. მის გვერდებზე თქვენ იხილავთ სამუშაო ფურცლებს, რომლებზე მუშაობაც მოგიწევთ როგორც გაკვეთილების დროს, ასევე, სკოლის გარეთ, საშინაო დავალებების შესრულების დროს.

თქვენი მასწავლებელი აგიხსნით, თუ როდის და როგორ უნდა გამოიყენოთ თითოეული სამუშაო ფურცელი, მაგრამ თქვენ თავადაც შეგიძლიათ მიიღოთ გადაწყვეტილება ამის თაობაზე, თუ ჩათვლით, რომ ისინი დახმარებას გაგიწევთ.

ზოგიერთ სამუშაო ფურცელზე მუშაობა დამოუკიდებლად მოგიწევთ, ზოგიერთ მათგანზე კი - თანაკლასელებთან ერთად.

ზოგიერთ სამუშაო ფურცელზე მუშაობა მათგან გარკვეული ფიგურებისა და ელემენტების ამოჭრას გულისხმობს, ზოგიერთზე მუშაობა - რაიმეს ჩაწერას ან ჩახატვას.

ზოგიერთი სამუშაო მარტივად მოგეჩვენებათ, ზოგიერთი - შედარებით რთულად, რომლის შესასრულებლად დაფიქრება მოგიწევთ.

თუ დამატებითი ინფორმაციის მოძიება გსურთ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, შეგიძლიათ ისარგებლოთ სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემულ ინსტრუმენტთა ნაკრებით.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენთვის სასიამოვნო იქნება მოცემულ სახელმძღვანელოზე მუშაობა და მუშაობის პროცესში ბევრ საინტერესო რამეს შეიტყობთ და საინტერესო მოსაზრებები ჩამოგიყალიბდებათ!

სარჩევი

თავი 1: მე და საზოგადოება, რომელსაც ვეკუთვნი

- „მე მომწონს და მე არ მომწონს“ - ცხრილი
- გერბი - მოდელი
- სამეტაპიანი დისკუსია

თავი 2: ევროპა ჩემი სახლია

- ევროპის რუკა
  - ევროპის ქვეყნები და დედაქალაქები
  - ევროპის ქვეყნების სახელმწიფო დროშები
  - ევროპის მდინარეები
  - ევროპის მთები და რელიეფი
- ქვეყნის დახასიათება

თავი 3: უმცირესობები და უმრავლესობები

- ცხრილი ჩანიშვნების გასაკეთებლად
- სტატისტიკურ მონაცემთა ცხრილი
- ბარათები სიტყვებითა და შეფასების სიმბოლოებით

თავი 4: წესები კონფლიქტების მოგვარებაში გვეხმარება

- ჩვენი პრობლემა - ჩემი პრობლემა
- ბარათები კენჭისყრაში მონაწილეობისათვის

თავი 5: თანაცხოვრების საფუძველი

- უფლებები, პასუხისმგებლობები და წესები ჩვენს სკოლაში
- ბარათები კენჭისყრაში მონაწილეობისათვის
- კარგი წესების კრიტერიუმები

თავი 6: მე ვწყვეტ ყველაფერს! არის კი ეს ასე?

- სუპერგმირი?
- პოლიტიკური წარმომადგენლობის სქემა
- ინფორმაცია არჩევნების შესახებ

თავი 7: მე ბუნების დამცველი ვხდები ... ჩემი სკოლა მონაწილეობს!

- პასუხისმგებლობას ვიღებ... რაზე?
- ვის რა პასუხისმგებლობა აკისრია

თავი 8: ჩემი უფლებები - შენი უფლებები

- ვასხვავებთ „სურვილებს“ „საჭიროებებისაგან“
- ადამიანის უფლებები: ჩამონათვალი უფლებებისა და საჭიროებების შედარებისათვის
- კვლევა ადამიანის უფლებების შესახებ

თავი 9: მედია პრაქტიკაში: გავაკეთებდი, რომ შემეძლოს

- საპრეზენტაციო ბარათები მედიასაშუალების აღწერისათვის

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 1, გაკვეთილი 1:**

**„მე მომწონს და მე არ მომწონს“ - ცხრილი**

| ის, რისი კეთება მომწონს და რას ვაკეთებ<br>სქესი:_____ | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | რისი კეთებაც მომწონს და ვაკეთებ | რისი კეთებაც მიწევს, მაგრამ არ მომწონს | რისი კეთებაც არ მომწონს და არც ვაკეთებ | რასაც არ ვაკეთებ, მაგრამ რის კეთებასაც ვისურვებდი |
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |

| ის, რისი კეთებაც მოsწონთ სხვებს და რას აკეთებენ | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | რისი კეთებაც მომწონს და ვაკეთებ | რისი კეთებაც მიწევს, მაგრამ არ მომწონს | რისი კეთებაც არ მომწონს და არც ვაკეთებ | რასაც არ ვაკეთებ, მაგრამ რის კეთებასაც ვისურვებდი |
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |

სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 1, გაკვეთილები 2 და 3:

გერბი - მოდელი



1

რისი კეთება შემიძლია მე...

2

შეიძლება გამოგვადგეს სკოლაში...

3

შეიძლება გამოგვადგეს სკოლის გარეთ...

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 2, გაკვეთილი 1:**

**ევროპის რუკა (გადაიღეთ A3 ფორმატის ფურცელზე)**

— გააფერადეთ ქვეყნები სხვადასხვა ფერით.

— სათანადო ადგილზე ჩაწერეთ ქვეყნებისა და მათი დედაქალაქების სახელწოდებები.

— სად ცხოვრობთ თქვენ? აღნიშნეთ რუკაზე და დაწერეთ ადგილის სახელწოდება.

— ჩაწერეთ ზღვების სახელწოდებები.

— აღნიშნეთ ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეები და დააწერეთ სახელწოდებები.

— კიდევ რას დაამატებდით რუკაზე?

## სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 2, გაკვეთილი 1:
## ევროპის ქვეყნები და დედაქალაქები

სამუშაო ფურცელზე გამოსახულ შესავსებ რუკაზე დაიტანეთ ევროპის ქვეყნები და დედაქალაქები

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 2, გაკვეთილი 1:**

**ევროპის ქვეყნების სახელმწიფო დროშები**

სამუშაო ფურცელზე გამოსახულ შესავსებ რუკაზე დაიტანეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო დროშები

რომელი დროშა მოგწონთ ყველაზე მეტად?

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 2, გაკვეთილი 1:**

**ევროპის მდინარეები**

ქვევით მოცემულ რუკაზე იპოვეთ შემდეგი მდინარეები და დაიტანეთ ისინი სამუშაო ფურცელზე გამოსახულ შესავსებ რუკაზე.

| | | |
|---|---|---|
| დუნაი | ურალი | სენა |
| რაინი | შენონი | ვისლა |
| პო | ტახო | ებრო |
| დნეპრი | ვოლგა | ტიბრი |
| რონა | ოდრა | ტემზა |
| ელბა | ლუარა | დონი |



## სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 2, გაკვეთილი 1:
## ევროპის მთები და რელიეფი

ქვევით მოცემულ რუკაზე იპოვეთ შემდეგი მთები და დაიტანეთ ისინი სამუშაო ფურცელზე გამოსახულ შესავსებ რუკაზე.

| | |
|---|---|
| ალპები | აპენინის მთები |
| სკანდინავიის მთები | ბალკანეთის მთები |
| კარპატები | დინარის მთიანეთი |
| ურალის მთები | კავკასიონი |
| პირინეის მთები | მესეტის მთაგრეხილი |



## სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 2, გაკვეთილები 2 და 3: ქვეყნის დახასიათება

### ქვეყნის დახასიათება

ქვეყანას ჰქვია:

_____

ასე გამოიყურება ქვეყნის დროშა:

დედაქალაქს ჰქვია:

_____

ქვეყანას ასეთი ფორმა აქვს:

ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით:

_____

ჩვენს ქვეყანაში საუბრობენ

_____ ენაზე

ქვეყანაში ყველაზე ცნობილი კერძი არის:

_____

დიდი მდინარეების, ტბების და მთების სახელწოდება:

_____

ქვეყანა ცნობილია: _____

_____

_____

_____

მოსახლეობა შემდეგნაირად ამბობს:

გამარჯობა

_____

ნახვამდის

_____

როგორა ხარ?

_____

ჩემი სახელია

_____

## სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 3, გაკვეთილი 2:

## ცხრილი ჩანიშვნების გასაკეთებლად

### ცხრილი ჩანიშვნების გასაკეთებლად:

| აქტივობა | ვაჟები | გოგონები |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

### ცხრილი ინტერვიუსათვის:

| |
|---|
| 1. კითხვა: |
| |
| 2. კითხვა: |
| |
| 3. კითხვა: |
| |

## სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 3, გაკვეთილი 3:

## სტატისტიკურ მონაცემთა ცხრილი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 100 | | | | | | | | | | | | | | |
| 98 | | | | | | | | | | | | | | |
| 96 | | | | | | | | | | | | | | |
| 94 | | | | | | | | | | | | | | |
| 92 | | | | | | | | | | | | | | |
| 90 | | | | | | | | | | | | | | |
| 88 | | | | | | | | | | | | | | |
| 86 | | | | | | | | | | | | | | |
| 84 | | | | | | | | | | | | | | |
| 82 | | | | | | | | | | | | | | |
| 80 | | | | | | | | | | | | | | |
| 78 | | | | | | | | | | | | | | |
| 76 | | | | | | | | | | | | | | |
| 74 | | | | | | | | | | | | | | |
| 72 | | | | | | | | | | | | | | |
| 70 | | | | | | | | | | | | | | |
| 68 | | | | | | | | | | | | | | |
| 66 | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 0 | | | | | | | | | | | | | | |
| აქტივობა | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ | ♀ | ♂ |
| | _____ | | _____ | | _____ | | _____ | | _____ | | _____ | | _____ | |

სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 3, გაკვეთილი 4:

ბარათები სიტყვებითა და შეფასების სიმბოლოებით

| სიტყვა | შეფასების ბარათი |
|---|---|
| პანკები | |
| ასაკოვანი ადამიანები | |
| მოციგურავეები | |
| პოლიტიკოსები | |
| მღვდლები | |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 4, გაკვეთილი 1:**

**ჩვენი პრობლემა - ჩემი პრობლემა**

## საერთო და ინდივიდუალური პრობლემები და კონფლიქტები

| | |
|---|---|
| საერთო პრობლემა ან კონფლიქტი ეხება ყველა მოსწავლეს კლასში. საერთო პრობლემის ან კონფლიქტის მოგვარებამ შესაძლებელია სხვადასხვა ზეგავლენა იქონიოს სხვადასხვა მოსწავლეზე.<br>მაგალითად:<br>საკლასო ოთახში ხანდახან ხმაურია. | ინდივიდუალური პრობლემა ან კონფლიქტი ეხება მხოლოდ ერთ მოსწავლეს კლასში. და, შესაბამისად, პრობლემის ან კონფლიქტის მოგვარებამ ზეგავლენა უნდა იქონიოს მხოლოდ ამ მოსწავლეზე.<br>მაგალითად:<br>გაკვეთილის მსვლელობისას ხანდახან მშივდება. |

| მოიფიქრეთ და მოიყვანეთ სხვა მაგალითები: | |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 4, გაკვეთილი 3:

ბარათები კენჭისყრაში მონაწილეობისათვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 5, გაკვეთილი 1:**

**უფლებები, პასუხისმგებლობები და წესები ჩვენს სკოლაში**

| **უფლებები** | **პასუხისმგებლობები** | **წესები** |
|---|---|---|
| *უსაფრთხოება საკლასო ოთახში* | *დავიცვათ წესები, რათა დაცული იყოს უსაფრთხოება* | *არ ირბინოთ საკლასო ოთახში* |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 5, გაკვეთილი 3:**

**ბარათები კენჭისყრაში მონაწილეობისათვის**

| ვეთანხმები | არ ვეთანხმები | თავს ვიკავებ |
|---|---|---|
| + | − | |
| + | − | |
| + | − | |

## სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 5, გაკვეთილი 4:
## კარგი წესების კრიტერიუმები

### კარგი წესების კრიტერიუმები

### ჩვენი წესი:

*ჩამოწერეთ კრიტერიუმები და წესი განიხილეთ იმის მიხედვით, აკმაყოფილებს თუ არა იგი მოცემულ კრიტერიუმს.*

| | კი | არა |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

### დასკვნა:

| |
|---|
| ჩვენი აზრით, მოცემული წესი არის _____ |
| ვინაიდან, |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 6, გაკვეთილი 1:**

**სუპერგმირი?**

## სუპერგმირი?

ჩაწერეთ, რა უნარებს უნდა ფლობდეს კლასის ხელმძღვანელი და რა პასუხისმგებლობები აკისრია მას. კლასის ხელმძღვანელი სუპერგმირია? დაფიქრდით ამაზე...



**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 6, გაკვეთილი 2:**

**პოლიტიკური წარმომადგენლობის სქემა**

**ჩაწერეთ სიტყვები:**

| | | |
|---|---|---|
| **პარლამენტი** | **ხალხი** | **მთავრობა** |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 6, გაკვეთილი 3: ინფორმაცია არჩევნების შესახებ**

დაუსვით მშობლებს შემდეგი კითხვები არჩევნების შესახებ. ჩაიწერეთ მათი პასუხები.

ბოლოს როდის მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში?

_____

რა ტიპის არჩევნები იყო?

_____

სად ჩატარდა არჩევნები?

_____

როგორ იყო არჩევნები ორგანიზებული?

_____

……

დაუსვით მშობლებს შემდეგი კითხვები არჩევნების შესახებ. ჩაიწერეთ მათი პასუხები.

ბოლოს როდის მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში?

_____

რა ტიპის არჩევნები იყო?

_____

სად ჩატარდა არჩევნები?

_____

როგორ იყო არჩევნები ორგანიზებული?

_____

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 7, გაკვეთილი 1:**

**პასუხისმგებლობას ვიღებ... რაზე?**




| | |
|---|---|
| ... ჩემს ძაღლზე | ... ჩემს კატაზე |
| ... ჩემს თევზზე | ... ბავშვზე |
| ... პროფესიაზე | ... ადამიანთა ჯგუფზე |
| ... ოჯახზე | ... ტბაზე |
| ... წყლის მომარაგებაზე | ... საკვებზე |
| ... ჩემს საკუთარ თავზე | ... სკოლის სათამაშო მოედანზე |
| ... | ... |
| ... | ... |
| ... | ... |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 7, გაკვეთილი 4:**

**ვის რა პასუხისმგებლობა აკისრია**

| პასუხისმგებლობის აღება, პასუხისმგებლობის გაზიარება | | |
|---|---|---|
| მაგალითი: ეკოლოგია | | |
| ადგილი/სიტუაცია | რა პასუხისმგებლობა აკისრია მოცემულ პირს? | |
| კლასი | მასწავლებელი: | მოსწავლე: |
| სკოლა | სკოლის ხელმძღვანელი: | მასწავლებელი/მოსწავლე: |
| სახელმწიფო | სახელმწიფოს<br>ხელმძღვანელი: | ხალხი: |
| ? | | |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 8, გაკვეთილი 1:**
**ვასხვავებთ „სურვილებს“ „საჭიროებებისაგან“**

საკლასო ოთახში წარმოდგენილი სურათებიდან ჯგუფის წევრებმა შეარჩიეთ 10 სურათი. ამათგან 5 სურათი უნდა განეკუთვნებოდეს კატეგორიას „სურვილები“, ხოლო დანარჩენი 5 - კატეგორიას „საჭიროებები“ (იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი ჯგუფი არჩევანს ერთსა და იმავე სურათზე აკეთებს, მოძებნეთ გამოსავალი).

— ჯგუფში განიხილეთ თქვენი არჩევანი და შეეცადეთ, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:
  - რატომ არის ეს მნიშვნელოვანი ჩემთვის?
  - რა მოხდებოდა, რომ არ მქონდეს ეს?
  - რა მინდა, მქონდეს და რას მინდა მივაღწიო შემდგომ ცხოვრებაში?
  - რას ნიშნავს ეს ჩემთვის როგორც გოგონასათვის/ვაჟისათვის?
— თქვენ მიერ შერჩეული სურათები დაახარისხეთ იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი და რომელი - ნაკლებ მნიშვნელოვანი და შეეცადეთ, ახსნათ მათი დახარისხების მიზეზი. შეგიძლიათ ისეთი გამოსავალი იპოვოთ, რომელსაც ჯგუფის ყველა წევრი დაეთანხმება?
— ჯგუფის ორი წევრი ბოლოებით იჭერს ზონარს, რომელზეც თქვენ მიერ შერჩეული თანმიმდევრობით არის დაკიდული სურათები და ჯგუფის ერთი წევრი განმარტავს ჯგუფის არჩევანის მიზეზებს, ამავდროულად, საჭიროა არა ყველა სურათის, არამედ მხოლოდ პირველი და უკანასკნელი არჩევანის განმარტება. სცადეთ, საკუთარი სიტყვებით ახსნათ განსხვავება „სურვილებსა“ და „საჭიროებებს“ შორის. შეგიძლიათ განმარტოთ ეს ორი ტერმინი?

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 8, გაკვეთილი 2:**

**ადამიანის უფლებები: ჩამონათვალი უფლებებისა და საჭიროებების შედარებისათვის**

| **ძირითად უფლებათა ჩამონათვალი** | **ჩვენ მიერ განსაზღვრული „საჭიროებები“** | **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ორიგინალის რომელ მუხლშია იგი შესული?** |
|---|---|---|
| სიცოცხლის, არსებობის უფლება | | |
| მუშაობის უფლება | | |
| საკუთრების უფლება | | |
| სიტყვის თავისუფლებით სარგებლობის უფლება | | |
| პირადი უსაფრთხოების უფლება | | |
| ძალადობისაგან დაცვის უფლება | | |
| კანონის დაცვის უფლება | | |
| უკანონოდ დაკავებისაგან დაცვის უფლება, როდესაც არ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ ჩადენილ იქნა დანაშაული | | |
| სამართლიანი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება | | |
| ეჭვმიტანილის და ბრალდებულის სტატუსით სარგებლობის შემთხვევაშიც კი, უფლება, უდანაშაულოდ ითვლებოდე მანამ, სანამ სამართლიანად გასამართლების შედეგად არ | | |

| | | |
|---|---|---|
| დამტკიცდება ბრალეულობა | | |
| მოქალაქეობის უფლება | | |
| არჩევნებში მონაწილეობის უფლება | | |
| სხვა ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნის უფლება, თუ საკუთარ ქვეყანაში არასათანადო მოპყრობას აქვს ადგილი | | |
| აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება | | |
| საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის გამოხატვის უფლება | | |
| მთავრობისა ან ნებისმიერი ჯგუფის წინააღმდეგ საკუთარი პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვის უფლება | | |
| ცხოვრების ძირითადი სტანდარტებით სარგებლობის უფლება (საკვები, თავშესაფარი, ტანსაცმელი და ა.შ.) | | |
| განათლების უფლება | | |
| სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება | | |
| სრულწლოვანთა ქორწინების უფლება, მიუხედავად მათი რასისა, რელიგიური აღმსარებლობისა ან გენდერული იდენტობისა | | |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 8, გაკვეთილი 3:**

**კვლევა ადამიანის უფლებების შესახებ**

| |
|---|
| რესპონდენტი (სახელი, ასაკი (მიახლოებით), სქესი, პროფესია, ინტერვიუს აღების თარიღი და ადგილი): |
| ჯგუფის წევრები: |
| თემა 1:<br>თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა მთელ მსოფლიოში დამკვიდრება? თუ მნიშვნელოვანია, რატომ? თუ არ არის მნიშვნელოვანი, რატომ? |
| თემა 2:<br>ადამიანის რომელი უფლებები უნდა იყოს დაცული ყველაზე მეტად მთელ მსოფლიოში? ვინ უნდა უზრუნველყოს ამ უფლებების დაცვა? |
| თემა 3:<br>ადამიანის რომელი უფლებები საჭიროებს დაცვას ჩვენს ქვეყანაში? ვინ უნდა უზრუნველყოს ამ უფლებების დაცვა? |
| რესპონდენტის მიერ მოწოდებული სხვა საინტერესო ინფორმაცია: |

**სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, თავი 9, გაკვეთილი 1:**

**საპრეზენტაციო ბარათები მედიასაშუალების აღწერისათვის**

**(ამოჭერით და გადაკეცეთ შუაზე)**

| |
|---|
| |
| მფლობელის ვინაობა:<br>მოსწავლის (ან მოსწავლეთა ჯგუფის წევრების) ვინაობა:<br>მოწყობილობის სახელწოდება:<br>მოწყობილობის ფუნქციები:<br>წარმოების წელი:<br>სხვადასხვა: |

| |
|---|
| |
| მფლობელის ვინაობა:<br>მოსწავლის (ან მოსწავლეთა ჯგუფის წევრების) ვინაობა:<br>მოწყობილობის სახელწოდება:<br>მოწყობილობის ფუნქციები:<br>წარმოების წელი:<br>სხვადასხვა: |

## II. დამხმარე ინსტრუმენტები მოსწავლეებისათვის (ნაკრები)

## შესავალი

ძვირფასო მოსწავლეებო,

წინამდებარე დამხმარე ინსტრუმენტები თქვენთვის არის განკუთვნილი. შემდეგ გვერდებზე თქვენ იხილავთ ინსტრუმენტებს, რომლებიც სხვადასხვა დავალების შესრულებაში თუ ამოცანისათვის თავის გართმევაში გაგიწევთ დახმარებას, როგორც გაკვეთილების დროს, ასევე, სკოლის გარეთ, საშინაო დავალებების შესრულების დროს. რას წარმოადგენს ინსტრუმენტი? თქვენთვის ცნობილია, რომ ჩაქუჩი, სახრახნისი და მაკრატელი ინსტრუმენტებს წარმოადგენს. სწავლის პროცესში, ინსტრუმენტი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც უკეთ სწავლაში გეხმარებათ. როდესაც თქვენთვის ცნობილია, რა საშუალებებითა და გზებით უნდა მოიძიოთ ინფორმაცია, როგორ უნდა გააცნოთ სხვებს თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია ან როგორ უნდა მოამზადოთ პრეზენტაცია, თქვენ უკეთ ხართ მომზადებული ცხოვრებისათვის.

თქვენი მასწავლებელი აგიხსნით, თუ როდის და როგორ და რომელი ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოთ, მაგრამ თქვენ თავადაც შეგიძლიათ, მიიღოთ გადაწყვეტილება ამის თაობაზე, თუ ჩათვლით, რომ ისინი დახმარებას გაგიწევთ.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუმენტები სხვადასხვა დავალების შესრულებაში გაგიწევთ დახმარებას, როგორიცაა:

- — როგორ უნდა მოიძიოთ და შეაგროვოთ ინფორმაცია;
- — როგორ უნდა დაახარისხოთ თქვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია;
- — როგორ უნდა შექმნათ შემოქმედებითი ნამუშევარი;
- — როგორ უნდა წარადგინოთ თქვენი ნამუშევარი;
- — როგორ უნდა იმუშაოთ სხვა მოსწავლეებთან ერთად.

თითოეული ინსტრუმენტი ცალკე ფურცლიდან იწყება. თქვენ მათ დამოუკიდებლად შეგიძლიათ გაეცნოთ, ან გაეცნოთ თქვენს თანაკლასელებთან ერთად.

შესაძლებელია, თქვენთვის ზოგიერთი ინსტრუმენტი ცნობილი იყოს. ზოგიერთი ინსტრუმენტი კი ახალი იქნება და სამუშაოს შესრულებაში დაგეხმარებათ.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენთვის სასიამოვნო იქნება მოცემული ინსტრუმენტების გამოყენებით  მუშაობა და მუშაობის პროცესში ბევრ საინტერესო რამეს შეიტყობთ!

სარჩევი

1. კვლევის წარმოება ბიბლიოთეკებში

2. კვლევის წარმოება ინტერნეტის გამოყენებით

3. ინტერვიუებისა და გამოკითხვების წარმართვა

4. სურათებისა და გამოსახულებების ინტერპრეტირება

5. წარმოსახვითი გეგმის მომზადება

6. პოსტერის შექმნა

7. გამოფენის მოწყობა

8. პრეზენტაციების მომზადება და გაკეთება

9. პრეზენტაციის მომზადება სლაიდებისა ან PowerPoint-ის გამოყენებით

10. საგაზეთო სტატიის მომზადება

11. წარმოდგენის დადგმა

12. დებატების წარმოება

## 1. კვლევის წარმოება ბიბლიოთეკებში

ბიბლიოთეკებში თქვენ შეგიძლიათ უამრავი ინფორმაცია მოიძიოთ, რომელიც თქვენ მიერ წარმოებული კვლევისათვის გამოგადგებათ. იმისათვის, რომ შეძლოთ ამ ინფორმაციით სარგებლობა, საჭიროა ფლობდეთ უნარს, ამოარჩიოთ საჭირო და ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ქვევით მოცემული კითხვარი დაგეხმარებათ ამ ამოცანის შესრულებაში.

1. **რაში მდგომარეობს ჩემი მიზანი?**
   - — რას ვქმნი? როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩემი ნაშრომის საბოლოო ვარიანტი? არის ეს პრეზენტაცია, მოხსენება თუ პოსტერი?
   - — იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მიზანს, თქვენ დაგჭირდებათ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია. პოსტერის დასამზადებლად გჭირდებათ სურათები, რომლებიც უნდა ამოჭრათ და დააკრათ თქვენს პოსტერზე; მოხსენების მოსამზადებლად გჭირდებათ ინფორმაცია იმ თემაზე, რომელზეც მუშაობთ.
2. **რა ინფორმაცია მჭირდება?**
   - — ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც იცით იმ თემის შესახებ, რომელზეც მოხსენებას ამზადებთ (ამაში დაგეხმარებათ წარმოსახვითი გეგმის შედგენა).
   - — ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც გინდათ რომ იცოდეთ იმ თემის შესახებ, რომელზეც მოხსენებას ამზადებთ (ამაში დაგეხმარებათ შედგენილი წარმოსახვითი გეგმის პუნქტების გამოყოფა). ზუსტად განსაზღვრეთ, თემის რა ასპექტებზე გსურთ ინფორმაციის მიღება. იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო პროდუქტს, შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება დაგჭირდეთ ძალიან ბევრ ასპექტზე, ან მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე.
3. **როგორ მოვიპოვო ინფორმაცია (მასალები) და როგორ დავახარისხო იგი?**

— მასალები შეგიძლიათ ეძიოთ წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში, ფილმებში და ა.შ., რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში, და დაფიქრდეთ, შეიძლება თუ არა მათში იყოს პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაგეხმაროთ სარჩევი ან ანბანური საძიებელი.

— ცალკე ფურცელზე ჩაინიშნეთ წიგნის სათაური და გვერდის ნომერი, სადაც თქვენთვის გამოსადეგ ინფორმაციას გადააწყდით. წიგნში შეგიძლიათ ჩადოთ სანიშნი.

— რიგ შემთხვევაში, თქვენთვის საინტერესო გვერდის ფოტოასლის გადაღებაც არის შესაძლებელი, თუმცა არ უნდა დაგავიწყდეთ გადაღებულ ფურცელზე წიგნის სახელწოდების მითითება.

— დაათვალიერეთ ჟურნალ-გაზეთებში მოცემული სურათები, გადაიღეთ ასლები ან მონიშნეთ გვერდები სანიშნით.

— იმ შემთხვევაში, თუ ფილმით სარგებლობთ, უყურეთ ფილმს და გააჩერეთ ფირი, სადაც თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია იქნება მოცემული.

— შეაგროვეთ მასალა და მოათავსეთ ფოლდერში.

— თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მონიშნეთ.

— ცალკე ფურცელზე, საკუთარი სიტყვებით გადმოეცით თემასთან დაკავშირებული, ყველაზე საინტერესო ინფორმაციის შინაარსი.

**4. როგორ გავაცნო სხვებს ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია?**

შეგიძლიათ, მაგალითად:

— შექმნათ პოსტერი;

— მოაწყოთ გამოფენა;

— გამოხვიდეთ სიტყვით;

— შექმნათ სლაიდები;

— დაწეროთ საგაზეთო სტატია;

— შექმნათ ვიდეოკლიპი და მოაწყოთ მისი ჩვენება.

5. **როგორ ვაფასებ ჩემ მიერ წარმოებულ კვლევას?**

- — რაიმე ახალი შევიტყვე საკვლევ თემასთან დაკავშირებით?
- — საკმარისი რაოდენობით მოვიპოვე საჭირო ინფორმაცია?
- — კვლევის რა ეტაპები მიმდინარეობდა შეუფერხებლად? რა სირთულეებს წავაწყდი?
- — რას გავაკეთებ სხვაგვარად შემდეგი სამუშაოს შესრულებისას?

## 2. კვლევის წარმოება ინტერნეტის გამოყენებით

ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ნებისმიერ თემაზე, რისი წარმოდგენაც კი შეგიძლიათ. მთავარია, დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეძლებთ ყველაზე მნიშვნელოვანი და სარწმუნო ინფორმაციის მოპოვებას საკვლევ თემაზე?

### 1. ინფორმაციის მოძიება

ფურცელზე ჩამოწერე ძირითადი საკვანძო სიტყვები, რომლებიც საკვლევ თემას უკავშირდება. დაფიქრდი, თუ ზუსტად რა გინდა შეიტყო მოცემული თემის შესახებ?

მაგალითად:

- დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება;
- ევროპის საბჭო;
- უმცირესობები;
- დემოკრატია.

შეაერთე საკვანძო სიტყვები, რათა მიიღო ფრაზა, მაგალითად, „შუასაუკუნეებისდროინდელი ქალაქის ბაზრები“, გამოიყენე ბრჭყალები.

- სიტყვათა რა კომბინაცია დაგეხმარება თემისათვის საჭირო ინფორმაციის მოძებნაში? ეს კრიტერიუმები ჩამოწერე ფურცელზე.

### 2. ინფორმაციის შემოწმება

ვინაიდან ინტერნეტი ყველასათვის არის ხელმისაწვდომი და ყველას შეუძლია იქ განათავსოს ინფორმაცია, აუცილებელია, შეამოწმოთ, რამდენად სარწმუნოა ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოიპოვეთ, ვიდრე მას გამოიყენებთ.

სცადეთ, შემდეგნაირად დააყენოთ პრობლემა:

- იგივე ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტის სხვა გვერდებზე?

- ვის მიერ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია?
- რა ინტერესი შეიძლება ჰქონოდა პირს ან ორგანიზაციას, რომელმაც გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო?
- სანდოა ის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც აქვეყნებს მოცემულ ინფორმაციას?

ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია გადაამოწმეთ სხვა წყაროების საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციასთან შედარების გზით:

- ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტები შეგიძლიათ მოიძიოთ წიგნებში, ინტერვიუების საშუალებით ან საკუთარი გამოცდილებით?
- ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია ახალია? გასაგები ენით არის გადმოცემული, უფრო გასაგები, ვიდრე ის მსგავსი ინფორმაცია, რომელიც წიგნში შეიძლება იყოს გადმოცემული, ინტერვიუს საშუალებით ან პირადი გამოცდილებით შეიძლება იყოს მოპოვებული?
- რომელი ინფორმაცია ესადაგება შენს მიზანს ყველაზე მეტად?

**3. ინფორმაციის შენახვა**

მას შემდეგ, რაც მიაგნებ სანდო და შენთვის გამოსადეგ ინტერნეტსაიტს, რომელსაც გინდა შემდგომშიც ეწვიო ან გამოიყენო შენი სამუშაოს შესასრულებლად, შეადგინე შენი, საკუთარი ინტერნეტსაიტების სია:

- გახსენი ახალი დოკუმენტი.
- მონიშნე საიტის მისამართი (URL).
- დააკოპირე საიტის მისამართი (URL), თითის დაჭერით კონტროლის ღილაკზე (CTRL) და „C“-ზე ერთდროულად.
- გადმოიტანე საიტის მისამართი (URL) დოკუმენტში, თითის დაჭერით კონტროლის ღილაკზე (CTRL) და „V“-ზე ერთდროულად.
- შეინახე შენ მიერ შექმნილი დოკუმენტი სახელწოდებით „საიტების სია_თემა“, მაგალითად, „საიტების სია_დემოკრატია“.

## 3. ინტერვიუებისა და გამოკითხვების წარმართვა

ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ადამიანებთან კომუნიკაციის საშუალებით, მაგალითად, როდესაც ადამიანებს უსვამთ კითხვებს იმ მიზნით, რომ მათი პასუხებიდან შეიტყოთ ის, რაც მათ იციან მოცემულ თემაზე, ან თუ სთხოვთ, საკუთარი მოსაზრება გამოთქვან კონკრეტულ საკითხზე.

კითხვები შეგიძლიათ დაუსვათ:

— სპეციალისტებს - იმ შემთხვევაში, თუ გსურთ რაიმე კონკრეტული და სპეციფიკური შეიტყოთ მოცემულ საკითხზე;

ან

— ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ შეხება მოცემულ სფეროსთან, მაგრამ თქვენ გაინტერესებთ მათი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ინტერვიუებისა და გამოკითხვის საწარმოებლად, უმჯობესია, იმუშაოთ პატარ-პატარა ჯგუფებში. ამ შემთხვევაში ჯგუფის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან როგორც კითხვების შედგენაში, ასევე მათ კითხვებზე მიღებული პასუხების დამუშავებაში.

საჭიროა, გაითვალისწინოთ შემდეგი:

— ყველა კითხვაზე პასუხი მოკლედ ჩაინიშნეთ.
— აღნიშნეთ კითხვები, რომლებზეც არ გაქვთ პასუხი.
— კლასში განიხილეთ ის კითხვები, რომლებზეც თქვენ არ გაქვთ პასუხი.

**მოქმედებათა თანამიმდევრობა**

1. **მიზანი**
   — რას ეხება ჩვენი თემა? რა გვსურს შევიტყოთ ამ თემის გარშემო?
   — როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი ნამუშევრის საბოლოო პროდუქტი?

2. **მზადება**

— ვინ უნდა იყოს რესპონდენტი? რამდენი რესპონდენტი გვჭირდება? მნიშვნელობა აქვს ასაკს და სქესს?

— როგორ შევარჩიოთ რესპონდენტები ინტერვიუსათვის?

— როდის უნდა ვაწარმოოთ ინტერვიუ ან გამოკითხვა?

— როგორ უნდა ვაწარმოოთ ინტერვიუ ან გამოკითხვა?

— ვის უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ან ვისგან უნდა ავიღოთ ნებართვა?

— როგორ უნდა ვაწარმოოთ პასუხების ჩაწერა (ჩამწერი აპარატურით, ხელით, კითხვარების შევსებით)?

3. **კითხვები**

— რა კითხვები უნდა დავსვათ?

— რამდენი კითხვა უნდა დავსვათ? რა დრო გვაქვს მოცემული კითხვების დასასმელად და მათზე პასუხების მისაღებად?

— კითხვები ჩამოწერეთ და მიეცით მათ კითხვარის ფორმა.

4. **ინტერვიუს ან გამოკითხვის წარმოება**

— როგორ დავიწყოთ ინტერვიუ?

— ჯგუფის წევრებს შორის როგორ არის გადანაწილებული ფუნქციები (ვინ სვამს კითხვებს, ვინ ინიშნავს პასუხებს, ვინ აგებს ჩამწერი აპარატურის მართვაზე პასუხს)?

— როგორ უნდა დავასრულოთ ინტერვიუ?

5. **შეფასება**

— იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუს დროს თქვენი რესპონდენტი სპეციალისტი იყო, დაფიქრდით, რა იყო ის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მისი პასუხებიდან შეიტყვეთ და გამოყავით მსგავსი პასუხები.

— იმ შემთხვევაში, თუ თქვენ რამდენიმე რესპონდენტი გყავდათ, რომელსაც ერთი და იგივე კითხვები დაუსვით და გსურთ გაიგოთ, რამდენმა მათგანმა გასცა თქვენს კითხვებზე ანალოგიური პასუხები, მათი პასუხები შესაბამისად უნდა დაახარისხოთ.

6. **პრეზენტაცია**

გადაწყვიტეთ, რა ფორმით გააცნობთ კლასს თქვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას:

— სიტყვით გამოხვალთ კლასის წინაშე; თუ

— დაწერთ საგაზეთო სტატიას; თუ

— დაამზადებთ პოსტერს; თუ

— თქვენ შედეგებს სხვა ფორმით გააცნობთ კლასს.

## 4. სურათებისა და გამოსახულებების ინტერპრეტირება

ტექსტის მსგავსად, სურათიც მრავალ ინფორმაციას შეიცავს. შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ სურათის ინტერპრეტაციასა და მის აღქმა-გაგებაში.

**ზოგადი ინფორმაცია სურათის შესახებ**

- — რომელი ფერებია გამოკვეთილი სურათზე?
- — რა ფორმები, ფიგურები და ხაზებია გამოკვეთილი და წინა პლანზე წამოწეული?
- — რა არის მასზე გამოსახული უფრო დიდი მასშტაბით, ან უფრო მცირე მასშტაბით, ნორმალურ ზომასთან შედარებით?
- — სურათზე გამოსახული საგანი ან პიროვნება სინამდვილეში რა ზომის არის?
- — ზოგადად დროის რა მონაკვეთია აღბეჭდილი სურათზე (წარსული, აწმყო) და წელიწადის რა დრო ან დღის რა მონაკვეთია მასზე აღბეჭდილი?
- — ვის ხედვას გამოხატავს სურათზე აღბეჭდილი მოვლენა (ბაყაყის თვალით დანახული, ფრინველის თვალით დანახული თუ ადამიანის თვალით დანახული?
- — რა არის შენთვის ნაცნობი ამ სურათზე?
- — რა ტიპის სურათია შენ წინაშე (სურათი, პოსტერი, ნახატი, ხეზე ამოტვიფრული, გრაფიკა, კოლაჟი, პორტრეტი, პეიზაჟი, კარიკატურა და ა.შ.)?
- — რა არის გაზვიადებული ან ხაზგასმული სურათზე (ნათელი/ბნელი, პროპორციები, წინა პლანი/უკანა პლანი, ფერები, მოძრაობა/უძრაობა, ჟესტები, სახის გამომეტყველება)?

**სურათის აღქმა:**

- — რა განსაკუთრებულობა ახასიათებს სურათს?
- — რა მოგწონს მასში?
- — როგორ დაახასიათებ სურათს?
- — რას გრძნობ, როდესაც ამ სურათს უყურებ?

— სურათის რომელი მონაკვეთია ყველაზე ლამაზი?
— რა სიტყვები მოგდის გონებაში, როდესაც სურათს უყურებ?

**სურათის განხილვა:**

— აღწერეთ სურათი თქვენი საკუთარი სიტყვებით.
— გაუზიარეთ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ქმნის სურათში აზრს, რა არის მასში განსაკუთრებული ან მნიშვნელოვანი.
— დაუსვით ერთმანეთს კითხვები სურათთან დაკავშირებით.
— მეცით ერთმანეთს მცირე დავალებები, როგორიცაა, მოძებნე, იპოვე, მაჩვენე, ამიხსენი ...
— იმსჯელეთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რატომ იქნა შერჩეული ეს სურათები? რომელი სურათი ესადაგება და იძლევა დამატებით ინფორმაციას იმ ტექსტზე, რომელზეც არის დართული სურათები? რომელი სურათი ეწინააღმდეგება ტექსტში გამოთქმულ მოსაზრებას?

**მუშაობა სურათზე:**

— შეარჩიეთ სურათი და დადგით ის სცენა, რომელიც გამოსახულია სურათზე.
— წარადგინეთ პიროვნება, რომელიც გამოსახულია სურათზე.
— გაცვალეთ სურათები და გააკეთეთ მათზე კომენტარი.
— თქვენ ხელთ არსებული სურათი შეადარეთ ისტორიულ სურათებს.
— ახსენით, ტექსტის რა ნაწილი დარჩებოდა თქვენთვის გაუგებარი, ტექსტს რომ არ ჰქონოდა დართული მოცემული სურათი?
— ტექსტს დაურთეთ შესაბამისი სურათი.
— შეადარეთ სურათები და შეაფასეთ ისინი. მოგწონთ? თუ არ მოგწონთ, რა არის ამის მიზეზი?
— სურათის აღწერა წერილობითი ფორმით დაიტანეთ ფურცელზე.
— იმსჯელეთ იმაზე, თუ რა მოვლენები ვითარდებოდა მანამ, სანამ მოხდებოდა ფოტოს გადაღება ან სურათის დახატვა.
— დაფიქრდით, რა შეიძლება მოხდეს სურათი რომ გაცოცხლდეს.

— დაურთეთ სურათს სასაუბრო ფანჯრები, შიგნით ჩაწერილი ტექსტით.

— აღწერეთ სუნი ან ხმა, რომლის ასოციაციასაც იწვევს თქვენში სურათი.

— მოიძიეთ სურათები იმავე თემაზე.

**სურათის ინტერპრეტირება:**

— როგორ დაასათაურებდით სურათს?

— სად იქნა გადაღებული ფოტო, ან სად იქნა დახატული სურათი?

— რა სურს ფოტოგრაფს ან მხატვარს, გადმოგვცეს ამ სურათით?

— რას ემსახურებოდა ამ ფოტოს გადაღება ან სურათის დახატვა?

## 5. წარმოსახვითი გეგმის მომზადება

წარმოსახვითი გეგმა გეხმარებათ აზრების მოწესრიგებაში. სწორედ ამას გამოხატავს თავად სიტყვაც. წარმოსახვითი გეგმის გამოყენება შესაძლებელია ბევრ სხვადასხვა სიტუაციაში, როდესაც საჭიროა იაზროვნოთ გარკვეულ თემაზე: შეაგროვოთ იდეები, მოემზადოთ პრეზენტაციისათვის, მოამზადოთ პროექტი და ა.შ.

**წარმოსახვითი გეგმის შედგენის ინსტრუქციები**

- ფურცლის შუაში დაწერეთ თემის სახელწოდება და შემოავლეთ მას წრე. გამოიყენეთ ფართო ფორმატის ფურცელი.
- დაიტანეთ ფურცელზე წრიდან გამომავალი მსხვილი ხაზები (სხივები). თითოეული ხაზის გასწვრივ დაწერეთ იმ ქვეთემის სათაური, რომელიც შეესაბამება ფურცლის შუა წრეში მოცემულ თემას.
- წრიდან გამომავალი მსხვილი ხაზებიდან შეგიძლიათ გაავლოთ წვრილი ხაზები, რომლებიც წარმოადგენს ქვეკატეგორიებს ან კითხვებს, რომლებიც უკავშირდება მსხვილ ხაზებზე დაწერილ ქვეთემებს.
- შეეცადეთ, მოიფიქროთ რაც შეიძლება ბევრი ტერმინი და მოათავსოთ ეს ტერმინები შესაბამის კატეგორიებში. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ზომის ასოები, სიმბოლოები ან ფერები.

**შეადარეთ თქვენ მიერ შედგენილი წარმოსახვითი გეგმა თქვენი თანაკლასელების მიერ შედგენილ გეგმებს**

- რას ამჩნევთ?
- რა მსგავსებაა თქვენსა და თქვენი თანაკლასელების მიერ შედგენილ გეგმებს შორის?
- რა სხვაობაა თქვენსა და თქვენი თანაკლასელების მიერ შედგენილ გეგმებს შორის?
- რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ტერმინები?
- ქვეკატეგორიებად დაყოფა სძენს რაიმე მნიშვნელობას შედგენილ გეგმას?

— რაიმე მნიშვნელოვანი ხომ არ აკლია გეგმას?

— შემდეგ ჯერზე რას გააკეთებთ სხვაგვარად?



## 6. პოსტერის შექმნა

პოსტერის საშუალებით, თქვენ აკეთებთ საკუთარი ნამუშევრის შედეგების შეჯამებას და წარუდგენთ მას თანაკლასელებს. მნიშვნელოვანია, პოსტერი ისე იყოს ორგანიზებული, რომ იქცევდეს ხალხის ყურადღებას. მის მნახველს უნდა გაუჩნდეს სურვილი, მეტი შეიტყოს მოცემული თემის შესახებ.

მცირერიცხოვან ჯგუფებში განიხილეთ, თუ რა უნდა ახასიათებდეს პოსტერს, რომ იგი მიმზიდველი და საინტერესო იყოს მხილველებისათვის და მოიფიქრეთ, რა ელემენტებს ჩართავთ თქვენს პოსტერში.

თუ თქვენ უკვე გაქვთ დამზადებული პოსტერი, ქვემოთ მოყვანილი რჩევების მიხედვით შეაფასეთ იგი.

**რჩევები**

**სათაური:** უნდა იყოს მოკლე და საინტერესო: მისი დანახვა შესაძლებელი უნდა იყოს შორი მანძილიდან.

**ტექსტი:** უნდა იყოს მსხვილი ასოებით შედგენილი და გარჩევადი. თუ ნაბეჭდ ტექსტს იყენებთ, მოერიდეთ ბევრი განსხვავებული შრიფტის გამოყენებას. ტექსტი უნდა შედგებოდეს მოკლე წინადადებებისაგან და მისი წაკითხვა შესაძლებელი უნდა იყოს ზომიერად შორი მანძილიდან.

**სურათები, ფოტოები, გრაფიკა:** უნდა ესადაგებოდეს თემას და გამოხატავდეს თქვენს სათქმელს და, ასევე, საინტერესოს უნდა ხდიდეს პოსტერს. ნუ გადატვირთავთ პოსტერს, არჩევანი გააკეთეთ რამდენიმე შთამბეჭდავ სურათზე, ფოტოზე ან გრაფიკაზე.

**სქემა:** სად უნდა ჩავსვათ სათაური, ქვესათაურები, სიმბოლოები, ფანჯრები, ფოტოები ან სურათები? სანამ პოსტერის საბოლოო ვარიანტის მომზადებას შეუდგებოდეთ, განსაზღვრეთ ამ ელემენტების ადგილი.

**გაითვალისწინეთ:** პოსტერისათვის შერჩეული ფორმატი უნდა იყოს შევსებული თქვენ მიერ შერჩეული ელემენტებით, მაგრამ არ უნდა იყოს ზედმეტად გადატვირთული.

## 7. გამოფენის მოწყობა

გამოფენა მოსწავლეების ჯგუფს ეხმარება, საკუთარი ნამუშევარი წარუდგინონ დანარჩენ მოსწავლეებს (კლასს ან მოწვეულ სტუმრებს), რათა მათ შეექმნათ წარმოდგენა იმაზე, თუ რა სამუშაო შეასრულა ჯგუფმა. ქვევით მოცემული რჩევები დაგეხმარებათ გამოფენის დაგეგმვასა და გამართვაში.

**რჩევები**

1. **რისი ჩვენება გვსურს?**
   - — რა არის ის მთავარი გზავნილი, რისი თქმაც გვსურს ამ გამოფენის საშუალებით?
   - — რა სახელწოდება შევურჩიოთ გამოფენას?
2. **ვინ შეადგენს აუდიტორიას?**
   - — ჩვენი სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები?
   - — მშობლები და დედმამიშვილები?
   - — კლიენტები ტურისტული სააგენტოდან?
3. **სად გაიმართება გამოფენა?**
   - — საკლასო ოთახში თუ სკოლის სხვა ტერიტორიაზე?
   - — საჯარო ადგილზე (მუნიციპალური შენობის დარბაზში, მაგალითად)?
   - — რა სივრცე ექნება დათმობილი გამოფენას და როგორი იქნება განათება?
   - — გვექნება ის ინფრასტრუქტურა, რომელიც გვსურს?
4. **როგორ გავხადოთ გამოფენა შთამბეჭდავი და დაუვიწყარი?**
   - — მოდელები და საგამოფენო ექსპონატები ისე უნდა განვათავსოთ, რომ შესაძლებელი იყოს ხელით შეხება?
   - — უნდა გავითვალისწინოთ და გამოვყოთ სივრცე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს საგამოფენო ტერიტორიაზე თამაშის მოწყობა, ექსპონატების მოსინჯვა, მათზე დაკვირვება თუ ექსპერიმენტის ჩატარება?
   - — შევქმნათ მუსიკალური ფონი ან ჩვენ თავად დავუკრათ მუსიკა?

— შევთავაზოთ დამთვალიერებლებს მსუბუქი სადილი?

— დავნიშნოთ გიდები, რომლებიც დამთვალიერებლებს ექსპონატებს გააცნობენ?

— დავამზადოთ ფლაერები, რომლებიც დამთვალიერებლებს ექსპონატებს გააცნობს?

— მოვაწყოთ შეჯიბრება ან ვიქტორინა?

5. **ვის უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია გამოფენის შესახებ გამოფენის გამართვამდე?**

— სკოლის მასწავლებლები?

— სკოლის მომსახურე პერსონალი?

— სკოლის საბჭოს წევრები?

— უფროსი მასწავლებელი?

— ექსპერტი, რომელიც დაგვეხმარება გამოფენის გამართვაში?

— სტუმრები?

6. **რა უნდა გავაკეთოთ?**

— შევადგინოთ გეგმა?

— შევადგინოთ მასალათა ჩამონათვალი?

— შევადგინოთ დროის განრიგი (ვინ რას აკეთებს და როდის)?

— ვაწარმოოთ ხარჯთაღრიცხვა (რა თანხა გვაქვს ხელთ და რამდენი დავხარჯეთ)?

— დავამზადოთ ფლაერები ან მოსაწვევი ბარათები?

— მივაწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივ გაზეთს?

7. **რა შეფასება ექნება გამოფენას?**

— რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმები?

— ვინ შეაფასებს გამოფენას (მასწავლებლები, თანაკლასელები, მოწვეული სტუმრები)?

## 8. პრეზენტაციების მომზადება და გაკეთება

სკოლაში თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, სიტყვით წარსდგეთ თანაკლასელთა, მშობლების ან სხვა მოსწავლეების წინაშე. ყველა შემთხვევაში, საჭიროა, კარგად მოამზადოთ სიტყვა, რომლითაც გეგმავთ გამოსვლას. ქვემოთ მოცემული რჩევები ამაში დაგეხმარებათ.

**ა. სიტყვის გამოსვლისათვის მზადება და მისი დაგეგმვა**

1. **ვინ იქნება მსმენელის როლში?**
   - — სად უნდა გაიმართოს სიტყვით გამოსვლა?
2. **ვინ წარსდგება სიტყვით აუდიტორიის წინაშე?**
   - — მარტო უნდა წარსდგე სიტყვით თუ ჯგუფთან ერთად?
   - — როგორ უნდა მოხდეს ჯგუფის ორგანიზება?
3. **რა არის სიტყვით გამოსვლის მიზანი?**
   - — რას შეიტყობს ახალს წარმოთქმული სიტყვიდან დამსწრე საზოგადოება?
   - — გულისხმობს თქვენი გამოსვლა, მსმენელთა მხრიდან გაჟღერებულ კითხვებზე პასუხს ან მათი მხრიდან კომენტარებს?
4. **რა დრო უნდა დაეთმოს სიტყვით გამოსვლას?**
   - — უნდა გაითვალისწინოთ დრო აუდიტორიის მხრიდან დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად?
   - — უნდა გაითვალისწინოთ დრო აუდიტორიის მხრიდან გაკეთებული კომენტარების მოსასმენად?
5. **რა რესურსებია ხელმისაწვდომი?**
   - — დაფა?
   - — პროექტორი?
   - — კომპიუტერი და პროექტორი PowerPoint-ში მომზადებული პრეზენტაციისათვის?
   - — პოსტერი (ფლიპჩარტი)?
   - — სტერეოდანადგარი?

6. **როგორ უნდა შეძლო აუდიტორიის ყურადღების დაპყრობა?**
   - მიეცით აუდიტორიას საშუალება, დასვან კითხვები.
   - გამოსასვლელ სიტყვაში ჩართეთ კითხვები და თავსატეხები.
   - საშუალება მიეცით აუდიტორიას, ერთმანეთს გადასცენ და დაათვალიერონ თემასთან დაკავშირებული რაიმე საგანი.
7. **რისი თქმა გსურს?**
   - მოიფიქრეთ სამიდან ექვსამდე ქვესათაური, რომელიც უკავშირდება თქვენს სასაუბრო თემას და დაწერეთ ისინი ცალ-ცალკე ფურცელზე.
   - თითოეულ ფურცელზე, ქვესათაურის ქვეშ ჩამოწერეთ ის ძირითადი, საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომლებზეც ააგებთ თქვენს სიტყვას.

**ბ. სიტყვით გამოსვლა**

პრეზენტაცია შეიძლება გაიყოს რამდენიმე ნაწილად: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნითი ნაწილი. ქვემოთ მოცემული მოსაზრებები დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენს სიტყვით გამოსვლას მოწონება ხვდეს წილად.

1. **შესავალი**
   - პრეზენტაცია დაიწყეთ შესაბამისი ციტატით, ან თემასთან დაკავშირებული სურათის ან საგნის ჩვენებით.
   - მოკლედ გააცანით აუდიტორიას თქვენი საუბრის თემა.
   - აუხსენით მათ თქვენი გამოსასვლელი სიტყვის სტრუქტურა.
2. **ძირითადი ნაწილი**
   - გააცანით აუდიტორიას თქვენი საუბრის თემა.
   - დაალაგეთ წინასწარ მომზადებული ფურცლები, ზედ დატანილი სასაუბრო თემის ქვესათაურებით და ინფორმაციით, რიგითობის მიხედვით.
   - სიტყვა წარმართეთ ამ ქვესათაურების მიხედვით.
   - ყოველ ჯერზე, როდესაც საუბარს იწყებთ ახალი ქვესათაურით, აცნობეთ ამის შესახებ აუდიტორიას სურათის გამოყენებით ან მოკლე განმარტებით.

— თითოეული ქვესათაურით გათვალისწინებულ საკითხზე გადასვლისას, გამოიყენეთ შესაბამისი სურათი, საგანი ან მუსიკალური ჩანართი.
— მოიფიქრეთ, როგორ გსურთ სურათების ჩვენება - მაგალითად, ჩამოატაროთ იგი მსმენელებს შორის, სლაიდზე გამოსახოთ თუ პოსტერზე გააკრათ.

3. **დასკვნა**

— გააცანით აუდიტორიას, რა წარმოადგენდა თქვენთვის სიახლეს.
— გააცანით აუდიტორიას, რა ისწავლეთ.
— უჩვენეთ აუდიტორიას ბოლო სურათი.
— დაუსვით კითხვები თანაკლასელებს.
— დაუთმეთ დრო აუდიტორიას, რათა მათ დასვან კითხვები.

## 9. პრეზენტაციის მომზადება სლაიდების ან PowerPoint-ის გამოყენებით

PowerPoint-ის გამოყენებით, ან გამომსვლელის თავს ზემოთ მოთავსებულ პროექტორზე ნაჩვენები სლაიდების საშუალებით წარმოებული პრეზენტაციები ფართოდ გამოიყენება და ორივე მეთოდზე ერთი და იგივე წესები ვრცელდება.

სლაიდის მომზადებისას გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა:

- წარწერები იყოს მკაფიო და გარკვევით იკითხებოდეს;
- გამოყენებული იყოს ერთი სტილის შრიფტი;
- ასოების ზომა საკმაოდ დიდი იყოს;
- ხაზებს შორის საკმარისი დაშორება;
- ერთ სლაიდზე არ იყოს მოცულობითი ტექსტი;
- სლაიდები იყოს ხარვეზების გარეშე;
- სურათები, რუკები და გრაფიკები საკმაოდ ფართო ფორმატით იყოს წარმოდგენილი და კარგად ჩანდეს შორი მანძილიდან;
- გამოყენებული იყოს მხოლოდ რამდენიმე ფერი და სიმბოლო;
- პრეზენტაცია არ იყოს გადატვირთული სლაიდებით.

**რომელი ავირჩიო, სლაიდები თუ PowerPoint?**

ორივე მათგანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც დაგეხმარება სლაიდების და PowerPoint-ის პრეზენტაციებს შორის არჩევანის გაკეთებაში.

რომელი მათგანი უფრო ესადაგება თქვენს საჭიროებებს?

გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას, რომელიც დაგეხმარებათ მეთოდის შერჩევაში.

**სლაიდების გამოყენება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ:**

- პრეზენტაციისას გამოსაყენებელია ხუთამდე სლაიდი;
- სლაიდების ჩვენებებს შორის საჭიროა რაიმეს ჩვენება ან ახსნა;

- სლაიდზე რაიმეს დაწერა გსურთ პრეზენტაციის დროს;
- თითო სლაიდზე მხოლოდ ერთი გამოსახულება გინდათ უჩვენოთ;
- გინდათ, რაიმე დაფაროთ და გამოაჩინოთ სლაიდზე დატანილ გამოსახულებაზე;
- პრეზენტაცია და სლაიდები ჯგუფის წევრებს შორის არის გადანაწილებული.

**PowerPoint-ის გამოყენება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ:**

- გსურთ, აუდიტორიას მიაწოდოთ დიდი რაოდენობით ინფორმაცია;
- დიდი რაოდენობით გამოსახულებები გაქვთ ჩართული პრეზენტაციაში;
- გსურთ, ერთი მეორეს მიყოლებით აჩვენოთ გამოსახულებები;
- გსურთ, ინტერნეტიდან ამოღებული მასალა აჩვენოთ აუდიტორიას პრეზენტაციის დროს;
- გინდათ, აჩვენოთ ვიდეოკლიპი, ციფრული გამოსახულება ან რაიმე მასალა, რომელიც კომპიუტერში გაქვთ შენახული;
- გსურთ, უჩვენოთ ვიდეო, კადრების გაჩერების თანხლებით, უკან დაბრუნების რეჟიმში ან სხვა მანიპულაციებით.

## 10. საგაზეთო სტატიის მომზადება

გარკვეულ თემაზე თქვენი ნამუშევრის საზოგადოებისათვის გაცნობა შესაძლებელია რეპორტიორის როლის შესრულებით და საგაზეთო სტატიის საშუალებით. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, საგაზეთო სტატიის შექმნა საკუთარი მოსაზრების გასაჯაროების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა. თქვენმა სტატიამ შესაძლებელია სასიკეთოდ იმოქმედოს საზოგადოებაზე და გამოასწოროს ის, რისი გამოსწორებაც არის საჭირო.

საგაზეთო სტატია სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება:

- სათაური: უნდა იყოს ლაკონური და გასაგები;
- შესავალი: მკითხველისათვის თემის გაცნობა, სულ რამდენიმე ძალიან მოკლე წინადადებით;
- ავტორები: ვინ არის სტატიის ავტორი?
- სტატიის ტექსტი: თავად სტატია;
- ქვესათაურები: გამოყოფს „თავებს“, მკითხველისათვის უკეთ აღსაქმელად;
- სურათი: სურათი, რომელიც შეესაბამება სტატიის ტექსტს და რომელსაც დართული აქვს მცირე განმარტება.

**რჩევები**

- დღევანდელ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია განიხილეთ ზემოთ მოცემული სქემის მიხედვით. შეგიძლიათ, ამოიცნოთ საგაზეთო სტატიის სხვადასხვა კომპონენტი?
- საგაზეთო სტატიის სხვადასხვა კომპონენტი სხვადასხვა ფერის მარკერით გააფერადეთ.
- ყურადღება მიაქციეთ შრიფტის სტილს (გამუქებული, ნორმალური, დახრილი).
- თქვენ მიერ მოპოვებული საგაზეთო სტატია შეადარეთ თქვენი თანაკლასელების მიერ შერჩეულ საგაზეთო სტატიებს.

— საკუთარი სტატიის შექმნისას, გამოიყენეთ საგაზეთო სტატიისათვის დამახასიათებელი კომპონენტები.

## 11. წარმოდგენის გამართვა

სიტუაციის ინსცენირება საუკეთესო საშუალებაა ცხოვრებისეულ სიტუაციებზე დასაკვირვებლად. სცენის შექმნა შესაძლებელია სურათების, მუსიკალური ნაწარმოების ან საგნების გამოყენებით. სიტუაციის ინსცენირებისას, საჭიროა გარკვეული როლის თამაში. ეს ნიშნავს იმას, რომ შენ უნდა განიცადო ის, რასაც სხვა განიცდის და იმოქმედო შესაბამისად. წარმოდგენის დასასრულს, ყველა დაფიქრდება იმაზე, რომელი სცენა იყო „რეალური“ და რომელი – წარმოსახვითი.

**„თავისუფალი“ წარმოდგენა**

- ჩამოწერეთ ძირითადი საკვანძო სიტყვები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციასთან არის დაკავშირებული.
- გადაინაწილეთ როლები და განსაზღვრეთ, რა არის ის მნიშვნელოვანი, რაც თითოეული როლის შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს.
- მოიმარაგეთ ყველა საჭირო მასალა.
- გაიარეთ რეპეტიცია.
- მოამზადეთ სცენა.
- გამართეთ წარმოდგენა.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ განიხილეთ შემდეგი დეტალები:

- რა იხილეთ?
- ყველასთვის ყველაფერი გასაგები იყო?
- რა მოგეწონათ წარმოდგენაში ყველაზე მეტად?
- თქვენი აზრით, აკლდა რაიმე წარმოდგენას?
- რა იყო მცირედით გაზვიადებული?
- რა კითხვები გვაქვს წარმოდგენის შინაარსთან დაკავშირებით?

**წარმოდგენის დადგმა ტექსტის მიხედვით**

წაიკითხეთ მოთხრობა ერთობლივად და შექმენით სცენები:

- ვინ იყვნენ მონაწილე პერსონაჟები? სად ვითარდებოდა მოვლენები?

— როგორ გაართვეს პერსონაჟებმა თავი სიტუაციას? რას ამბობდნენ ისინი?
— როგორი რეაგირება ჰქონდათ სხვებს?
— როგორ დასრულდა მოთხრობა?
— შეთანხმდით, რამდენი სცენისაგან უნდა შედგებოდეს წარმოდგენა.
— გადაინაწილეთ როლები. რა კოსტიუმები იქნება საჭირო?
— გაიარეთ რეპეტიცია.
— წარმოდგენა შეაფასეთ თქვენს თანაკლასელებთან ერთად.

**წარმოდგენის დადგმა სურათის მიხედვით**

— მოიძიეთ სურათი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია წარმოდგენის დადგმა.
— წარმოიდგინეთ საკუთარი თავი სურათზე.
— შეაგროვეთ მოსაზრებები: როგორ ცხოვრობენ სურათზე გამოსახული ადამიანები? რა ანიჭებთ მათ სიხარულს? რა ჰგვრით მათ სევდას?
— შექმენით წარმოდგენა სურათის მიხედვით და ჩაინიშნეთ ძირითადი, საკვანძო სიტყვები თითოეული სცენისათვის.
— შეთანხმდით, რამდენი სცენისაგან უნდა შედგებოდეს წარმოდგენა.
— გადაინაწილეთ როლები და განსაზღვრეთ, რა არის ის მნიშვნელოვანი, რაც თითოეული როლის შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს.
— გაიარეთ რეპეტიცია.
— მოამზადეთ სცენა და მოიწვიეთ მაყურებელი.
— წარმოდგენა შეაფასეთ თქვენს თანაკლასელებთან ერთად.

## 12. დებატების წარმოება

დებატები გვეხმარება, დავრწმუნდეთ საკითხის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებების არსებობაში და გავაანალიზოთ სადავო საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დებატების წარმოებისათვის საჭიროა არსებობდეს სადავო კითხვა, რომელზე პასუხიც შესაძლებელია იყოს „კი“ ან „არა“. დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონკრეტულ საკითხზე ყოველთვის არსებობს ერთზე მეტი მოსაზრება და შექმნილი სიტუაციიდან - ერთზე მეტი გამოსავალი.

**ორი მოსაზრება - დებატები**

დებატების წარმოება:

- კლასი გაყავით ორ ნაწილად. ერთი ჯგუფი შეადგენს საკითხის „მომხრეებს“, მეორე - „მოწინააღმდეგეებს“.
- თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიძიოს არგუმენტები[5], რითაც ისინი შეეცდებიან, გაამყარონ საკუთარი პოზიცია. მათ ასევე უნდა წარმოადგინონ არგუმენტები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეეცდებიან, მოწინააღმდეგე ჯგუფის მოსაზრებები გააბათილონ.
- ჩაინიშნეთ თქვენი არგუმენტები ძირითადი საკვანძო სიტყვების საშუალებით.
- თითოეული ჯგუფი ირჩევს ორ გამომსვლელს.
- დებატები შედგება სამი ნაწილისაგან: გახსნითი რაუნდი, ღია დებატები და დასკვნითი რაუნდი:
  - გახსნითი რაუნდი: თითოეული გამომსვლელი მოკლედ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას. „მომხრეთა“ და „მოწინააღმდეგეთა“ მხარეები გამოდიან მონაცვლეობით;
  - დებატები: გამომსვლელები წარმოადგენენ საკუთარ არგუმენტებს და ცდილობენ, დაუპირისპირდნენ და გააბათილონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოთქმული არგუმენტები;

[5] არგუმენტი: განაცხადი, რომელიც ემსახურება მტკიცების ან პოზიციის გამყარებას.

- დასკვნითი რაუნდი: დასკვნითი რაუნდის პროცედურები ემთხვევა გახსნითი რაუნდის პროცედურებს. ყველა გამომსვლელს ეძლევა შესაძლებლობა, შეაჯამოს საკუთარი მოსაზრება.

**გამომსვლელთა რეგლამენტი**

კლასი ირჩევს მოსწავლეს, რომელიც პასუხისმგებელია გამომსვლელთა რეგლამენტის კონტროლზე დებატების დროს.

— გახსნითი რაუნდი არ უნდა გრძელდებოდეს რვა წუთზე მეტხანს (ყოველ გამომსვლელს ეძლევა ორ-ორი წუთი გამოსვლისათვის).
— დებატების რაუნდი არ უნდა გაგრძელდეს ექვს წუთზე მეტი.
— დასკვნითი რაუნდი უნდა გრძელდებოდეს მაქსიმუმ ოთხი წუთის განმავლობაში (თითო წუთი თითო გამომსვლელისათვის).
— იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გამომსვლელი გადააჭარბებს რეგლამენტით განსაზღვრულ დროს, იგი იღებს გაფრთხილებას ზარით.

**დამკვირვებლები**

დანარჩენი მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობენ  დებატებში, ისინი აკვირდებიან დებატებს. დებატების შემდეგ აკეთებენ კომენტარს იმასთან დაკავშირებით, თუ რა დასკვნები გამოიტანეს დებატებიდან. კომენტარების გაკეთებისას, მათ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

— რა არგუმენტები იქნა წამოყენებული?
— ვინ რის მიღწევას შეძლებს?
— ყველა გამომსვლელს მიეცა საუბრის საშუალება, თუ მათ აწყვეტინებდნენ სიტყვას?
— როგორ ცდილობდა თითოეული გამომსვლელი საკუთარი არგუმენტის დაცვას და აზრის გადმოცემას?
— რომელი არგუმენტი ჟღერდა დამაჯერებლად?
— რომელ არგუმენტს გამოარჩევენ ისინი, როგორც ძლიერ არგუმენტს?
— რომელი სიტყვები იქნა გაჟღერებული ყველაზე ხშირად?

— როგორი იყო გამომსვლელთა საუბარი (იყენებდნენ სხეულის ენას, ხმამაღლა საუბრობდნენ, არამონოტონურად)?

## თავსატეხი - ცხრა ძირითადი ცნება

წინამდებარე სახელმძღვანელო „ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში“ განკუთვნილია მასწავლებლებისათვის, რომელთა მიზანს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შსახებ სწავლების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროგრამაში. სახელმძღვანელო შედგება ცხრა სასწავლო თავისაგან, თითოეული მოიცავს დაახლოებით ოთხ გაკვეთილს. სახელმძღვანელოში მოცემულია გაკვეთილების მსვლელობის დაწვრილებითი, საფეხურებრივი აღწერა და აქტივობებთან დაკავშირებული დეტალური ინსტრუქციები. სახელმძღვანელოს დართული აქვს მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილი სამუშაო ფურცლები და ძირითადი ინფორმაცია, რომელსაც უნდა ფლობდეს მასწავლებელი. მთლიანად სახელმძღვანელოში შესული მასალა გათვლილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე ( მე-4, მე-5 ან მე-6 კლასის მოსწავლეებისათვის) დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. მაგრამ ვინაიდან სახელმძღვანელოში შესული ყველა თავი დასრულებულ და სრულყოფილ ერთეულს წარმოადგენს, ეს სახელმძღვანელოში შესული მასალის სხადასხვანაირად გამოყენების დიდ შესაძლებობებს იძლევა. მოცემული სახელმძღვანელო შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დისციპლინის სახელმძღვანელოთა რედაქტორების, სასწავლო პროგრამების ავტორების, სტაჟიორი მასწავლებლებისა და დამწყები მასწავლებლების მიერ.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზანს წარმოადგენს ისეთი მოსწავლეების აღზრდა, რომლებიც აქტიურ მოქალაქეებად უნდა ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც ექნებათ სურვილი და შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შეასახებ სწავლებაში ყურადღება გამახვილებულია აქტივობებსა და ამოცანაზე დაფუძნებულ სწვლაზე. სკოლის საზოგადოება აღიქმება სფეროდ, სადაც შესაძლებელია ჭეშმარიტი გამოცდილების მიღება, სადაც მოზარდებს აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ, თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სადაც მათ ადრეული ასაკიდან შეუძლიათ გააცნობიერონ მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებები შეისწავლება იმ ინსტუმენტებით, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.

**წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ექვსი წიგნისაგან შემდგარი გამოცემის პირველ წიგნს:**

**წიგნი I:** *განათლება დემოკრატიისათვის*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ -
ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

**წიგნი II:** *ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ -
საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

**წიგნი III:** *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ -
საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის

**წიგნი IV:** *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ -
საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

**წიგნი V:** *ბავშვთა უფლებების კვლევა*
ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

**წიგნი VI:** *დემოკრატიის სწავლება*
სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ
სწავლებისათვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

**www.coe.int**

*ევროპის საბჭოში გაწევრიანებულია 47 სახელმწიფო და იგი პრაქტიკულად მოიცავს ევროპის მთელ კონტინენტს. ევროპის საბჭოს მიზანია, შექმნას საერთო დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციაზე და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც ადამიანის დაცვას შეეხება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს მისი დაარსების დღიდან, ევროპის საბჭო წარმოადგენს შერიგების სიმბოლოს.*